

178
1974



სახვითა სამართალი

საქართველოს კვ. სწავრალური კომიფიზიის გამომცემლობა

1974

2

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი
1974 წელი

შუბრალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კროქუჩაჯუჩისა და
უბაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

შინაარსი

ზ. კვაჭაძე — საბჭოები და სამართლებრივი პრობაგანდა	3
ბ. ჯაფარიძე — საწარმოთა და დაწესებულებათა საცხოვრებელი სახლებიდან მოქალაქეთა გამოსასხლება	14
გ. იოსავა, ა. ცინცაძე — სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის საკითხისათვის	23
ა. ფალიაშვილი — მაგნიტოფონის გამოყენება საქართველოს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში	26
ე. ჩიქვინიძე — სასამართლოს კერძო განჩინება დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება	35
მ. ვეფხვაძე — საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპები	39
დ. ფურცელაძე — სხვისშვილობისა და მისი სამართლებრივი შინაარსისათვის	49

ლ. ანდრონიკაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

დ. ჩხეიძე — ქართული თეატრის მოამაგე	62
ოფიციალური მასალა	65
ვ. შტრიკერი — პირველი ლიტერატურული „საქმე“ რუსეთში	66
ლ. ისაკაძე — ბესარიონ ჟღენტი 70 წლისა	69

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. დევდარიანი — ფუნდამენტალური ნაშრომი საბინაო კანონმდებლობის შესახებ	74
ნაკვეთები	76
არბიტრაჟის პრაქტიკა	79
ინფორმაცია	82
თ. წერეთელი, ვლ. მაყაშვილი — გამოჩენილი მეცნიერისა და მეგობრის ხსოვნას	93
ნეკროლოგი	96

კ. შარჭის სან. ხაჭ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა

6355/1

СОДЕРЖАНИЕ

З. Квачадзе — Советы и правовая пропаганда	3
С. Джапаридзе — Выселение граждан из жилых домов предприятий и учреждений	14
Г. Иосава, А. Цинцадзе — К вопросу о внесении некоторых изменений в гражданско-процессуальное законодательство	23
А. Палиашвили — Использование магнитофонов в практике следственных и судебных органов Грузии	26
Е. Чиквинадзе — Частные определения суда — одно из эффективных средств предупреждения преступлений	35
М. Вепхвадзе — Принципы советской исправительно-трудовой политики	39
Д. Пурцеладзе — О «чужезащитстве» и его юридическом содержании	49

კ 100-ლეთიუ სო დნა როჯდენი ლ. ნ. ანდრონიკაშვილი

Д. Чхеидзе — Ревизитель грузинского театра	62
Официальный материал	65
В. Штрикер — Первое литературное «дело» в России	66
Л. Исакадзе — Виссариону Жгенти 70 лет	69

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Девдариани — Фундаментальная работа о жилищном законодательстве	74
Меткое слово	76
Арбитражная практика	79
Информация	82
Т. Церетели, В. Макашвили — Памяти выдающегося ученого и друга	93
Некролог	96

სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 1207
ტირაჟი 15.600
შე 5587

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩაზია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 107.

გადაეცა წარმოებას 27/III-74 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 31/IV-74 წ., ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კბკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

საბჭოები და სამართლებრივი პრაქტიკა

წ. კახაბაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

საბჭოები და სამართლებრივი ცოდნის პრობლემა თავისთავად ახალი თემა როდია. მშრომელთა დებუტატების საბჭოები, ყველა მათი რგოლი უყურადღებოდ არასოდეს ტოვებდნენ მოსახლეობაში საბჭოთა კანონების, სოციალისტური სამართლის პრინციპების პრობლემას. მაგრამ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკითხებმა განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდეგ.

კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის პარტიას მიაჩნია კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბება. პარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის საქმეს წინ ვერ წავეწვით ისე, თუ ყოველმხრივ არ განვავითარებთ თვით ადამიანს, თუ არ იქნა ადამიანის კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების შინაგანად მომწიფების მაღალი დონე.

კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღსაზრდელად გაწეული მრავალმხრივი, რთული და ხანგრძლივი მუშაობის დედააზრი ის არის, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა საზოგადოების თითოეული წევრის შინაგანი კუთვნილება გაეხადოთ, რომ იგი საზოგადოების თითოეული წევრის აზროვნების და მოქმედების ორგანულ ნაწილად გაქცეოთ. ამ ამოცანას ისე ვერ გადავწყვეტთ, თუ არ ავამაღლებთ ყველა ფორმის საზოგადოებრივი შეგნების დონე. საბჭოთა ადამიანების სამართალშეგნების დონის ჩამოყალიბება და განვითარება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უმადგენელი ნაწილია.

იდუბურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 15 სექტემბრის დადგენილება „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები ამ საკითხის ირგვლივ.

მშრომელთა მართლშეგნების ამაღლებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც სსრ კავშირში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ყველაზე მრავალრიცხოვან და მასობრივ რგოლს წარმოადგენენ.

გ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კანონიერების დაცვისათვის, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის ბრძოლაში მშრომელთა დებუტატების საბჭოები დიდ როლს ასრულებენ. მათ ხელთ უპყრიათ არა მარტო საკანონმდებლო ხელისუფლება და კანონების შესრულებისადმი კონტროლი, არამედ უშუალოდ ახორციელებენ კიდევ კანონებს.

საბჭოები ყოველდღიურად მილიონობით ადამიანს აზიარებენ სახელმწიფოს და საზოგადოებრივი საქმეების მართვას, აღკვეთენ სოციალისტური კანონიერების დარღვევებს, იცავენ მოქალაქეთა უფლებებს, დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა ადამიანების სოციალისტური მართლშეგნების ჩამოსაყალიბებლად.

საბჭოების საქმიანობის არსი ცხადყოფს, რომ მათი მოვალეობაა გადამწყვეტი როლი შეასრულონ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დონის ამაღლებაში.

საბჭოების ეს ფუნქცია პირველად დაკანონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 აპრილის და 1971 წლის 19 მარტის ბრძანებულებებით სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების ძირითად უფლებამოსეობათა შესახებ და აგრეთვე ამ ბრძანებულებათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებით მშრომელთა დებუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო საბჭოების შესახებ.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის შემდგომი განვითარება იყო კანონი დებუტატის სტატუსის შესახებ, სადაც ნათქვამია: დებუტატი მოვალეა იდგეს საბჭოთა კანონების სადარჯოზე, აქტიურად მონაწილეობდეს ბრძოლაში სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ, მშრომელთა მაღალი შეგნების, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების, სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის მაღალი შეგნების სულისკვეთებით აღზრდაში.

სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფაში, სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაში საბჭოების გაზრდილი როლი მოითხოვს მათი იმ საქმიანობის აქტივიზაციას, რომლის მიზანია მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. სამწუხაროდ, ამ საკითხებს წინათ ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის არ ექცეოდა ყურადღება.

ჩვენში მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა და ამძიმებდა მეურნეობისადმი, აგრეთვე იდეოლოგიისადმი ხელმძღვანელობაში არსებული ნეგატიური მოვლენები, რომლებსაც სათანადოდ შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამ ბოლო წლების დადგენილებებმა.

სამართლის ნორმების, სოციალისტური კანონიერების ზუსტი და განუხრელი დაცვის უგულვებელყოფას, მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის შეუფასებლობას სერიოზული შეცდომები და მძიმე შედეგები მოსდევს. ამის დასადასტურებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებიდან.

ორჯონიკიძის რაიონში გამოვლინდა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, მშრომელთა მოქალაქეობრივი უფლებების შელახვის ისეთი ფაქტები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება კომუნისტური მორალის პრინციპებს, სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებს.

ამას ხელს უწყობდა რაიონში შექმნილი დაუსჯელობის, წაყრუების, ზოგჯერ კი კანონიერების დამრღვევთა მფარველობის ატმოსფერო. ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები, მათ შორის რაილმასკომის თავმჯდომარე (შ. რობაქიძე), რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები საჭირო ბრძოლას არ ეწეოდნენ ანტი-საზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, უგულვებელყოფდნენ მშრომელთა მოთხოვნებს, უყურადღებოდ ტოვებდნენ მათს საჩივრებს და განცხადებებს, ზერელედ, ტენდენციურად აფასებდნენ ფაქტებსა და მოვლენებს.

მუშაობის მანკიერი სტილის დამკვიდრების შედეგად რაიონში შესუსტდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა. იყო შემთხვევები მოქალაქეების უკანონოდ დაპატიმრების, რომელთაც „ბრალი მიუძღოდათ“ მხოლოდ იმაში,

რომ გაბედეს და საჩივრით მიმართეს ზემდგომ ორგანოებს რაიონში მომხდარ უკანონობათა გამო.

ნაცვლად იმისა, რომ ჩასწვდომოდნენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების არსს, გაეთვალისწინებინათ საზოგადოებრიობის აზრი შეცდომებისა და დარღვევების შესახებ, რაიონის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა იმ პატიოსან ადამიანთა დევნის კამპანია გააჩაღეს, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ უკანონობას. ისინი თვითონ დაადგნენ სოციალისტური კანონიერების დარღვევის გზას.

აღნიშნული საკითხი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი. დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯნენ.

სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები იყო აგრეთვე ზესტაფონის რაიონის ადგილობრივი საბჭოების, კერძოდ კი ზესტაფონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში. ფაქტიურად აქ ჩაშლილი იყო მუშაობა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. უფრო მეტიც, საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრები, რომლებიც მოვალენი არიან დაუცხრომლად იბრძოლონ იმისათვის, რომ განახორციელონ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და კომუნისტური მორალის განუხრებლად დაცვის კურსი, თვითონ უშვებდნენ უხეშ შეცდომებს და არღვევდნენ კანონს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (დევდარიანი) მიცემული იქნა პასუხისმგებაში ქრთამის აღებისათვის. ამ რაიონის სასოფლო საბჭოებში უხეშად არღვევდნენ მიწათსარგებლობის წესებს.

სამწუხაროდ მსგავსი ფაქტები ერთეულები როდი იყო.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში — საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს აქტიური, მიზანსწრაფული ბრძოლა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შეუქმე პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, სულ უფრო იზრდება ადგილობრივი საბჭოების როლი კანონიერების განმტკიცების საქმეში. ადგილობრივი საბჭოები ახლა უფრო მკაცრად აკონტროლებენ, თუ როგორ იცავენ თანამდებობის პირები და მოქალაქეები საბჭოთა კანონებს. უკეთ ამოწმებენ კანონთა, მთავრობის დადგენილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

წინამდროვე ეტაპზე საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების და, კერძოდ, მოსახლეობის მართლშეგნების ამალღების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა იურიდიული ცოდნის მაღალი დონე. ამ მხრივ განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსები დაამთავრა სასოფლო და სადაბო საბჭოების 975 თავმჯდომარემ და რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების 74 თავმჯდომარემ. ამ კურსების თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, მოქმედი კანონმდებლობის და სხვა სამართლებრივი აქტების განმარტებას.

მრავალფეროვანია ადგილებზე საბჭოთა აქტივის სწავლების ფორმები. თერჯოლის რაიონში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მუშაკთათ-

ვის შექმნილია იურიდიული სკოლა. დამტკიცებულა ამ სკოლის სამუშაო თემატიკა, რომელშიც მთავარი ადგილი უკავია ძირითადი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის პრაქტიკული საკითხების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ლექციების წასაკითხად ამ სკოლაში იღებენ სწავლულ იურისტებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკებს.

სკოლის მუშაობამ სათანადო შედეგები გამოიღო. ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შემცირდა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები და დადგენილებები, მეორე, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ახლა უფრო კვალიფიციურად, საქმის ცოდნით უძღვებიან მეურნეობას და, რაც მთავარია, უფრო მონდომებით მუშაობენ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისათვის.

ანალოგიური მაგალითებია მახარაძის, ყვარლის, წულუკიძის რაიონებში, ქ. თბილისში, ქ. რუსთავში და სხვაგან.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო აღმასკომების მუშაობა და დებუტატთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებას, არამედ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იურიდიულ სწავლებას.

ორგანიზაციების, მეურნეობის ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დაბალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს სრულიად დაუშვებელი რამ — როცა ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი თვითონ ხდება კანონსაწინააღმდეგო მოქმედების მონაწილე. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითს, რომელიც ქარელის რაიონში მოხდა.

სოფელ ფცის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ბარჯიძემ განიზრახა დაესაჯა საბჭოთა მეურნეობის მუშები ა. შათაშვილი და ვ. სიღამონიძე იმისათვის, რომ მათ გაბედეს და „რიგლეს“ დირექტორის თვითნებობის შესახებ. 1973 წლის 13 სექტემბერს იგი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლის ჩუთკარაშვილის და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვ. ოსაძის თანხლებით სახლში მივიდა ზემოხსენებულ მუშებთან, წაართვა თივა, ვითომდა მოპარულიაო და ამ მუშების ორი ხარი, რომლებიც სოფლის ნახირში იყო, საბჭოთა მეურნეობის სახელით დამზადების პუნქტს ჩააბარა. კანონისა და საბჭოთა მოქალაქის უფლებების ამ აღმავფოთებელ დარღვევას თან ახლდა ფიზიკური ძალის გამოყენებაც.

მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში, რასაც მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები ახორციელებენ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობის ყველა ფორმას: როგორც, მაგალითად, სესიებს, აღმასკომების მუშაობას, დებუტატთა საქმიანობას საარჩევნო ოლქებში და სხვ.

სულ უფრო მაღლდება ადგილობრივი საბჭოების სესიების როლი მშრომელთა მართლმეგნების ჩამოყალიბებაში. საჯაროობის ვითარება, რომელშიც მიმდინარეობს სესია, მის მომზადებაში დებუტატების, საზოგადოებრიობის ფართო წრეების, სპეციალისტების ჩაბმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოქალაქეთა შეგნებაზე.

ამ მხრივ საინტერესოა გეგეჭკორის რაიონული საბჭოს ერთ-ერთი სესიის მომზადებისა და ჩატარების მაგალითი. სესიას უნდა განეხილა საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხი. მის მომზადებაში

აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო დეპუტატები, არამედ მთელი მოსახლეობა. რაილმასკომმა სესიის გახსნამდე ერთი თვით ადრე აუწყა დეპუტატებს და რაიონის მცხოვრებლებს სესიის გახსნის დრო და დღის წესრიგი. ამისთვის გამოიყენეს რადიო და ადგილობრივი გაზეთი. აღმასკომმა თხოვნით მიმართა ამომრჩეველებს, გამოეგზავნათ წინადადებები და შენიშვნები. თითოეულმა დეპუტატმა შეისწავლა, თუ როგორ არის დაყენებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა თავის საარჩევნო ოლქში.

ასეთმა საჯაროობამ სათანადო შედეგიც გამოიღო. რაილმასკომმა მოსახლეობისაგან მიიღო 70 წინადადება იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს რაიონის დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

სესიის მომზადებაში იყო ერთი სიახლეც. რაიონული საბჭოს მოწვევით გეგეჭკორში ჩავიდა სწავლულ იურისტთა ბრიგადა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ვ. აბაშმაძე, გ. ერემოვი, ნ. ლომსაძე და სხვ.

სესიის საფუძვლიანმა მომზადებამ თავი იჩინა დეპუტატთა აქტივობაში. კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა თვრამეტი ამხანაგი. გამოსვლა მხოლოდ ცამეტმა მოასწრო, დანარჩენებმა თავიანთი გამოსვლების ტექსტი თავმჯდომარეს გადასცეს თხოვნით, გაეთვალისწინებინათ მათი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმაც.


სესიის გადაწყვეტილება დეპუტატებმა თავ-თავიანთ საარჩევნო ოლქებში ვააცნეს მოსახლეობას. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო იმას, რომ დაუყოვნებლად ხელი მოჰკიდეს რაიონის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დასახული ღონისძიებების შესრულებას. რაიონის სოფლებში გაიმართა სასოფლო ყრილობები, რომლებზეც განიხილავდნენ სესიის გადაწყვეტილების შესრულების კონკრეტულ გზებს და სხვ.

სესიაზე საკითხის საქმიანმა განხილვამ დადებითი შედეგები გამოიღო რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა შევნიშნო, რომ სესიის მომზადების ასეთი კარგი ფორმა დაივიწყეს თვით გეგეჭკორელებმა და ფართოდ არ გავრცელდა სხვა რაიონებში. ამაში ბრალი თანაბრად მიუძღვის იურისტ-მეცნიერებს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაკებსაც.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიები ამ ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად განიხილავენ კანონიერების და მართლწესრიგის საკითხებს. მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების დაცვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების საკითხები განიხილეს ფოთის საქალაქო, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, კასპის, დუშეთის, ახალციხის, ჩოხატაურის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს, ხობის, სამტრედიის, ლანჩხუთის და ონის რაიონული საბჭოების სესიებმა.

საბჭოების მუშაობის საჯაროობის დიდნიშვნელოვანი პირობაა აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების რეგულარული ანგარიშგება მოსახლეობის წინაშე. მოსახლეობის, საწარმოო კოლექტივების წინაშე აღმასკომების, მათი განყოფილებების და სამმართველოების ხელმძღვანელთა გამოსვლების ერთ-ერთი დანიშნულებაა მშრომელთა ინფორმირება მათი საქმი-



ანობის შესახებ, სამართლის მოქმედი ნორმების შესახებ, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის განმარტება და სხვ. ამასთან მოსახლეობის წინაშე გამოხატულა და ანგარიშგება ხელს უწყობს მასების დარაზმვას იმისათვის, რომ მათ არა მარტო დაიცვან სამართლის ნორმები, არამედ აქტიურადც იბრძოლონ კანონიერების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განსამტკიცებლად.

რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონების მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღმასკომებისა და მათი განყოფილებების მიერ მოსახლეობაზე ანგარიშის ჩაბარებას. ამის შედეგია ის, რომ ბოლო დროს საბჭოების მუშაობის საჯაროობის ეს ფორმა ფართოდ გავრცელდა. მოსახლეობის წინაშე ანგარიშგებას მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ეფექტურ საშუალებად იყენებს მცხეთის რაიონული საბჭოს აღმასკომი, რომელიც ყოველ წელიწადს ადგენს განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების გეგმა-განრიგს. ამასთან მისი შედეგების დროს ითვალისწინებს დებუტატთა და ამომრჩეველთა წინადადებებს. საანგარიშო კრებები საინტერესო და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს, ამომრჩეველები იღებენ დასაბუთებულ განმარტებას საბჭოთა კანონმდებლობის ცალკეული ნორმების შესახებ. ანგარიშგებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ განყოფილების და სამმართველოს ხელმძღვანელი აღმასკომს უდგენს ინფორმაციას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მათ განახორციელებს საანგარიშო კრების მონაწილეთა მიერ წამოყენებული წინადადებებისა და შენიშვნების საფუძველზე. ამრიგად, მცხეთის მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ აღმასკომის ანგარიშს კარგად მოვაწყობთ, შეიძლება ოპერატიულად გადავჭრათ ბევრი საკითხი, რაც აღვლევს მოსახლეობას, შევამციროთ საჩივრების ნაკადი, თავიდან ავიცილოთ ცალკეული საკითხების ხელახლა წამოყენება და ხელი შევუწყოთ მშრომელთა სამართლებრივი ცოდნის ღონის ამაღლებას.

მშრომელთა სამართლებრივ აღზრდაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები. არ არსებობს არც ერთი კომისია, რომელსაც არ შეეძლოს თავისი წვლილი შეიტანოს ამ ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ ამ მხრივ მეტის გაკეთება შეუძლია სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიებს, რომლებიც თავიანთი დებულებით მოვალენი არიან აქტიურად მონაწილეობდნენ იურიდიული ცოდნის გავრცელებისა და მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდაში. მართლაც, ეს კომისიები თავიანთი საქმიანობით ყოველნაირად უწყობენ ხელს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას და საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა უფლებების ზუსტად დაცვას.

ჩრესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 854 მუდმივი კომისიაა, რომლებშიც გაერთიანებულია 5355 დებუტატი. ამ კომისიების აქტივი 6599 კაცს ითვლის. 1973 წელს კომისიებმა საბჭოების განსახილველად 747 საკითხი მოამზადეს, აღმასკომების სხდომებისათვის კი 1904. როგორც წესი, საბჭოების სესიებზე სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკითხების შესახებ მოხსენებებითა თუ თანამოხსენებებით გამოდიან ამ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები. გასულ

წელს სესიებზე მოხსენებებითა და თანამოხსენებებით 526 კომისია გამოვიდა. ხშირად სწორედ სოციალისტური კანონიერების კომისიების ინიციატივით და მათი უშუალო მონაწილეობით მოწმდება ამა თუ იმ კანონის შესრულების მდგომარეობა, ტარდება საუბრები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები კანონმდებლობის ცალკეულ საკითხებზე და სხვ.

მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული დეპუტატთა აქტივობაზე. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები ხალხში ტრიალებენ, მშრომელი მასების ნება-სურვილის უშუალო გამომხატველები არიან; ხალხის, სახელმწიფოს ინტერესების საგულშაგოზე დგანან. ამიტომ დეპუტატთა პირადი შრომითი მაგალითი, აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების აღმავლობის ამოცანათა გადაწყვეტაში ადამიანთა შეგნებაზე ზემოქმედების ეფექტიანი და დაძაჯერებელი საშუალებაა.

მოქმედი კანონმდებლობა დეპუტატს ავალებს არა მარტო იმას, რომ აქტიურად მონაწილეობდეს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობაში, ზუსტად ასრულებდეს ამ ორგანოთა დავალებებს, არამედ იმასაც, რომ მუდმივი კავშირი ჰქონდეს ამომრჩევლებთან, აცნობდეს მათ საბჭოს, მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებს, ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს, ცდილობდეს განახორციელოს ამომრჩეველთა განაწესი და წინადადებანი, იღებდეს მოქალაქეებს და ეხმარებოდეს მათ წინადადებების, განცხადებების და საჩივრების გადაწყვეტაში, განუმარტავდეს მოსახლეობას საბჭოთა კანონებს. ამ მოვალეობის შესასრულებლად დეპუტატმა პირველ რიგში თვითონ უნდა იცოდეს კანონები, მომზადებული უნდა იყოს იმისათვის, რომ განუმარტოს ამომრჩევლებს მათთვის საინტერესო საკითხები.

ადგილობრივი საბჭოების 49131 დეპუტატიდან 32752 (ანუ 66,7 პროცენტი) მუშები და კოლმეურნეებია, 27950 (ანუ 64 პროცენტი) კი პირველად არის არჩეული საბჭოებში, ამ ციფრებიდან ცხადი ხდება, რომ დეპუტატთა სისტემატური გეგმაზომიერი სწავლების გარეშე ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებენ თავიანთი სადეპუტატო მოვალეობის შესრულებას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რესპუბლიკაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სწავლებას, მათი სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას. სისტემატურად ეწყობა დეპუტატის დღე, იმართება თათბირ-სემინარები მოქმედი კანონმდებლობის ცალკეული საკითხების, პარტიისა და მთავრობის დადგენილების განსამარტავად. დეპუტატების წინაშე გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლები. ფოთის საქალაქო, კასპის რაიონულ და ზოგიერთ სხვა საბჭოში დეპუტატთათვის იურიდიული კონსულტაციის გასაწევად სპეციალური დღეებიც კი შემოიღეს. ამ დღეებში აღმასკომში მორიგეობენ იურისტები, რომლებიც დეპუტატებს კონსულტაციას უწევენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამ ღონისძიებებმა დადებითი შედეგები გამოიღეს.

ბევრ საბჭოში დეპუტატებს ნამდვილად საქმიანი და მტკიცე კავშირითიერთობა აქვთ ამომრჩევლებთან. ისინი ხშირად ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს, აცნობენ მათ ახალ კანონებს, საბჭოს საქმიანობას და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს. დეპუტატთა ოთახებში იღებენ მოქალაქეებს, განიხილავენ ამომრჩეველთა წერილებს, ყოველნაირად მხარს უჭერენ მათს სამართლიან თხოვნას და უხსნიან საბჭოთა სამართლის ნორმებს. მაგრამ აქვე

უნდა აღნიშნოთ ისიც, რომ სწორედ მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში აღმასკომები მთლიანად ვერ იყენებენ ხალხის რჩეულთ, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობაში მუშაობენ. უფრო მეტიც, სადებუტატო მოღვაწეობის ისეთი კოლექტიური ფორმები, როგორცაა დებუტატთა ჯგუფები და საბჭოები, ჯერჯერობით არაავითარ მონაწილეობას არ იღებენ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაშიც ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ დებუტატებმა. ეს ეხება ბრძოლის გაძლიერებას ადამიანთა შეგნებასა და ყოფაცხოვრებაში არსებული მანვე გადმონაშთების წინააღმდეგ. საიდუმლო როდია, რომ ჩვენში, მეტადრე სოფლებში, აწყობენ ხალხმრავალ ქელებებს, ღრეობებს, რომლებიც ხშირად ჩხუბით, სამართალდარღვევით, ბოროტმოქმედებით მთავრდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგან ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები, დებუტატები არათუ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში არ არიან, არამედ თვითონაც მონაწილეობენ ამ „ლონისძიებებში“, ანდა ჩაურევლობის პოლიტიკას ადგანან. მაგალითად, ასპინძის რაიონის სოფელ ორგორში საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხმრავალი ქელები სოფლის კლუბში გადაიხადეს. სამწუხაროდ ასეთი რამ სხვაგანაც ხდება.

ხალხის რჩეულებმა, ყველა საბჭოს დებუტატებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა წარსულის ამ მანვე გადმონაშთების წინააღმდეგ, უნდა შექმნან საზოგადოებრივი შეურეგებლობის ატმოსფერო სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევთა ირგვლივ. ამ მხრივ საბჭოების მუშაობა მეტი პრინციპულობითა და თანმიმდევრობით უნდა ხასიათდებოდეს.

მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, ამავე საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად ამ ბოლო წლებში სამართლებრივ პროპაგანდაში აქტიურად ჩაებნენ ინფორმაციის მასობრივი საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია.

სამართლებრივი აღზრდის საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე. მარტო ბოლო წლებში ამ გაზეთებმა გამოაქვეყნეს 1000-ზე მეტი მასალა სამართლებრივი აღზრდის თემაზე. ამ მასალებში ხაზგასმით არის აღნიშნული ადგილობრივი საბჭოების როლი სამართლებრივ პროპაგანდაში. ამ მიზანს ემსახურება ახლადშემოღებული რუბრიკები „ადამიანი და კანონი“, „იურიდიული ცოდნა მასებს“, „ჩვენი იურიდიული კონსულტაცია“, „დებუტატი და ცხოვრება“ და სხვ.

სამართლებრივი აღზრდის საკითხებს მეტ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდული გაზეთები, ადგილობრივი პრესა. ტელევიზიამ და რადიომ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკების, შინაგან საქმეთა ორგანოების, მეცნიერების, იუსტიციის, სასამართლოს და პროკურატურის მუშაკების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლობის მონაწილეობით მოაწყვეს გადაცემების ციკლი „კანონიერების სადარაჯოზე“, „კანონი და კანონიერება“, „სამართლებრივი ცოდნა მასებს“, „დებუტატი და კანონი“ და სხვა მრავალი. ეს გადაცემები მოსახლეობაში დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს.

არსებითად გააუმჯობესეს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“ და მისმა ორგანიზაციებმა. საინტერესო ლექციებით გამოდიან პროფესორები ბ. ფურცხვანიძე, ვ. ფარქოსაძე, ა. ფა-

ლიაშვილი, ნ. წერეთელი, გ. ინჭკირველი და სხვები. სალექციო პროპაგანდაში მეცნიერებს გარდა მონაწილეობენ პროკურატურის, სასამართლოს, ადვოკატურის, მილიციის ის მუშაკები, რომლებსაც პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრს მუშაობენ იუსტიციის სამინისტრო და მისი მუშაკები. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საბჭოების მუშაკები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში. აღმასკომების თავმჯდომარეები, თავმჯდომარეთა მოადგილეები, მდივნები, საბჭოების მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები, დეპუტატები ჯერ კიდევ იშვიათად გამოდიან პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე, თავიანთ მუშაობაზე, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში საბჭოების მონაწილეობაზე და სხვ.

მოსახლეობის ფართო მასების იურიდიულ ცოდნის დონის ამაღლების საქმეში დიდ როლს ასრულებს სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 53 ასეთი სახალხო უნივერსიტეტი და ფაკულტეტი მუშაობს. მთელი მათი საქმიანობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რამდენად იზრდება მშრომელთა ინტერესი სახელმწიფო მშენებლობის, საბჭოთა დემოკრატიის, სოციალისტური კანონიერების პრობლემებისადმი. საინჟინერო, რომ სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტების მსმენელთა შორის არიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, სახალხო მსაჯულები, ამხანაგური სასამართლოების წევრები, რაზმელები. საბჭოებმა „ცოდნის“ რაიონული და საქალაქო განყოფილებებმაც ყველა ზომა უნდა მიიღონ, რომ გააფართოონ სამართლებრივი ცოდნის ფაკულტეტების, სახალხო უნივერსიტეტების ქსელი და მით ხელი შეუწყონ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეს.

არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის საკითხი. მართალია, ამ ბოლო დროს დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ამ მხრივ, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ახალგაზრდობის, მოსწავლეთა და სტუდენტთა სამართლებრივი აღზრდისათვის გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, საბჭოები კი ბევრს არაფერს აკეთებენ ამ საქმის გამოსასწორებლად.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დაბალია ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა, მოვიყვან ასეთ მაგალითებს: ამ რამდენიმე ხნის წინათ მოეწყო საშუალო სკოლების VIII-X კლასების მოსწავლეთა გამოკითხვა. გამოკითხეს 1100 მოწაფე. კითხვაზე, თუ რა ასაკიდანაა დაწესებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მოსწავლეთა ნახევარმა უპასუხა, 16 წლიდან, ხოლო ყოველმა მეექვსე მოსწავლემ — 18 წლიდან. ცნობილია, რომ ზოგიერთი დანაშაულის გამო არასრულწლოვანები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემიან 14-16 წლის ასაკიდან. გამოკითხულ მოწაფეებს ასეთივე არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ სასჯელის ზომაზე. ბევრმა უპასუხა, ჩემი დანაშაულისათვის ყველაზე მკაცრი სასჯელი იქნება მშობლების გაფრთხილება ან დაჯარიმება. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ არასრულწლოვანს შეიძლება მიუსაჯონ 2-4 წლის პატიმრობა მაშინ, როცა სინამდვილეში არასრულწლოვანთა სასჯელის ვადად გათვალისწინებულია 10 წელიც კი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობას, როცა ბოროტმოქმედებას ჩადის, ჰგონია, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. თუმცა კანონის არცოდნა არავის არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

საინტერესოა მონაცემები იმაზეც, თუ რა როლს ასრულებენ პედაგოგები და მასობრივი ინფორმაციის ორგანოები მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში. გამოკითხულ მოწაფეთა 4,4 პროცენტმა უპასუხა, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ამბავი მასწავლებლისაგან შევიტყვეთო; 4,3 პროცენტმა უპასუხა წიგნებსა და გაზეთებში ამოვიკითხეთ ან რადიოთი და ტელევიზიით გავიგეთო; 0,2 პროცენტმა — არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებში გვესაუბრნენო და 7,8 პროცენტმა უპასუხა, წინათ ნასამართლვეი ხალხისგან ვიციითო. ამრიგად, გამოდის, რომ მოწაფეები სამართლებრივ ინფორმაციას თანაბრად იღებენ, ერთი მხრივ, პედაგოგების, საბჭოების კომისიების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და, მეორე მხრივ, წინათ ნასამართლვე პირთაგან.

ეს არც არის გასაკვირი. დამნაშავეობის მიზეზების შემსწავლელმა და თავიდან აცილების სრულიად საკავშირო ინსტიტუტმა ამას წინათ შეამოწმა, თუ რამდენად ერკვევიან ელემენტარულ სამართლებრივ საკითხებში საშუალო სკოლების საზოგადოებათმცოდნეობის, ისტორიის და ლიტერატურის მასწავლებლები. შედეგები ფრიალ სამწუხარო იყო.

ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი გამოკვლევები არ ჩატარებიათ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო სურათი ასეთივე იქნება. ეტყობა, ჩვენი ახალგაზრდობის ზნეობრივ-სამართლებრივი აღზრდის მუშაობაში ახალი ფორმები უნდა ვეძიოთ, რათა იგი უფრო გასაგები და საინტერესო გავხადოთ. მოსაწყენ ლექციების კითხვას უნდა ვამჯობინოთ სამართლებრივი აღზრდის ისეთი ფორმები, როგორცაა ვიქტორინები, კითხვა-პასუხის საღამოები, სხვა მსგავსი ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ თვითონ მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას.

ამყამად რესპუბლიკის ბევრ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში შემოდებულია საბჭოთა სამართლის როგორც ფაკულტატიური საგნის სწავლება. სამართლებრივი განათლება შემოდებულია ყველა პროფტექნიკურ სასწავლებელში. მაგრამ საჭიროა, რომ ახალგაზრდობის სამართლებრივი ცოდნის ამაღლება განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს. ამ საქმეში უფრო აქტიურად უნდა ჩაებან ჩვენი საბჭოები.

ამ ბოლო წლებში საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ და მისმა პრეზიდიუმმა არაერთი კანონი და ნორმატიული აქტი მიიღეს. მაგალითად, კანონები მშრომელთა დებუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო საბჭოების შესახებ, კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქორწინო და საოჯახო კოდექსი, მიწის კოდექსი, შრომა-გასწორების კოდექსი, შრომის კანონთა კოდექსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება და სხვ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ერთ მიზანს ისახავს — არსებული კანონმდებლობის სრულყოფას, კანონებსა და ნორმატიულ აქტებში საზოგადოებრივი პროცესების, ხალხის ინტერესებისა და ნების ზუსტად ასახვას. ამიტომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კანონების განუხრელად განხორციელებისადმი კონტროლს, სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

უმალესი საბჭოს მუდმივი კომისიები, პრეზიდიუმი სისტემატურად იხილავენ ისეთ საკითხებს, რომლებიც რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის დაცვას ეხებიან.

საბჭოთა კანონმდებლობის დაცვის, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მუდმივი კომისიების მიერ მიღებულ ყველა დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა გვაძლიეროთ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა, ავამაღლოთ დებუტატების, საბჭოთა აქტივის და ყველა იმ პირის სამართლებრივი კულტურა, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობასთან.

მოსახლეობაში სამართლებრივი პრობაგანდის მდგომარეობის საკითხი არა ერთხელ ყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების და პრეზიდიუმის სპეციალური განხილვის საგანი.

ამ მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე და მეხუთე სესიებმა განიხილეს საკითხები: მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე და კანონიერების დაცვის მდგომარეობა ადგილობრივ საბჭოებში.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს დაუხდობელი, უკომპრომისო ბრძოლა სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ, პარტიული, სახელმწიფო დისციპლინის და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის კი აუცილებელია საბჭოები, სამინისტროები, უწყებები და ადმინისტრაციული ორგანოები სისტემატურად სრულყოფდნენ ორგანიზატორულ მუშაობას მასებში და მთელ თავიანთ სამართალშემოქმედებით საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება, მშრომელთა მართლშეგნების დონის შემდგომი ამაღლება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის სიტყვები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა პარტიის XXIV ყრილობაზე.

„სამართლის, კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. ვერ შევუბრუნებთ კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ. ვერ შევუბრუნებთ ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას“.

სანაკრებო და დანახაჯულბათა საცხოვრებელი სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლება

დოც. ს. ჯაფარიძე

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობი მოქალაქეებს ეძლევათ ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ამ საერთო დებულებიდან გამონაკლისი დაშვებულია იმ საუწყებო საცხოვრებელი სახლების მიმართ, რომლებიც აგებულია საწარმოს ფონდის და ფართო მონმარების ფონდის სახსრების ხარჯზე. ასეთი წესით აგებულ სახლებში საცხოვრებელი სადგომი მოქალაქეებს ეძლევათ საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაც შემდგომ ეცნობება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ერთადერთ დოკუმენტს, რომელიც იძლევა საცხოვრებელ სადგომში ჩასახლების უფლებას, მიუხედავად მისი უწყებრივი კუთვნილებისა წარმოადგენს ორდერი, რომელსაც გასცემს საბინაო ორგანო (ბინების აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება, საბინაო სამმართველო, კომუნალური მეურნეობის განყოფილება) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების სრული შესაბამისობით (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 თებერვლის № 88 დადგენილება)¹.

კანონით დადგენილი წესით გაცემული ორდერის საფუძველზე, ორდერის მფლობელსა და სახლმმართველობას შორის დაიდება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ამ ხელშეკრულებით დამქირავებელი ვალდებულია: საცხოვრებელი სადგომი და დამხმარე სათავსები გამოიყენოს მათი პირდაპირი დანიშნულებით; გაუფრთხილდეს და მზრუნველობით მოეპყროს საცხოვრებელ სადგომს, საერთო სარგებლობის ადგილებს და მოწყობილობებს; კანონით დადგენილი წესით და ოდენობით გადახადოს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების ხარჯები; დაიცვას საცხოვრებელი ბინებით სარგებლობის წესები; სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის შემთხვევაში გაათავისუფლოს საცხოვრებელი სადგომი და ჩააბაროს იგი გამქირავებელს.

საწარმოს, დაწესებულების საუწყებო სახლებში საცხოვრებელი სადგომის

¹ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1966, № 1, მუხ. 1.

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა და დამქირავებელთა გამოსახლება ხორციელდება იმავე წესით და საფუძვლით, რაც კანონით დადგენილია მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებისათვის. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი დაშვებულია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებისა და დაწესებულებების საუწყებო სახლებისათვის. ასეთი სახლებიდან დამქირავებელთა გამოსახლება გარდა საერთოდ დადგენილი საფუძვლებისა, შეიძლება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა ამ ორგანიზაციებთან.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა შეიძლება როგორც დამქირავებლის, ისე გამქირავებლის მოთხოვნით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322-ე მუხლის თანახმად საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა. დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებლად სხვა ადგილას გადასვლის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება მოშლილად ითვლება მათი წასვლის დღიდან (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-4 პუნქტი).² გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა და დამქირავებლის გამოსახლება შეუძლია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით და შემთხვევებში. ამასთან გამოსახლება შეიძლება სასამართლო წესით როგორც საცხოვრებელი სადგომის მიცემით, ისე საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დამქირავებლის გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით შეიძლება იმ სახლიდან, რომელიც უნდა დაინგრეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით. გარდა ამისა სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ თუ სათანადო კომბენტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლი აუცილებელია საწარმოო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ამ სახლში მცხოვრები პირები შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სასამართლო წესით, სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-12 პუნქტი)³. ამის შესაბამისად დაინტერესებულ დაწესებულებას შეუძლია სასამართლოს წესით მოითხოვოს დამქირავებლის გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით იმ სახლიდან, რომელიც აუცილებელია საწარმოს გაფართოების, მუზეუმის ან სხვა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. სახლის საწარმოო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებლობის საკითხს წყვეტს მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საუწყებო სახლებიდან დამქირავებელთა გამოსახლება დასაშვებია აგრეთვე სხვა

² «Бюллетень Верховного суда СССР», 1964, № 3, стр. 22.

³ «Сборник Постановлений пленума Верховного Суда СССР 1924—1970», 1970, стр. 84.

საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. მოქმედი საბინაო კანონმდებლობის თანახმად დამქირავებელთა გამოსახლება შეიძლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) **გამოსახლება საცხოვრებელი სადგომის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.** საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად დამქირავებელი ვალდებულია საცხოვრებელი სადგომი გამოიყენოს პირდაპირი დანიშნულებით. დაუშვებელია საცხოვრებელი სადგომის გადაკეთება და მისი სხვა მიზნით გამოყენება, თუნდაც ამის შესახებ არსებობდეს დამქირავებლის წერილობითი თანხმობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-14 პუნქტის თანახმად, თუ დადგენილია ფაქტი, რომ საცხოვრებელი სადგომი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ (საცხოვრებელი სადგომის არასაცხოვრებლად გადაკეთება, საერთო სარგებლობის ადგილებში ჩასახლება), სასამართლომ გაუქმებულად უნდა ჩათვალოს დამქირავებლისა და დამქირავებლის ასეთი შეთანხმებები და გამოასახლოს ის პირი, რომელსაც საცხოვრებელი სადგომი მისი დანიშნულების მიხედვით არა აქვს გამოყენებული⁴. ასეთი საფუძველით დამქირავებლის გამოსახლების შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს საბინაო ორგანოებს, რომელთა გამგებლობაში სახლი იმყოფება, პროკურორს, აგრეთვე სხვა პირებსა და ორგანიზაციებს, რომელთა კანონიერი უფლებები დარღვეულია დამქირავებლისა და დამქირავებლის უკანონო შეთანხმებით. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკით ასეთი შეთანხმების გაუქმების და დამქირავებლის გამოსახლების შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრისათვის არ გამოიყენება კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები⁵.

ბ) **გამოსახლება საცხოვრებელი სადგომის დაზიანებისათვის.** საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების ძალით დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ და მზრუნველობით მოეპყრან საცხოვრებელ სადგომს, დამხმარე სათავსოებსა და კომუნალურ მოწყობილობას. დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც სისტემატურად აფუჭებენ ან აზიანებენ საცხოვრებელ სადგომს, დამხმარე სათავსოებსა და კომუნალურ მოწყობილობას, გამოიყენება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი სახლის კომიტეტის ან ამხანაგური სასამართლოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას დადებითი შედეგი არ მოჰყვა, დამქირავებელი გამოსახლებულ უნდა იქნეს სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-13 პუნქტის შესაბამისად ის პირი, რომელიც სისტემატურად ანგრევს ან აფუჭებს საცხოვრებელ სადგომს დამქირავებლის, იმავე ბინაში ან სახლში მცხოვრებ დამქირავებელთა მოთხოვნით ან პროკურორის სარჩელით შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად (თუ მათ მიმართ გამოყენებული გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი უშედეგო აღმოჩნდნენ) საცხოვრებელი სადგომის დანგრევის ან დაზიანების ფაქტი დადგენილ უნდა იქნას ტექნიკური ექსპერტიზის

⁴ «Бюллетень Верховного Суда СССР». 1964, стр. 22.

⁵ «Социалистическая законность», 1953, № 3, стр. 89; 1954, № 8, стр. 90.

დასკვნით, ადგილობრივი დათვალეობებით და სხვა მტკიცებულებებით. ამასთან ასეთი საფუძვლით შეიძლება მხოლოდ იმ პირის გამოსახლება, რომელიც თავისი მოქმედებით, თუ უმოქმედობით ანგრევს ან აზიანებს საცხოვრებელ სადგომს, და არა მთელი ოჯახისა. ამასთან სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთ პირს უნდა დაეკისროს მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახლმმართველობის სასარგებლოდ.

სახალხო სასამართლოს უფლება არა აქვს საცხოვრებელი სადგომის დანგრევის ან გაფუჭების გამო დაქირავებული ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი გამოასახლოს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუხედავად, თუ სახალხო სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე მათ მიმართ არ ყოფილა გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები.

გ) გამოსახლება ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ის პირი, რომელიც სისტემატურად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ამით სხვებისათვის შეუძლებელს ხდის მასთან ერთად ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ოჯახის წევრების, დაქირავებულის, იმავე ბინაში ან სახლში მცხოვრები სხვა დაქირავებულების მოთხოვნით, აგრეთვე პროკურორის სარჩელით შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუხედავად, თუ მისი ყოფაქცევა უკვე იყო მილიციის, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანოების განხილვის საგანი, მაგრამ გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი უშედეგო აღმოჩნდა (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-13 პუნქტი)⁶. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად აღნიშნული საფუძვლით დაქირავებულის გამოსახლება შეიძლება სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების არაერთგვარად, არამედ სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში⁷.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი, ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო დაქირავებულისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების შესახებ, გამოიყენება აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც საცხოვრებელ სადგომში ცხოვრობენ ქვექირავენობის ხელშეკრულების საფუძველზე ან დროებითი მდგმურის უფლებით. ამასთან ასეთი საფუძვლით შეიძლება გამოსახლებული იქნეს მხოლოდ ის პირი, რომელიც თავისი ყოფაქცევით შეუძლებელს ხდის სხვებთან ერთად ცხოვრებას და არა ოჯახის სხვა წევრები.

მოქმედი საოჯახო სამართლის კანონმდებლობით მშობლებს ან ერთერთ მათგანს შეიძლება სასამართლოს წესით ჩამოერთვას მშობლის უფლებანი, თუ გამოირკვევა, რომ ისინი თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას, ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს, სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მათზე გავლენას ახდენენ შვილებზე თავიანთი ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე თუ მშობლები ქრონიკული ალკოპოლიები ან ნარკომანები არიან.

დაინტერესებულ პირთა (სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციების, ერთ-ერთი მშობლის, მეურვის, მზრუნველის) მოთხოვნით მოქალაქე,

⁶ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964, № 3, стр. 22.

⁷ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1973, № 2, стр. 5.

პ. მარქის სს. საქ. მს.
 სახელმწიფო რეპუბლიკის



რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება სისტემატურად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ამით შეუძლებელს ხდის ბავშვის მასთან ცხოვრებას, არ ემორჩილება გაფრთხილებებსა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად⁸. შემდგომში ასეთი პირის მშობლის უფლებაში აღდგენა არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ საფუძველს, მისთვის იმ საცხოვრებელი ბინის დაბრუნებისათვის, საიდანაც იგი გამოასახლეს.

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებისა და დაწესებულებების საუწყებო სახლებიდან, საცხოვრებელი სადგომის დაზიანების ან ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო გამოსახლების შემთხვევაში ოჯახის წევრებს უფლება აქვთ ისარგებლონ საცხოვრებელი სადგომით, თუ გამოასახლებულმა პირმა შრომითი ურთიერთობა არ შეწყვიტა ამ ორგანიზაციათან.

დ) იმ პირთა გამოსახლება, რომლებსაც აქვთ პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლები. სოციალისტური საზოგადოებაში არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, რომ თუ მოქალაქეს აქვს პირადი საკუთრების თავისუფალი საცხოვრებელი სახლი, იგი ცხოვრობდეს სხვა სახლში ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სხვა საცხოვრებელი ფართის მიუცემლად, თუ მას იმავე დასახლებულ პუნქტში აქვს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი, რომელიც ვარგისია მუდმივ საცხოვრებლად და შეიძლება მასში ჩასახლება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებათა შესაბამისად ასეთი მონაცემების არსებობისას დამქირავებელთან ერთად გამოსახლებულ უნდა იქნენ აგრეთვე მისი ოჯახის წევრებიც⁹.

ამავე საფუძველზე არ შეიძლება იმ პირთა გამოსახლება, რომლებსაც სხვა დასახლებულ პუნქტში (ქალაქი, დაბა, სოფელი) აქვთ ძირითადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი¹⁰.

კანონით საგანგებო პირობებია დადგენილი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებისა და დაწესებულებების საუწყებო სახლებიდან იმ პირთა გამოსახლებისათვის, რომლებმაც საცხოვრებელი სადგომები მიიღეს შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 62-ე მუხლით და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებით მთლიანად გაუქმებულია საწარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებიდან, აგრეთვე მათ მიერ იჯარით აღებული სახლებიდან მუშებისა და მოსამსახურეების ადმინისტრაციული წესით გამოსახლება და შემოღებულია საუწყებო სახლებიდან მუშებისა და მოსამსახურეების სამართლოს წესით გამოსახლება. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წრე, რომელთა სახ-

⁸ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 66-ე მუხლი.

⁹ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964, № 3, стр. 22; «Социалистическая законность», 1973, № 11, стр. 86.

¹⁰ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1970, № 5, стр. 13.

ლებიდან შეიძლება მუშებისა და მოსამსახურეების სასამართლოს წესით გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლიათ განსაზღვრონ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიები, რომელთა სახლებიდან შეიძლება სასამართლოს წესით მუშებისა და მოსამსახურეების გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ გაწყვეტილი აქვთ შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან (დაწესებულებასთან) პირადი თხოვნით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

ასეთი მონაცემების არსებობისას სარჩელი დამკვირვებელთა გამოსახლების შესახებ, სასამართლოში შეიძლება აღიძრას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დღიდან სამი წლის განმავლობაში.¹¹

გამოსახლების ეს საფუძვლები ამომწურავია და მას არ შეიძლება გავრცობითი ახსნა-განმარტება მიეცეს. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით გათვალისწინებული გამოსახლების წესი არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საწარმოსთან (დაწესებულებასთან) შრომითი ურთიერთობა შეწყვიტეს შტატების შემცირებასთან ან უვარგისობასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით¹² დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სია, რომელთა სახლებიდან დასაშვებია მუშათა და მოსამსახურეთა სასამართლოს წესით გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. იმ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც შეტანილი არ არიან ამ სიაში უფლება არა აქვთ მოითხოვონ მათ გამგებლობაში არსებული სახლებიდან მუშებისა და მოსამსახურეების გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.


საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნული დადგენილების გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 აგვისტოს № 755 დადგენილების „საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი ფართობის გამოყენების მოწესრიგების შესახებ“ (1963 წლის 25 მაისის № 591 დადგენილების რედაქციით)¹³ თანახმად საბჭოთა მეურნეობის სახლებიდან მუშებისა და მოსამსახურეების გამოსახლება, რომლებმაც საცხოვრებელი სადგომი მიიღეს შრომითი ურთიერთობის საფუძველზე შეიძლება სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლით გათვალისწინებული წესის და პირობების დაცვით.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლით დადგენილი წესი გამოიყენება აგრეთვე იმ მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ, რომ-

¹¹ «Советская юстиция», 1974, № 6, გვ. 28.

¹² საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1963, № 3, მუხ. 76.

¹³ СП СССР, 1963, № 10, стр. 105.



ლებმაც შრომითი ურთიერთობა შეწყვიტეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საწარმოებთან და დაწესებულებებთან¹⁴.

გამოსახლების ზემოთაღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი მიეცათ აღნიშნული საწარმოების (დაწესებულებების) საუწყებო სახლებში ან მათ მიერ იჯარით აღებულ სახლებში შრომითი ურთიერთობის საფუძველზე. ასეთი წესით გამოსახლება არ შეიძლება იმ პირებისა, რომლებსაც შრომითი ურთიერთობასთან დაკავშირებით მიეცათ საწარმოსათვის (დაწესებულებისათვის) გამოყოფილი ფართობი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში ან სხვა უწყების სახლებში. მათი გამოსახლება შეიძლება საერთო საფუძველზე სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის № 5 დადგენილებით¹⁵ განმარტებულია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველებით 62-ე მუხლით გათვალისწინებული გამოსახლების წესი, ვრცელდება აგრეთვე იმ საუწყებო საცხოვრებელ სახლებზეც, რომლებიც აშენებულია მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი მონაწილეობით, ვინაიდან ამ სახლების აშენების წესი არ ცვლის მათ უფლებრივ მდგომარეობას.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 62-ე მუხლით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის) შეიძლება იმ პირთა გამოსახლება, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან ან დაწესებულებასთან შეწყვიტეს, მას შემდეგ, როდესაც ისინი შეიტანეს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოთა და დაწესებულებათა სიაში. ხოლო იმ პირთა გამოსახლების საკითხი, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან ან დაწესებულებასთან შეწყვიტეს ამ საწარმოს ან დაწესებულების აღნიშნულ სიაში შეტანამდე სასამართლოს მიერ გადაწყდება საერთო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ის პირნი, რომლებმაც 1962 წლის 1 იანვრის შემდეგ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი თხოვნით, შეიძლება გამოსახლებულ იქნან საუწყებო სახლებიდან სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი უარს იტყვიან დაბრუნდნენ წინანდელ სამუშაო ადგილზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ადმინისტრაცია არ დააკმაყოფილებს მუშაკის მოთხოვნას წინანდელ სამუშაოზე დაბრუნების შესახებ ან არ მისცემს მას სამუშაოს სპეციალობის მიხედვით, მაშინ სარჩელი საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ასეთი მუშაკის გამოსახლების შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს.¹⁶ დაუშვებელია აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ პირთა გასახლება, რომლებიც დათხოვნილი არიან სამუშაოდან პირადი განცხადებით უმაღლეს სასწავლებელში, ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში ან ასპირანტურაში მიღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინვალიდობის ან მოხუცებულობის გამო პენსიაზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარ-

¹⁴ Справочник офицера по Советскому Законодательству, 1966, стр. 257.

¹⁵ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1963, № 3, стр. 16.

¹⁶ В. З а м я т и н, Применение ст. 62 Основ гражданского законодательство, «Социалистическая законность», 1963, № 2, стр. 16.

ტის № 5 დადგენილებით¹⁷ დაუშვებელია აგრეთვე იმ პირის სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად გამოსახლება, რომელიც დათხოვნილია სამუშაოდან, მაგრამ მისი შვილი ან ოჯახის რომელიმე წევრი იმავე საწარმოში მუშაობს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის მეორე ნაწილით ომის ინვალიდები, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდები, მოხუცებულობის გამო პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას, საწარმოებისა და დაწესებულებების საუწყებო სახლებიდან გამოსახლებიან მხოლოდ სასამართლოს წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემის შემთხვევაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის № 5 დადგენილებით დაუშვებელია ამ პირთა სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად გამოსახლება მიუხედავად იმისა საცხოვრებელი ფართობი მათ მიიღეს თუ ოჯახის რომელიმე წევრმა. კერძოდ ის პირი, რომელიც დათხოვნილია პირადი განცხადებით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით არ შეიძლება გამოსახლებული იქნეს სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის რომელიმე წევრი (მეუღლე, შვილი, მშობლები და სხვ.) არის ომის ინვალიდი, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდი, მოხუცებულობის გამო პენსიონერი, პერსონალური პენსიონერი ან გაწვეულია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო სამსახურში. გარდა ამისა დაუშვებელია იმ პირთა ოჯახების გამოსახლება, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობამ სასამართლოში აღძრა სარჩელი მოქ. ფ-ის გამოსახლების შესახებ იმ მოტივით, რომ მას საბჭოთა მეურნეობის სახლში საცხოვრებელი ფართობი მიეცა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ იგი დათხოვნილია პირადი განცხადებით, მეურნეობა მოითხოვდა მის გამოსახლებას სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით საბჭოთა მეურნეობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. სასამართლო კოლეგიის განჩინებით სახალხო სასამართლო გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული ძალაში. სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები გაპროტესტებულ იქნა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ. პროტესტში აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ მოპასუხის მამა სამამულო ომში დაიღუპა. ამის გამო სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლით მისი, რგორც სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული პირის ოჯახის წევრის გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად არ შეიძლება. მამის დაღუპვის მომენტში მოპასუხე იყო მცირეწლოვანი. გამოსახლების შესახებ სარჩელის წარდგენის დროისათვის კი მას თავისი და მოუკიდებელი ოჯახი არ შეუქმნია და ამიტომ კვლავ დარჩა თავის დაღუპული მამის ოჯახის წევრად. ლენინგრადის ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმმა და-

¹⁷ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1963, № 3, стр 16.

აკმაყოფილა პროტესტის მოთხოვნა და საბჭოთა მეურნეობას უარი უთხრა მოპასუხის გამოსახლებაზე.¹⁸

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის საფუძველზე გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ უნდა განიხილოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადის საკითხი და ამ საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს წლის დრო, აგრეთვე სხვა საცხოვრებელი სადგომის მოსაძებნად საჭირო ვადა და სხვა პატივსაღები გარემოებები.

საქმეში მონაწილე პირთა თხოვნით სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც დაადგინოს გადაწყვეტილების აღსრულების განვადება. გადაწყვეტილების განვადების საკითხი განიხილება სასამართლოს სხდომაზე. დაინტერესებულ პირებს ეუწყებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 214-ე მუხლი).

¹⁸ «Социалистическая законность», 1964, стр. 73.

სამოქალაქო საკითხებსა და კანონმდებლობაზე ზოგადი სწავლების შედეგის საკითხისათვის

ბ. იოსავაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,

ა. ცინცაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების უმრავლესობა ითვალისწინებს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაპროტესტების 10-დღიან ვადას (მაგალითად, რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ და სხვა).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლი გადაწყვეტილების საკასაციო გასაჩივრების ან გაპროტესტების ვადად აწესებს თოთხმეტ დღეს. ეს გარემოება იწვევს სამოქალაქო დავების გადაწყვეტისა და დამთავრების გაჭიანურებას. ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო საქმეების განხილვის პრაქტიკის განზოგადება გვიჩვენებს, რომ აღძრული სარჩევლების თითქმის 95 პროცენტი დაკმაყოფილებულია, მაგრამ საქმეების აღსრულება მინც არ ხდება, ვინაიდან გადაწყვეტილება ძალაში არ შედის 14 დღის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნული გარემოება საქმეს აჭიანურებს, როცა ეს სრულებით არ არის საჭირო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 340-ე მუხლის საფუძველზე ყველა სასამართლოს განაჩენი და განჩინება (გარდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი განაჩენისა და განჩინებისა) შეიძლება გაპროტესტებულ და გასაჩივრებულ იქნას საკასაციო ინსტანციაში ხუთი დღის ვადაში. სისხლის სამართლის საქმე და საქმეზე გამოტანილი განაჩენი თავისი მოცულობით ხშირად უფრო დიდია, ვიდრე სამოქალაქო საქმე. ამავე დროს გამორიცხული არ არის, რომ საკასაციო საჩივრის ავტორი შეიძლება თავისუფლებადკვეთილი პირია და ამ მხრივაც საკასაციო საჩივრის შეტანა უფრო მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა მინც შემცირებულია. თუ ათეულ ტომებიან სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის ირგვლივ გამოტანილი განაჩენი რამდენიმე ათეულ გვერდს შეიცავს, შესაძლებელი და მოსახერხებელია საკასაციო საჩივრის შეტანა ხუთ დღეში და ეს არ ითვლება მოქალაქეთა უფლების შელახვად, რატომ არ შეიძლებოდა იმავე ვადაში შეტანილიყო საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე. თუ თავისუფლებადკვეთილი პირი ახერხებს ხუთი დღის ვადაში დაიცვას თავისი უფლებები, რატომ არ შეუძლია ეს გააკეთოს მოქალაქემ სამოქალაქო საქმეზე.

ჩვენ აზრით, სამოქალაქო საქმეების ოპერატიული გადაწყვეტისა და მოქალაქეთა უმრავლესობის ინტერესების დაცვის გაუმჯობესების მიზნით საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა შემცირდეს ოთხ დღემდე.

* იბეჭდება განხილვის წესით.



საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე მოსამართლეს, რომელიც გადაწყვეტილების, საკასაციო ან საზედამხებდევლო ინსტანციის განჩინების ან დადგენილების გამოტანისას არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსაკუთრებული აზრი. განსაკუთრებული აზრი დაერთვის საქმეს, კანონში არაფერია ნათქვამია, რა უნდა გაკეთდეს და რა შედეგი მოჰყვება განსაკუთრებულ აზრს თუ საქმე საკასაციო წესით არ საჩივრდება, ანდა თუ განსაკუთრებული აზრი საკასაციო ინსტანციის მოსამართლემ დაწერა. სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული აზრი წარედგინება უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს. მაგრამ ამის მომწესრიგებელი რაიმე ნორმა არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა კანონის ამ ხარვეზის შევსება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 316 და 202 მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებას ხელს აწერს სასამართლოს მთელი შემადგენლობა. პრეზიდიუმის დადგენილებას პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ხოლო პლენუმის დადგენილებას — პლენუმის თავმჯდომარე და მდივანი.

მიგვაჩნია, რომ პრეზიდიუმის დადგენილებასაც ხელს უნდა აწერდეს პრეზიდიუმის ყველა წევრი, უკიდურეს შემთხვევაში, პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი. გამონაკლისის დაშვება პრეზიდიუმის დადგენილების მიმართ არაფრით არ არის გამართლებული.

თანამდებობის პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის უფლება, შეუძლიათ შეაჩერონ სათანადო გადაწყვეტილების, განაჩინის და დადგენილების აღსრულება ზედამხედველობის წესით საქმის წარმოების დამთავრებამდე. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332 მუხლის საფუძველზე ასეთ თანამდებობის პირების რაოდენობა რამდენიმე ათეულობით განისაზღვრება. ამავე დროს კანონი არ კრძალავს უფროს თანამდებობის პირის მიერ შეჩერების გაუქმების შემდეგ აღსრულება შეაჩეროს მასზე უმცროსი თანამდებობის პირმა. კანონი არ უკრძალავს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332 მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს რამდენიმეჯერ შეაჩერონ გადაწყვეტილების აღსრულება. ეს იწვევს გადაწყვეტილების აღსრულების უსასრულო გაჭიანურებას. მიზანშეწონილია ერთი და იგივე პირს არ ქონდეს შეჩერების თაობაზე რამდენიმეჯერ განკარგულების გაცემის უფლება. ამავე დროს, თუ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332 მუხლში ჩამოთვლილი უფროსი თანამდებობის პირის მიერ აღსრულების შეჩერების განკარგულების გაუქმებისას სუბორდინაციის დაცვის პრინციპის მიხედვით მასზე ქვემდგომ თანამდებობის პირს არ უნდა ჰქონდეს აღსრულების შეჩერების უფლება, ეს თავიდან აგვაცილებდა საქმის გაჭიანურებას.

ატყილებელია კანონით განისაზღვროს, რა ხნით შეუძლია თანამდებობის პირს შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. ვადები შეიძლება დიფერენცირებული იყოს თანამდებობის პირების მიმართ, შეჩერების უვადო უფლება ხშირად კანონის უხეშ დარღვევას იწვევს.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 49-ე მუხლის მე-6 აბზაცში მითითებულია, რომ „საჭირო შემთხვევაში მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეცნობებათ საქმის განხილვის დრო და ადგილი. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332 მუხლის საფუძველზე საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ, თუ არაა სხვა წესით დადგენილი, საქმის განხილვის დრო და ადგილი განისაზღვრება საქმის მართლებლის მიერ“.

როცესო კოდექსის 337-ე მუხლი საჭიროდ არ თვლის საჭირო შემთხვევაში მხარეებს ეცნობოს საქმის განხილვის დრო და ადგილი. კოდექსის მიხედვით „საჭირო შემთხვევაში საქმეში მონაწილე სხვა პირებს (და არა მხარეებს) ეცნობებათ საქმის განხილვის დრო და ადგილი“. ცხადია, რომ რესპუბლიკის კანონმდებლობას არ შეუძლია შეცვალოს საკავშირო კანონმდებლობის ნორმები, არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ იურიდიული ტერმინები საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში იგივე უნდა იყოს, რაც საწყისებშია გამოყენებული. საფუძვლებში ნათქვამი „პროტესტის ასლები“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კი „პროტესტის პირები“. აუცილებელია ორივე საკანონმდებლო აქტში ერთი ტერმინი იყოს გამოყენებული.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობს სამოქალაქო დავების დროულად და ხარისხიანად გადაწყვეტას.

მაგნიტოფონის გამოყენება საქართველოში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში

პროფ. ა. ფალიაშვილი

1. სკკპ და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები და ახალი ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 30 ნოემბერს მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, რომელიც საკანონმდებლო წესით აწესრიგებს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მოღვაწეობაში ჩვენების მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერის საკითხებს.

ჩვენების ჩაწერა მაგნიტოფონის ფირზე საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში გამოიყენება, როგორც ჩვენების ფიქსაციის ერთ-ერთი ტექნიკური და ეფექტური საშუალება. ხმის ჩაწერის არსი იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის დროს მაგნიტოფონის ფირზე იწერება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის ან მოწმის ჩვენება, ანდა ზდება სხვა საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედების ფიქსაცია.

თანამედროვე პირობებში ხმის ჩაწერა მაგნიტოფონის ფირზე ხდება აგრეთვე ისეთი საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების დროს, როგორცაა დაკითხვა, დაპირისპირება, ამოცნობა, ამოღება, ჩხრეკა, ადგილზე გაყვანა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და საგამომძიებლო ექსპერიმენტი.

საქართველოს სსრ უკანასკნელი წლების პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ მაგნიტოფონი საგამომძიებლო მოქმედებათა შედეგების ფიქსაციის მიზნით შედარებით ხშირად გამოიყენება. ასე, საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში არასრული მონაცემებით მაგნიტოფონის ფირზე ფიქსირებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებანი 1968 წელს — 30-ჯერ, 1969 წელს — 40-ჯერ; 1970 წელს 70-ჯერ, 1971 წელს — 242-ჯერ, 1972 წელს 189-ჯერ. 1973 წელს მაგნიტოფონების გამოყენების შემთხვევებმა შედარებით იკლო.

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოები თითქმის არ იყენებენ მაგნიტოფონს სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესის ფიქსაციის მიზნით ან ცალკეულ სასამართლო მოქმედებათა მსვლელობის ჩაწერისათვის. სასამართლო ორგანოები ძალზე იშვიათად ახდენენ გამოძიების პროცესში მიღებულ ფონოგრამის რეპროდუქციას სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პროკურატურა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უფრო ფართოდ დაინერგოს მაგნიტოფონის ფირზე ჩვენებათა და სხვა საგამომძიებლო მოქმედებათა ფიქსაცია რაიონულ და საქალაქო პროკურატურებში. დღეისათვის პროკურატურის ყველა რგოლი უზრუნველყოფილია მაგნიტოფონებით, ბევრგან კი ორი მაგნიტოფონიც აქვთ. კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებებით მომარაგება დღითიდღე იზრდება, მაგრამ იგი ხშირად არ გამოიყენება.

წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რომ სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში ფართოდ დაინერგოს მაგნიტოფონის გამოყენება. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, სადაც ამ მოკლე ხანში ყველა სასამართლო დარბაზი გაკეთდება და მოწყობა იმგვარად, რომ მაგნიტოფონის, კინოფილმების და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება დაუბრკოლებლივ ხდებოდეს.

ხმის ჩაწერას მაგნიტოფონის ფირზე აქვს მთელი რიგი დადებითი მხარეები, რომელიც ხელს უწყობს საქმეზე ტემპარიტების დადგენას, გამოძიების სასამართლო პროცესის სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ ჩატარებას. ოქმთან შედარებით მას ის დადებითი მხარე გააჩნია, რომ ჩვენების ფიქსაცია ხდება მაქსიმალური სიზუსტითა და სრულად.

ზოგჯერ ეჭვიმტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენების ოქმის შედგენა ყველა პროცესუალური წესის დაცვით პრაქტიკულად შეუძლებელია. კერძოდ: მძიმე ავადმყოფობისა და სხეულის დაზიანების შემთხვევაში, ამ დროს ჩვენების ჩაწერა წარმოადგენს ფიქსაციის ერთ-ერთ რეალურ და ეფექტურ საშუალებას.

ხმის ჩაწერას, საგამომძიებლო მოქმედების ოქმთან განსხვავებით ის დადებითი მხარეც გააჩნია, რომ ჩაწერის დროს პირი გრძნობს მომეტებულ პასუხისმგებლობას თავისი ჩვენების სისწორისათვის და შედარებით ხშირად იძლევა სწორ ჩვენებას და ბევრ შემთხვევაში აღარ უარყოფს მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ ჩვენებას.

ამასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი არაერთგზისი რეპროდუქცია, გულდასმითი ანალიზი და შესწავლა. ეს კი საშუალებას აძლევს გამოძიებელს და სასამართლოს კარგად გაერკვეს საქმის ვითარებაში და უფრო მომზადებულად ჩაატაროს შემდგომი დაკითხვები და სხვა საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედებანი. ჩაწერილი ხმის რეპროდუქცია იძლევა აგრეთვე იმის საშუალებას, რომ გამოძიებელმა და სასამართლომ უფრო სრულად და უშუალოდ აღიქვან იმ პირის ჩვენება, რომლის დაკითხვაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უკვე აღარ შეეძლება სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ფონოგრამიდან ასლების გადაღება, მისი გამრავლება და მათი სხვადასხვა ადგილზე გავზავნა ოპერატიული მიზნებისათვის. ასეთი საჭიროება გამოწვეულია მაშინ, როდესაც ერთი საქმის გამოძიება წარმოებს სხვადასხვა ქალაქებში (რაიონებში) და მას აწარმოებს გამოძიებელთა ჯგუფი.

ბოლოს ხმის ჩაწერა მაგნიტოფონის ფირზე და მისი რეპროდუქცია წარმოადგენს ბრალდებულის (ეჭვიმტანილის) დაცვის უფლების განხორციელების ერთ-ერთ დამატებით გარანტიას და აფართოვებს უშუალოდის პრინციპის გამოყენების სფეროს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება-განხილვის დროს.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მაგნიტოფონის გამოყენება საქართველოს სსრ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს, როგორც საგამომძიებლო, ისე სასამართლო მოქმედებების ფიქსაციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

2. მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის სამართლებრივი ბუნება ერთნაირად არ არის გაგებულნი პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში. იმისათვის, რომ გაირკვეს მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის სამართ-



ლებრივი ბუნება, უნდა განვასხვავოთ ამ ტექნიკური საშუალების გამოყენების ორი ძირითადი მხარე: პროცესუალური და არაპროცესუალური.

არაპროცესუალურს მიეკუთვნება: ა) მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა ოპერატიული საქმიანობის განხორციელების დროს; ბ) მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა ცალკეულ მოქალაქეთა მიერ; გ) მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით (ეგრეთწოდებული საუწყებო ფონოგრამა).

პროცესუალურს მიეკუთვნება მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის ისეთი შემთხვევები, რომელიც რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით და გამოიყენება ცალკეულ საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედებათა ჩატარების დროს: დაკითხვა, დაპირისპირება, ამოსაცნობად წარდგენა, ჩხრეკა, ამოღება, საგამომძიებლო ექსპერიმენტი და სხვა.

მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის პროცესუალურ და არაპროცესუალურ სახეებს აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი სამართლებრივი ბუნება და ამიტომ მათი არსი ცალ-ცალკე უნდა გაირკვეს.

არაპროცესუალური წესით მიღებული ფონოგრამების სამართლებრივი ბუნების შესახებ პროცესუალურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ი. დ. ფედოროვი არაპროცესუალური გზით მიღებულ ფონოგრამებს აკუთვნებს მხოლოდ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს¹. ვ. ი. გონჩარენკო მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ ასეთ ხმას აკუთვნებს მხოლოდ დოკუმენტებს.² სხვა ავტორების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც არაპროცესუალური გზით მიღებული ფონოგრამები შეიძლება იყოს როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, ისე დოკუმენტი³.

არაპროცესუალური წესით მიღებული ფონოგრამების მხოლოდ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებისათვის ან მხოლოდ დოკუმენტებისათვის მიკუთვნება არ არის სწორი. არაპროცესუალური ფონოგრამის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის დროს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ჩანაწერებთან გვაქვს საქმე, რა კავშირში არიან ისინი გამოსაძიებელ (განსახილველ) სისხლის სამართლის საქმესთან.

თუ წარმოდგენილი არაპროცესუალური ფონოგრამა, თავისი შინაარსის მიხედვით, მოიცავს იმ ნიშნებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით, მაშინ ფონოგრამა უნდა მიეკუთვნოს ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს. მაგალითად: თუ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ცილისმწამებლური საუბარი გამრავლებული და გახმაურებული იყო, ასეთ შემთხვევაში ფონოგრამა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთია, რადგან იგი დანაშაულის ჩადენის საშუალება გახლავთ (იხ. 74-ე მუხლი).

მაგნიტოფონის ფირზე თუ ფიქსირებულია ისეთი გარემოება, რომელსაც

¹ Ю. Д. Федоров, Применение звукозаписи в процессе расследования и судебного разбирательства. «Вопросы уголовного права, прокурорского надзора, криминалистики и криминологии». Сборник № 2, Душанбе, 1968, стр. 214.

² В. И. Гончаренко, Использование звукозаписи при расследовании преступлений, «Криминалистика и судебная экспертиза», № 4, Киев, 1967, стр. 131.

³ Г. М. Миньковский, Процессуальные вопросы применения новых научно-технических средств фиксации результатов следственных действий, «Практика применения нового уголовно-процессуального законодательства», М., 1962, стр. 52.

მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის და არ შეიცავს ნივთიერდამამტკიცებელი საბუთების კანონით დადგენილ ნიშნებს, ფონოგრამა განხილულ უნდა იქნას როგორც დოკუმენტი (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-მუხლი)⁴.

ამრიგად იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ერთ შემთხვევაში ფონოგრამა შეიძლება მიეკუთვნოს ნივთიერდამამტკიცებელ საბუთს, ხოლო მეორე შემთხვევაში — დოკუმენტს.

პროცესუალური წესით მიღებულ ფონოგრამებს მიეკუთვნება ხმის ჩაწერა მაგნიტოფონის ფირზე საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა წარმოების დროს. ასეთი ფონოგრამების სამართლებრივი ბუნების საკითხზე აგრეთვე გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ზოგიერთი ავტორის აზრით, ხმოვანი დოკუმენტები (ფონოგრამა), კინო და ფოტოდოკუმენტები უნდა გამოიყოს როგორც დამოუკიდებელი მტკიცების საშუალება (წყარო)⁵.

ფონოგრამის დამამტკიცებელი საბუთის დამოუკიდებელ წყაროდ აღიარება არ არის საჭირო, რადგან კანონის ძალით იგი უკვე აღიარებულია ასეთად საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედების ოქმთან ერთად (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლი). კანონის ძალით, ფონოგრამა ოქმთან ერთად დამოუკიდებელი დამამტკიცებელი საბუთის წყაროა და მას ცალკე აღებულს არა აქვს არავითარი პროცესუალური მნიშვნელობა და დამოუკიდებელი სამართლებრივი ბუნება.

3. ყოველი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარების შედეგად დადგენილი ფაქტები მხოლოდ მაშინ შეიძლება განვიხილოთ როგორც მტკიცებულება, როდესაც საგამომძიებლო მოქმედება ჩატარებულია პროცესუალური კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები აწესრიგებენ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერის წესსა და პირობებს (იხ. 96-ე, 96¹-ე, 201-ე, 202-ე, 263-ე მუხლები).

მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა შეიძლება მოხდეს როგორც ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის თხოვნის საფუძველზე, ისე საგამომძიებლის ინიციატივით.


მაგნიტოფონის ფირზე ჩვენების ჩაწერის საკითხს საბოლოოდ წყვეტს საგამომძიებელი. კანონში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ხმის ჩაწერა მაგნიტოფონის ფირზე ხდება მაშინ, „თუ მას საჭიროდ მიიჩნევს საგამომძიებელი“, (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96¹-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხმის ჩაწერის დროს დასაკითხავი პირისაგან მიღებული უნდა იყოს თანხმობა⁶.

⁴ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დამამტკიცებელი საბუთის წყაროდ ასახელებდა „წერილობით დოკუმენტებს“. მოქმედმა კანონმა გააფართოვა დოკუმენტების ცნება და დამამტკიცებელი საბუთის წყაროდ ასახელებს „დოკუმენტს“. ასეთებად აღიარებულია არა მარტო წერილობითი, არამედ ფოტოდოკუმენტები, ფირფიტები, ფონოგრამები, საქმეები, გეგმები და სხვ.

⁵ И. Селиванов, Основания и формы применения научно-технических средств и специальных знаний при расследований, «Вопросы предупреждения преступности», № 1, 1965, стр. 158.

⁶ იხ. მაგალითად, И. Л. Петрухин, О значении звукозаписи в уголовном процессе. «Правоведение», 1966, № 2, стр. 139.



მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის დროს დასაკითხავი პირისაგან თანხმობის მიღება არ არის სავალდებულო, რადგან ხმის ჩაწერა არ ლახავს პიროვნების ღირსებას, არ ზღუდავს მის კანონით დადგენილ უფლებებს, არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს, ოღონდ გამოძიებელი ვალდებულია განუცხადოს დასაკითხავ პირს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მაგნიტოფონის ფირზე ჩვენების ჩაწერის შესახებ, რადგან კანონი არ ითვალისწინებს საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების დროს ხმის ჩაწერას ფარულად.

ხმის ჩაწერის დროს კანონი არ ითვალისწინებს თანამოწმეების დასწრებას. ჩაწერას თანამოწმეები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაესწრონ, თუ იგი ისეთი საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს ხდება, როდესაც კანონი ითვალისწინებს თანამოწმეების დასწრებას, მაგალითად: საგამომძიებლო ექსპერიმენტი, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა და სხვ.

მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა მიზანშეწონილია მოხდეს ოპერატორ-სპეციალისტის მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში გამოძიებლის მთელი ყურადღება გადატანილი იქნება მხოლოდ დაკითხვის წარმოებაზე და ხმას უფრო კვალიფიციური პირი ჩასწერს.

კანონი ადგენს წესს, რომლის თანახმადაც ხმის ფიქსაცია მაგნიტოფონის ფირზე მთლიანად უნდა მოხდეს. კანონით დაუშვებელია დაკითხვის მხოლოდ რომელიმე გარკვეული ნაწილის ჩაწერა ანდა დაკითხვის დროს ჩვენებათა გამოკრება სპეციალურად ხმის ჩაწერისათვის. ეს იმით არის ნაკარნახევი, რომ თავიდან იქნეს აცილებილი ფონოგრამის ფალსიფიცირება და ყოველგვარი გაუგებრობა, რაც შეიძლება აღმოცენდეს ჩაწერილი ხმის რეპროდუქციის დროს გამოძიების პროცესში ან სასამართლოში საქმის განხილვისას.

მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის დამთავრების შემდეგ, ყველა შემთხვევაში, ჩაწერილი ჩვენება მთლიანად უნდა იქნას მოსმენილი. თუ ფონოგრამის მოსმენის შემდეგ დაკითხული პირი გამოთქვამს თავის შენიშვნებს, ეს აღბეჭდილი უნდა იქნეს ფირზე.

ხმის ჩაწერა დამთავრებულად მხოლოდ მას შემდეგ ითვლება, როდესაც დაკითხული პირი ადასტურებს თავისი ჩვენების ჩაწერის სისწორეს, რაც აგრეთვე ჩაიწერება.

ფირზე უნდა ჩაიწეროს საგამომძიებლო მოქმედების წარმოების ადგილი და თარიღი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, საგამომძიებლის თანამდებობა და გვარი, საგამომძიებლო მოქმედების ყველა მონაწილის თანამდებობა და გვარი, **მაგნიტოფონის გამოყენების პირობები**. ფირზე აგრეთვე უნდა აღიბეჭდოს, რომ დასაკითხავ პირს გამოეცხადა მისი ჩვენების ჩაწერა, განემარტა თავისი უფლებები და მოვალეობები, რომ დაკითხულმა პირმა მოისმინა ჩაწერილი ჩვენება და დაადასტურა მისი სისწორე.

მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერის დროს დგება შესაბამისი საგამომძიებლო მოქმედების ოქმი ყველა იმ წესის დაცვით, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით. საგამომძიებლო მოქმედების ოქმში, კანონით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული იყო ხმის ჩაწერა და დასაკითხავმა პირმა იცოდა ეს. უნდა აღინიშნოს, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა ჩაწერა (მაგნიტოფონის მოთავსების ადგილი, სისტემა, ფირის ბრუნვის სიჩქარე); უნდა მოხდეს იმისი ფიქსაცია, რომ დაკითხულმა პირმა მოისმინა ჩანაწერი და დაადასტურა მისი სისწორე.

ჩაწერის დროს თუ მაგნიტოფონის ფირი დამთავრდა, გაწყდა ან გარკვეულ მომენტში არ მოხდა ხმის ჩაწერა, ყოველივე ეს აღინიშნება საგამომძიებლო მოქმედების ოქმში, კერძოდ უნდა აღინიშნოს, თუ რა სიტყვების შემდეგ შეწყდა ჩაწერა და რა სიტყვებით გრძელდება ჩვენების ფიქსაცია.

ფირზე ჩაწერილი ჩვენება დაერთვის შესაბამის საგამომძიებლო მოქმედების ოქმს და მხოლოდ მასთან ერთად ითვლება დამამტკიცებელი საბუთის წყაროდ. ფონოგრამა ინახება საქმესთან ერთად და გამოძიების დამთავრების შემდეგ დაილუქება. გამოძიების დამთავრების შემდეგ ფონოგრამა საქმესთან ერთად გადაიგზავნება სასამართლოში.

საპროცესო კანონი ითვალისწინებს სავალდებულო წესს, რომლის თანახმად გამომძიებელი ვალდებულია ფონოგრამის რეპროდუქციის ყოველი შემთხვევა აღნიშნოს საგამომძიებლო მოქმედების იმ ოქმში, რომლის დროსაც მოსმენილი იყო მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ჩვენება (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96¹-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს სპეციფიკას, რომელიც ახასიათებს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობას გამოძიების დამთავრების შემდეგ; თუ გამოძიების პროცესში მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა დაზარალებულის თხოვნით იყო გამოყენებული, ფონოგრამა გაეცნობა მას, ხოლო ბრალდებულსა და მის დამცველს ყველა შემთხვევაში უნდა მოასმენინონ საქმეში არსებული ფონოგრამა. ეს წესი დღევანდელი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 201-ე და 202-ე მუხლებით.

4. მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა არცერთ შემთხვევაში კანონით სავალდებულო არ არის. საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედების მაგნიტოფონის ფირზე ფიქსაცია მხოლოდ ტაქტიკური ხერხია.

საგამომძიებლო პრაქტიკამ გამოიმუშავა და ლიტერატურაში აღწერილია ის შემთხვევები, როდესაც ტაქტიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილია მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა. ეს მიზანშეწონილია განხორციელდეს როგორც:

1) არსებობს რეალური ეჭვი, რომ დასაკითხავ პირს შემდგომში შეუძლია შეცვალოს თავისი ჩვენება;

2) პირი გამოცხადდება საგამომძიებლო ორგანოებში ბრალის აღიარების მიზნით და დაწვრილებით აღწერს ჩადენილ დანაშაულს, ამხელს სხვა პირებს დანაშაულის ჩადენაში, მომზადებაში, მცდელობაში ან დაფარვაში.

3) აუცილებელია აღიბეჭდოს მცირეწლოვანის ან არასრულწლოვანის ჩვენების ინტონაცია, ცალკეული სიტყვების გამოთქმა და სხვა სპეციფიკური ნიშნები, რაც დამახასიათებელია მცირეწლოვანისა და არასრულწლოვანის ჩვენებისათვის;

4) საჭიროა ჩვენების მიღება მძიმე ავადმყოფებისაგან, მომაკვდავებისაგან და დაჭრილებისაგან;

5) არის ეჭვი, რომ დასაკითხავ პირზე შეიძლება შემდგომში ზეგავლენა მოახდინონ სხვა პირებმა ან მუქარით შეაცვლევინონ ჩვენება;

6) არსებობს ვარაუდი, რომ დაკითხული პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოში საქმის განხილვის დროს მისი ხანგრძლივი მივლინების, საზღვარგარეთ წასვლის, მძიმე ავადმყოფობის გამო;

7) ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის;



8) პირმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან ისეთი, რომლის გამოც დამნაშვეს შეიძლება შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. ამ შემთხვევაში ჩვენების ზუსტ და სრულ ფიქსაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრალდებულის დაცვის უფლების გარანტიის გაძლიერების თვალსაზრისით და ჩვენების მიღების პირობების ასახვის მიზნით;

9) საქმის გამოძიებას აწარმოებს გამოძიებელთა ჯგუფი და საჭიროა პირის ჩვენება გადაიგზავნოს სხვა ქალაქში (რაიონში) გამოძიებელთა ჯგუფის წევრების ინფორმაციის, ოპერატიულ ღონისძიებათა წარმოების ან ფონოგრაფის სხვა დამნაშავეს გაცნობის მიზნით;

10) დაიკითხება პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლია სრული მოკულობით განახორციელოს უფლება თავის დაცვისა.

11) ჩვენების მიღება ხდება თარჯიმნის მონაწილეობით და არსებობს რეალური ეჭვი, რომ შემდგომში შეიძლება ბრალდებულმა დასვა საკითხი ჩვენების არასწორად თარგმნის შესახებ;

12) შემთხვევის ადგილზე ან საგამომძიებლო ექსპერიმენტის წარმოების დროს გამოძიებელი აწარმოებს კინოგადაღებას და ამ პროცესს კომენტარს უკეთებს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე.

ჩამოთვლილი შემთხვევები ამომწურავი არ არის. ისინი მხოლოდ სანიმუშო ხასიათისაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის სრული, ყოველმხრივი, ოპერატიული და ობიექტური გამოძიების მიზნით და ტაქტიკური ხერხების ეფექტურობის გათვალისწინებით გამოძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, მიზანშეწონილია თუ არა ჩვენების მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა.

საქართველოს სსრ გამოძიების ორგანოების პრაქტიკის შესწავლა მოწმობს იმას, რომ მაგნიტოფონის გამოყენება საპროცესო კანონის დაცვით ყოველთვის არ ხდება.

ზოგჯერ მაგნიტოფონის გამოყენება ხდება პროცესუალური წესის დარღვევით; გამოძიებელი ამის შესახებ არაფერს აცნობებს დასაკითხავ პირს; ოქმში არ აღინიშნება მაგნიტოფონის ტექნიკური მონაცემები (ტიპი, ფირის სახე, ბრუნვის სიჩქარე და სხვ.); ფონოგრაფის მოსმენის შედეგად გაურკვეველია, თუ ვინ აწარმოებდა დაკითხვას, სად ტარდებოდა საგამომძიებლო მოქმედება, ვინ ესწრებოდა დაკითხვის მსვლელობას და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც ჩვენების ფიქსაცია ხდება მხოლოდ მაგნიტოფონის ფირზე და წერილობითი ოქმი არ ღდება. გამოძიების დამთავრების შემდეგ, ბრალდებულის საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით, ყოველთვის არ წარმოებს ფონოგრაფის რეპროდუქცია, ფონოგრამა არ იგზავნება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმესთან ერთად და სხვ.

5. მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა და ფონოგრაფის რეპროდუქცია სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე, 283-ე და 288-ე მუხლებით. მაგრამ ხმის ჩაწერა სასამართლოში, წინასწარ გამოძიებისაგან განსხვავებით, არ არის დაწვრილებით რეგლამენტირებული საპროცესო კანონით. კანონში მხოლოდ აღნიშნულია, რომ: „სასამართლო განხილვის დროს დასაშვებია დაკითხვათა ხმის ჩაწერა. ამ შემთხვევაში ფონოგრამა ერთვის სამსჯავრო სხდომის ოქმს, რომელშიც აღინიშნება, რომ გამოყენებული იყო ხმის ჩაწერა“ (მუხლი 263-ე).

აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ სასამართლოში ხმის ჩაწერის შემთხვევაში მასზე, ძირითადად, ის წესი და პირობები უნდა გავრცელდეს, რაც კანონით არის გათვალისწინებული გამოძიების პროცესში მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერისათვის.

მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა სასამართლოში საქმის განხილვის დროს და ფონოგრამის რეპროდუქცია განმწესრიგებელი სხდომის, სამსჯავრო გამოძიების, განაჩენის გამოტანის დროს ხელს უწყობს საქმის სრულყოფილ განხილვას, აუმჯობესებს პროცესის კულტურასა და ხარისხს, აადვილებს დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ყოველმხრივ და სრულ კრიტიკულ შეფასებას და აფართოებს უშუალოდ პრინციპის გამოყენების ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს არ შეუძლია უშუალოდ მოისმინოს პირის ჩვენება.

იმისათვის, რომ ფონოგრამა რეპროდუქცირებული იყოს საქმის სამსჯავრო გამოძიების დროს, სასამართლომ აუცილებელია დაიცვას კანონის (მუხლი 283, 288) მოთხოვნა. ყველა შემთხვევაში, ვიდრე მოხდებოდეს ჩაწერილი ჩვენების რეპროდუქცია, უნდა გამოქვეყნდეს ჩვენების ოქმი. ამას გარდა თვით ფონოგრამის რეპროდუქციის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს სამსჯავრო სხდომის ოქმში.

ჩაწერილი ჩვენების რეპროდუქცია სასამართლოს და პროცესის მონაწილეებს საშუალებას აძლევს სრულად, დეტალურად და უშუალოდ აღიქვან იმ პირის ჩვენება, რომლის დაკითხვაც სასამართლოში არ შეიძლება ობიექტური მიზეზების გამო.

პროცესუალურ ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი: შეიძლება თუ არა სასამართლოში ფონოგრამის ნაწილის რეპროდუქცია? თუ იგი მხოლოდ მთლიანად უნდა იყოს მოსმენილი? მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, სასამართლოში ფონოგრამის ნაწილის რეპროდუქცია არ შეიძლება, ჩაწერილი ჩვენება მოსმენილ უნდა იქნას მხოლოდ მთლიანად, თავიდან ბოლომდე⁷.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას. სასამართლოს სრული უფლება აქვს და შეუძლია მოისმინოს ფონოგრამის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც განსხვავდება ან ეწინააღმდეგება წინათ მიცემულ ჩვენებას, ის ადგილი, რომელიც გადაავიწყდა წინათ დაკითხულ პირს, ან ის ნაწილი, სადაც აღბეჭდილია ინტონაციის თავისებურება, ჩვენების დეტალები, გარემოებები, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს საქმესთან და აინტერესებს სასამართლოს. ასეთი წესის დაცვა, ჯერ ერთი, სასამართლოში საქმის განხილვის დროს ეკონომიას მოგვცემს, არ გადატვირთავს, სასამართლოსა და პროცესის მონაწილეებს იმ ფაქტებისა და გარემოებათა მოსმენით, რომელიც არ არის საქმესთან დაკავშირებული და არ აინტერესებს სასამართლოს და, მეორეც, — უფრო მიზანსწრაფულს გახდის პროცესის მსვლელობას.

პროცესუალურ ლიტერატურაში ფონოგრამის სასამართლოში რეპროდუქციის შესახებ გამოთქმულია ორი უკიდურესი მოსაზრება. ვ. პ. გერასიმოვის აზრით ყველა შემთხვევაში, როდესაც ფონოგრამა ერთვის საგამომძიებლო მოქმედების ოქმს, იგი უნდა მოისმინოს სასამართლომ, რადგან თვით ფო-

⁷ М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, стр. 283.

ნოგრამის საქმეზე დართვის ფაქტი საფუძველია მისი სასამართლოში რეპროდუქციისათვის⁸.

მ. ს. სტროგოვიჩი, პირიქით აღნიშნავს, რომ ფონოგრამის რეპროდუქცია სასამართლო პროცესზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნდა მოხდეს (მხედველობაშია რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 281-ე და 286-ე მუხლები, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე და 288-ე მუხლები) და რომ სხვა შემთხვევაში ფონოგრამის რეპროდუქცია სასამართლოში არ შეიძლება⁹.

არცერთი ზემოთ გამოთქმული მოსაზრება არ მიგვაჩნია სწორად და დასაბუთებულად. ფონოგრამის არსებობა თავისთავად არ არის საფუძველი მისი სასამართლოში რეპროდუქციისათვის. სამართალში მიცემის სტადიაზე, მართალია, მოსამართლე (სასამართლო) უნდა გაეცნოს საქმის მასალებს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მას შეუძლია შემოიფარგლოს საგამომძიებლო მოქმედების ოქმის გაცნობით, რომელიც ჩვენების ფიქსირების ძირითადი ფორმაა. ყოველივე, რაც დაკავშირებულია მოცემულ საქმესთან ასახული უნდა იყოს საგამომძიებლო მოქმედების ოქმში.

სამსჯავრო გამოძიების დროს სასამართლოს შეუძლია არ მოისმინოს ფონოგრამა, თუ სამართალში მიცემული, დაზარალებული ან მოწმე, რომლის ჩვენებებიც ჩაწერილია გამოძიების დროს, გამოცხადდნენ სასამართლოში, თუ ისინი დაპკითხეს და მათს ჩვენებებში არ არის არავითარი წინააღმდეგობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც ყოველთვის არ არის სავალდებულო გამოძიების პროცესში მიღებული ფონოგრამის მოსმენა.

მ. ს. სტროგოვიჩის მოსაზრებაც მოკლებულია დასაბუთებულებას და ხელს არ უწყობს დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ყოველმხრივ და სრულ შეფასებას. მ. ს. სტროგოვიჩი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მოისმინოს ფონოგრამა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება აეკრძალოს სასამართლოს სხვა შემთხვევაში ფონოგრამის მოსმენა.

თუ სასამართლო თავისი ინიციატივით ან პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობის საფუძველზე მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმის ყოველმხრივი სრული და ობიექტური განხილვისათვის საჭიროა ფონოგრამის მოსმენა, მას ყოველთვის აქვს ამის უფლება და არაფრით არ არის შეზღუდული.

კანონში ჩამოთვლილია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც საჭიროა ჩვენების გამოქვეყნება და ფონოგრამის რეპროდუქცია, მაგრამ ეს არ ზღუდავს სასამართლოს მოახდინოს ფონოგრამის რეპროდუქცია სხვა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ჭეშმარიტების დადგენა.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში მაგნიტოფონის გამოყენება ჩვენებათა და სხვა საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედებათა ფიქსაციის ერთ-ერთი ობიექტური და სრულყოფილი საშუალებაა და ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ჭეშმარიტების დადგენას.

⁸ В. П. Герасимов, Использование звукозаписи при рассмотрении уголовных дел в суде, «Советская юстиция», 1968, № 21, стр. 13.

⁹ М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, стр. 282—283.

სასამართლოს კერძო განჩინება დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი უუაქვარი საშუალება

მ. ჩიჭინიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ სსსკ 361 მუხლის შესაბამისად სასამართლოს განაჩენის დადგენასთან ერთად კერძო განჩინებით შეუძლია დაწესებულების ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის ყურადღება მიაქციოს იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას და სათანადო ზომების მიღებას საჭიროებენ, განჩინებას ხელს აწერს ყველა მოსამართლე და სასამართლოს შეხედულებით შეიძლება გამოქვეყნდეს კიდევ სამსჯავრო სხდომაზე. საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლით კერძო განჩინების გამოტანის უფლება აქვს სასამართლო კოლეგიასაც.

ამგვარად, კანონმდებელი თვლის, რომ კერძო განჩინების გამოტანა, საამისო საფუძვლის არსებობის დროს, მარტო უფლება კი არ არის სასამართლოსი, არამედ მოვალეობაც. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 14 ოქტომბრის № 12 დადგენილების მიხედვით კერძო განჩინების გამოტანა და მათი ეფექტურობის ამაღლება დანაშაულის თავიდან აცილებისა და კანონიერების სხვა დრღვევათა აღკვეთის მნიშვნელოვანი პირობაა.

საჭიროა თუ არა კერძო განჩინების გამოტანა იმ შემთხვევაში, როცა საქმეზე უკვე არსებობს გამოძიებლის ან პროკურორის წარდგინება, როდესაც იგი ამომწურავი ხასიათისაა და წარდგინებაში აღნიშნული ნაკლოვანებები კი აღმოფხვრილია? ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კერძო განჩინების გამოტანა საჭირო არ არის. კერძო განჩინების გამოტანა აუცილებელია, თუ წარდგინება არასრულია, ან თუ თანამდებობის პირებმა და ორგანიზაციებმა არ მიიღეს ზომები წარდგინების შესასრულებლად. ლიტერატურაში აღწერილია ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ სავაჭრო დარგის მუშაკების საქმის განხილვის დროს გამოარკვია, რომ პროკურატურის წარდგინება ერთ-ერთი მოწმის (რომელმაც სამართალში მიცემულის თხოვნით უსაქონლო ზედდებული გამოწერა), დისციპლინური წესით დასჯის შესახებ, სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა არა თუ შეასრულეს, აღნიშნული პირი დააწინაურეს და მაღაზიის გამგედაც კი დანიშნეს. სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა კერძო განჩინება და იგი გაუგზავნა პარტიის საქალაქო კომიტეტს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო სამმართველოს სათანადო ზომების მისაღებად. კერძო განჩინების დადგენის დროს არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მისი გამოქვეყნება სამსჯავრო სხდომაზე აღმზრდელობითი ღონისძიებაა დამსწრეთათვის, რომლებიც დარწმუნდებიან იმაში, რომ სასამართლო ღებულობს ზომებს დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღსაკვეთად, მიაქცევს ყურადღებას იმ პირთა მიმართ, რომელთა მოქმედებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები დანაშაულის ჩასადენად. არის შემთხვევები, როდესაც საწარმოს ან დაწესებულების მუშაობაში ცალკეული ნაკლოვანება

იმდენად არის დამკვიდრებული, რომ მას უკვე ვეღარ ამჩნევენ, ზოგჯერ კოლექტივში იქმნება თვითდამშვიდების ვითარება. სწორედ ამ საკითხების კერძო განჩინებით საჯაროდ დაგმობას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივის მობილიზაციისათვის. ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი ფიქრობს, რომ კერძო განჩინება გამოტანილი უნდა იყოს მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელიც განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. ეს არ არის სწორი. კერძო განჩინება შეიძლება გამოტანილი იქნეს მცირე მნიშვნელობის საქმეებზე, მაგრამ აღკვეთოს სერიოზული დანაშაული.

კანონი ითვალისწინებს სამი სახის კერძო განჩინებას:

1. კერძო განჩინება, რომელიც მიაქცევს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ან სხვა პირთა ყურადღებას იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას. ასე მაგალითად: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1971 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა მცხეთის რაიონის პროკურორის თანაშემწის საკასაციო პროტესტი ამავე რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 25 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც დ. ა. ქურთაძეს და თ. შ. ქავთარაძეს საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II ნაწილით მიესაჯათ თითო წლით გამასწორებელი სამუშაოები ქურთაძეს სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვით, ხოლო ქავთარაძეს, შრომა-გასწორების ინსპექციის მიერ მითითებულ ადგილზე მოხდით ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვით.

სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა იმ ცვლილებით, რომ ქურთაძისა და ქავთარაძის მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის I ნაწილით, ხოლო სასჯელი უცვლელად დასტოვა.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ ქავთარაძისა და ქურთაძის მიერ სამართალდარღვევა განაპირობა მცხეთის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექციის უკანონო მოქმედებამ. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ქავთარაძე, უმაღლესი განათლების მქონე, სკკპ წევრი, მუშაობდა ექსპერიმენტულ მეურნეობაში პელორეობის ფერმის ბრიგადირად. მეურნეობის ყოფილი დირექტორის ყდენტის ბრძანებით 1970 წლის 12 თებერვალს ქავთარაძე გადაიყვანეს მეცხოველეობის ფერმის უფროს ზოტეჩნიკოსად. 10 დღის შემდეგ იმ საბაბით, რომ თითქოს არ დაამტკიცეს ზოტეჩნიკოსის შტატი, ქავთარაძე ძველი რიცხვით, 1970 წლის 12 თებერვლის ბრძანებით დირექტორმა გადაიყვანა ხელოვნურ მთესლავად, უფროს ზოტეჩნიკოსად დანიშნა ქიტუაშვილი, ხოლო მელორეობის ფერმის ბრიგადირად ქურთაძე. ქავთარაძე მოითხოვდა თავის ძველ ადგილზე — მელორეობის ფერმაში დაბრუნებას, მაგრამ დირექცია არ აკმაყოფილებდა მის კანონიერ მოთხოვნას. მეურნეობის დირექტორი ყდენტი გაათავისუფლეს სამუშაოდან, რის შემდეგ ქავთარაძემ მიმართა ახალ დირექტორს მინდაძეს, მაგრამ არც მან მიიღო ზომები ქავთარაძის თხოვნის დასაკმაყოფილებლად. ქავთარაძე იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსათვის, საიდანაც მოიტანა დირექტორის სახელზე გამოწერილი უწყება მისი შრომის საქმის სასამართლოში მოსასმენად დანიშვნის შესახებ. ქურთაძე თავის მხრივ გულმოსული იყო ქავთარაძეზე, რადგან მან სასამართლოში იჩივლა და როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მეურნეობის დირექციაში ლანძღვა-გინება ატეხეს, რაც ხულიგნურ მოქმედებაში გადაიზარდა. ეს დანაშაული მცხეთის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექციის უკანონო მოქმედების შედეგად მოხდა.

სასამართლო კოლეგიამ გამოიტანა კერძო განჩინება და იგი გაუგზავნა საქართველოს კვ მცხეთის რაიონულ კომიტეტს სათანადო რეაგირებისათვის.

2. კერძო განჩინება, რომელიც გამოიტანება იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებმაც დაუშვეს კანონის დარღვევები მოკვლევის, ან წინასწარი გამოძიების დროს, ან სახალხო სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

სასამართლო კოლეგიამ გამოიტანა კერძო განჩინება სახალხო მოსამართლის მიმართ, რომელმაც ორი ბრალდებული არ მისცა სამართალში და ისე გამოიტანა მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი. კერძო განჩინებაში აღინიშნა, რომ მოსამართლემ უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლი. მომავალში ასეთი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით ეს განჩინებით ეცნობა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეს.

3. კერძო განჩინება, რომელიც გამოტანილია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან კოლექტივების მიმართ ცალკეულ პირთა ამორალური საქციელის შესახებ.

ნაზაროვი ცნობილი იყო დამნაშავედ მოქ. მ. ს-ს გაუბატურებისათვის, რასაც მძიმე შედეგი, დაზარალებულის თავის მოწამელა და ავადმყოფობა მოჰყვა.

სასამართლო კოლეგიამ საქმის მასალებიდან გამომდინარე ნაზაროვი არ იცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში და თავისი განჩინებით სახალხო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მის მიმართ გააუქმა და საქმე წარმოებით შეწყვიტა, მაგრამ კოლეგიამ აღნიშნა, რომ სკკპ წევრი ნაზაროვი, ცოლშვილიანი, ორი მცირეწლოვანი შვილის მამა, ჯერ ატყუებდა დაზარალებულს ს-ს, თითქოს იგი უცოლო იყო და ცოლად უნდოდნ მისი თხოვა, შემდეგ კი, როცა ს-მ გაიგო, რომ ნაზაროვი ცოლშვილიანია, პირდებოდა ცოლშვილის მიტოვებას და ცოლად თხოვას. კოლეგიამ ჩასთვალა, რომ ნაზაროვის მოქმედება არ შეეფერება კომუნისტის მორალურ პრინციპებს, მისი საქციელი ამორალურია. აღნიშნული განჩინება გაეგზავნა საქართველოს კვ ახმეტის რაიონულ კომიტეტს რეაგირებისათვის.

სამივე სახის კერძო განჩინებას აქვს გამაფრთხილებელი ხასიათი, მიმართულია არა მარტო დანაშაულის ჩადენის ობიექტური პირობების აღსაკვეთად, არამედ აქვს აღმზრდელი მნიშვნელობა იმ პირებზე, რომელთა ქცევაში არის იმის საშიშროება, რომ ისინი შეიძლება დაადგნენ დანაშაულის გზას.

უკანასკნელ ხანს პრაქტიკაში დამკვიდრდა ისეთი სახის კერძო განჩინებები, რომლებიც საინფორმაციო ხასიათისაა, იგზავნება სათანადო დაწესებულებაში და აცნობებს საბჭოთა ადამიანების კეთილშობილური საქმიანობასა და კარგი საქციელის შესახებ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

კერძო განჩინება შეიძლება გამოტანილი იქნეს, როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობითაც. იგი სასამართლოს გამოაქვს სათათბირო ოთახში განაჩენთან ან განჩინებასთან ერთად. ეს განჩინება შედგება შესავლისა, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში იწერება სასამართლოს შემადგენლობა, როდის, სად და ვისი მონაწილეობით იხილებოდა სისხლის სამართლის საქმე. აღწერილობით ნაწილში იწერება კონკრეტული ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოავლინა სასამართლომ ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს ან თანამდებობის პირის მუშაობაში, ცალკეულ მოქალაქეთა შეუფერებელი საქციელის შესახებ, შედეგები ამ დარღვევებისა.

შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს საქმის ფაბულის დაწვრილებითი გადმოცემა კერძო განჩინებაში, რაც ფაქტიურად განაჩენის აღწერილობითი ნაწილის გამეორებაა და კერძო განჩინების საგანს ჩრდილავს.

სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია ვისი მისამართით გამოდის კერძო განჩინება, რა ზომები უნდა იქნას მიღებული მასში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად თანამდებობის პირების ან ორგანიზაციების მიერ, ვის მიმართაც იგი იგზავნება. შეიძლება იქვე დაიწეროს, რომ კერძო განჩინება არ გასაჩივრდება, იგი მხოლოდ გაპროტესტდება პროკურორის მიერ, აგრეთვე ის, რომ სასამართლოს მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს ერთი თვის ვადაში.

დანაშაულის ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები შეიძლება ერთი თვის ვადაში არ დამთავრდეს, მაგრამ ეს ცნობილი უნდა იყოს სასამართლოსათვის.

კერძო განჩინების აღწერილობით ნაწილში როცა დეტალურად არის ასახული გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულს, შეიძლება კონკრეტულ ზომებზე აღარ მიუთითოს სასამართლომ. სათანადო ღონისძიებების გატარების გეგმა უმჯობესია შეიმუშაოს დაწესებულების, საწარმოს ხელმძღვანელობამ.

სასამართლომ კიდევაც რომ მიუთითოს ზოგიერთ კონკრეტულ ზომებზე, იგი მაინც არ ჩაითვლება ამომწურავად, ვინაიდან წარდგინების შესრულების პროცესში შეიძლება სხვა საკითხებიც წამოიჭრას.

გარდა იმისა, რომ კერძო განჩინება უნდა გამოქვეყნდეს სამსჯავრო სხდომაზე, იგი განხილულ უნდა იქნას კოლექტივის საერთო კრებაზე, მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. შესაძლებელია განხილვის დროს კვლავ გამოვლინდეს სხვა ნაკლოვანებები, რომელსაც შეიძლება ადგილი აქვს ადმინისტრაციის ან რომელიმე განყოფილების მუშაობაში.

მნიშვნელოვანია კერძო განჩინების გამოტანის მარტო ფაქტი კი არა, არამედ მისი რეალური შესრულება. მხოლოდ მის შემდეგ, რაც აღმოფხვრილი იქნება ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებები, სასამართლოს შეუძლია, თავისი ამოცანა კონკრეტულ საქმეზე ამოწურულად ჩათვალოს.

ამიტომ თუ ერთი თვის ვადაში არ მოუვა სასამართლოს შეტყობინება კერძო განჩინების შესრულების შესახებ, იგი ვალდებულია შეახსენოს სათანადო ორგანოებს, ან თანამდებობის პირებს მათი მოვალეობების შესახებ და მოითხოვოს განჩინების რეალიზაციისათვის სათანადო ზომების მიღება.

სასამართლოს შეუძლია დააყენოს საკითხი ზემდგომი ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე იმ პირთა დისციპლინური წესით პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ჯიუტად არიდებენ თავს კერძო განჩინების შესრულებას, ან მათ მიმართ, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გატარების შესახებ.

სასამართლო კოლეგიამ შეიძლება კერძო განჩინება გამოიტანოს იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გააკეთა სახალხო სასამართლომ.

დროულად და სწორად გამოტანილი კერძო განჩინება, რომელიც აღმოფხვრის დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებებს, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებაა.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპები

მ. ვაშვავაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის აღსრულება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებათაგანია. მას შრომა-გასწორების დაწესებულებები და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ორგანოები აღსრულებენ, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში შრომა-გასწორების კანონმდებლობით ხელმძღვანელობენ.

საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების კანონმდებლობამ განვითარების დიდი გზა გაწვლილ. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების შესაბამისად შემუშავდა და დაიხვეწა საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც მსოფლიო იმპერიალიზმმა და შინაგანმა კონტრრევოლუციამ მთელი სიმძაფრით გაილაშქრა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, საბჭოთა რესპუბლიკის უპირველესი ამოცანა იყო კლასობრივი მტრების და ძველი საზოგადოების გამხრწნელი ყველა ელემენტის დათრგუნვა, ამასთანავე — მშრომელთა რიგებიდან გამოსული მერყევი, დანაშაულის ჩამდენი პირების იძულებითი აღზრდა და მიჩვევა ახალი დისციპლინისადმი. ამ ამოცანების შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილები იმის მიხედვით ეწყობოდა, თუ რომელ კლასობრივ ჯგუფს ეკუთვნოდა და მანაშავენი.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია პარტიის VIII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში, სადაც აღნიშნული იყო: „საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა რა დამხობილი მთავრობის კანონები, დაავალა არჩევით მოსამართლეთა საბჭოს, რომ განახორციელოს პროლეტარიატის ნებასურვილი მისი დეკრეტების გამოყენებით, ხოლო ასეთების არარსებობის ან მისი არასრულყოფის შემთხვევაში, იხელმძღვანელონ სოციალისტური მართლშეგნებით.“

ასეთი წესით ორგანიზებულმა სასამართლოებმა სასჯელის სფეროში უკვე მიგვიყვანეს სასჯელის ხასიათის ძირფესვიან ცვლილებამდე. ფართო მასშტაბით ანხორციელებს რა პირობით მსჯავრს, როგორც სასჯელს, თავისუფლების აღკვეთას ცვლის სავალდებულო შრომით თავისუფლების შენარჩუნებით, საპყრობილებებს ცვლის აღმზრდელობითი დაწესებულებებით და იძლევა ამხანაგური სასამართლოების პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობას¹.

პარტიის პროგრამით დასახული ამ მიმართულებით ვითარდებოდა საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკა.

¹ КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций, пленумов ЦК. Политическая литература. М., 1970 г., т. 2.

სასჯელის დასჯითი ელემენტების მკვეთრმა შემცირებამ და შრომა-აღმზრდელობითი ზემოქმედებითი ღონისძიებების ყოველმხრივ გაფართოებამ არსებითად შეცვალა თავისუფლების აღკვეთის ადგილის რეჟიმი. მეფისდროინდელი სასტიკი რეჟიმი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შეუსაბამო გახდა საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკისათვის. გაუქმდა მეფის რუსეთის დროინდელი საპრობილეების რეჟიმის ელემენტები. სხეულის დაზიანება, ბორკილები, ხელობორკილები, ბნელი კარცერები, დამამცირებელი მოპყრობა, თამბაქოს აკრძალვა, სიჩუმის წესი და სხვა.

საბჭოთა შრომა-გასწორების დაწესებულებებში თავისუფლება აღკვეთითლათვის შემოღებულ იქნა ყოველდღიური გასეირნება, თავისუფალი მიმოწერა, კერძო გადაცემები (ამანათი, ბანდეროლი) პაემანი, ნებადართულ იქნა პაპიროსის მოწვევა, საკუთარი ტანსაცმელის ჩაცმა და შევსებულებები. საბჭოთა შრომა-გასწორების დაწესებულებების რეჟიმი ითვალისწინებდა მსჯავრდებულთა საზოგადოებრივად სასარგებლო საწარმოო შრომაში ჩაბმას, მათზე პოლიტიკურ-აღმზრდელობით ზემოქმედებას, რათა ისინი გამოსწორებულ-იყვნენ და მომზადებულ-იყვნენ ახალი ცხოვრებისათვის.

ვინაიდან შრომა-გასწორების კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც ადრე იყო მიღებული, ვეღარ პასუხობდნენ სასჯელის ამოცანებს მსჯავრდებულთა დასჯისა, გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საკითხში. საჭირო გახდა შრომა-გასწორების დაწესებულებების რეორგანიზაცია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1958 წლის დეკემბერში დაამტკიცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპრობილეების დებულება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების განმტკიცებაში.

შემდგომში, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისა და მის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის როგორც სასჯელის გამოყენების პრაქტიკა რამდენამდე შეიცვალა. იმ პირთა მიმართ, რომლებიც პირველად იდენდნენ მცირე მნიშვნელობის დანაშაულს, ფართოდ იყენებდნენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას. დამკვიდრდა აგრეთვე ასეთი პირების, საწარმოების და დაწესებულებების მშრომელთა კოლექტივებისათვის გადაცემის პრაქტიკა. იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით საშიში და მძიმე დანაშაული, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა მიმართ კანონმა უფრო მკაცრი სასჯელი გაითვალისწინა. მსჯავრდებულთა შემადგენლობა, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ შრომა-გასწორების დაწესებულებებში, მნიშვნელოვნად შეიცვალა. მათ შორის, ვისაც თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, უმეტეს ნაწილს საშიში და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები შეადგენდნენ. მსჯავრდებულთა ცალკე კატეგორიად იქნენ გამოყოფილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები.

მაღე დღის წესრიგში დადგა საკითხი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტის შემუშავებისა.

ვინაიდან კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავებას გარკვეული დრო სჭირდებოდა, შრომა-გასწორების დაწესებულებების საქმიანობა მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოწესრიგებას სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის

შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა მიიღეს „დებულება შრომა-გასწორების კოლონიების და საპრობილეების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „დებულება შრომა-გასწორების კოლონიების და საპრობილეების შესახებ“ დაამტკიცა 1961 წლის 28 ივლისს.

დებულებაში აისახა საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, როგორცაა: სოციალისტური დემოკრატიზმი, სოციალისტური კანონიერება, სოციალისტური ჰუმანიზმი, მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია და მათი განცალკევებულად მოთავსება სქესის, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, სიმძიმის და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით, შესაბამისი სარეჟიმო პირობებით.

დებულება არ ითვალისწინებდა ზემოქმედებას იმ მსჯავრდებულებზე, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ გადასახლება, გასახლება და გამასწორებელ სამუშაოები თავისუფლების აღკვეთლად. იგი არ აწესრიგებდა აგრეთვე არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთას. მსჯავრდებულის ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში გადაყვანისას იქმნებოდა სიძნელები, განსაკუთრებით კი იმ მსჯავრდებულთათვის, რომელთაც სასჯელი უნდა მოეხადათ განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში.


შრომა-გასწორების კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური კანონიერების დაცვისა და კავშირის მასშტაბით სასჯელის აღსრულების ერთიანი პრინციპის დადგენის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის მეექვსე სესიამ 1969 წლის 11 ივლისს მიიღო კანონი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ. საფუძვლები საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საერთო საკავშირო აქტია, რომელიც აწესრიგებს — თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების და გამასწორებელი სამუშაოების (თავისუფლების აღკვეთლად), აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებას.

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების საფუძვლების“ შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს შრომა-გასწორების კოდექსები. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ასეთი კოდექსი მიიღო 1971 წლის დეკემბერში.²

საფუძვლების და კოდექსის პირველ მუხლში მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს შრომა-გასწორების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის პირველი მუხლით დადგენილია, რომ „შრომა-გასწორების კოდექსის ამოცანაა უზრუნველყოს სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულება, ისე, რომ ეს იყოს არამარტრ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე ასწორებდეს და ხელახლა ზრდიდეს მსჯავრდებულებს შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით, კანონის ზუსტად შესრულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, არიდებდეს ახალ დანაშაულს როგორც მსჯავრდებულებს, ასევე სხვა პირებს, ხელს უწყობდეს დამნაშავეობის აღმოფხვრას“.

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსით გათვალისწინებულია

² საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12.



მსჯავრდებულების მიმართ შრომა-გასწორებითი და პედაგოგიური ზემოქმედების ზომების მთელი კომპლექსის განხორციელება, მათდამი ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა, დამნაშავეს პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის გათვალისწინებით, რათა სწორად იქნას შეხამებული იძულებითი ზემოქმედების ზომები და დარწმუნების მეთოდი.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის შემდეგი პრინციპი, რომელიც მოცემულია საფუძვლებსა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებში, არის სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპი, სასჯელის აღსრულებისას. იგი მოცემულია საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მეცხრე მუხლში.

კონტროლს მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდაზე შრომაგასწორების კოდექსის 121—122-ე მუხლების შესაბამისად, ახორციელებს საზოგადოებრიობა სამეთვალყურეო კომისიისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მეშვეობით. ეს კომისიები შედგება საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან და დებულების შესაბამისად აკონტროლობენ შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობას მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდასა და გამოსწორებისათვის.

სამეთვალყურეო კომისია, ახორციელებს კონტროლს იმ ორგანოების საქმიანობაზე, რომლებიც ასრულებენ სასამართლოს განაჩენებს გადასახლებასა, გასახლებასა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია კი ამოწმებს თუ როგორ სრულდება შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში რეჟიმი, როგორია მსჯავრდებულთა შრომის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლების ორგანიზაცია, მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობები, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, ამოწმებს წახალისების და სასჯელის დადების სისწორეს და გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე ახდენს სათანადო რეაგირებას.

ამ მიზნით სამეთვალყურეო კომისია, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციისაგან ითხოვენ შესაბამის დოკუმენტებს, იღებენ მსჯავრდებულთ, ეცნობიან მათს პირად საქმეს, და განიხილავენ საჩივრებს.

კომისიები ისმენენ შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის და იმ ორგანოების ანგარიშს, რომლებიც ასრულებენ სასამართლოს განაჩენებს, აგრეთვე იმ საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციის ანგარიშს, რომლებიც შეფობენ შრომა-გასწორების დაწესებულებებს, გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად იძლევიან შესაბამის წინადადებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა. საჭირო შემთხვევაში კომისიებს შეუძლიათ საკითხი გაიტანონ მშრომელთა დებუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სხდომაზე.

სამეთვალყურეო კომისიისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 107-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია აღძრას შუამდგომლობა მსჯავრდებულთა პატიების შესახებ. ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლებით

გათვალისწინებულ შემთხვევებში სასჯელის აღმსრულებელ ორგანოსთან ერთად იმუშადგომლონ მსჯავრდებულის სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების ან მოუხდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ.

შრომა-გასწორების კოდექსის 67-ე და 69-ე მუხლებით განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებული მსჯავრდებულის გადაყვანა საკანის ტიპის სადგომიდან ამავე კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში და, პირიქით, უნდა სამეთვალყურეო კომისიას შეუთანხმდეს. 118-ე მუხლის შესაბამისად კი, სამეთვალყურეო კომისია ადმინისტრაციასთან ერთად იძლევა დასკვნას სასჯელმოხდელ პირებზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების შესახებ. 79-ე მუხლის შესაბამისად კოლონიის ფარგლებს გარეთ უზადრაგოდ ან უგამყოლოდ მიმოსვლის უფლება მსჯავრდებულთ ეძლევათ შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან. მე-80 მუხლით მსჯავრდებულ ქალებს ეძლევათ კოლონიის გარეთ ცხოვრების უფლება და ეს უფლება შეიძლება გაუქმდეს სამეთვალყურეო კომისიის თანხმობით. თვრამეტ წელს მიღწეულ მსჯავრდებულის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის საკითხი, აგრეთვე მსჯავრდებულის ოცი წლის ასაკამდე დატოვება შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში წყდება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თანხმობით.

ამ საკითხებზე მასალების მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობენ შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაკები, მსჯავრდებულთა კოლექტივის საბჭოს წარმომადგენლები. საკითხის განხილვა ღიაა, საჯაროდ ხდება და მიღებული გადაწყვეტილებაც საჯაროდ ცხადდება, რითაც ვლინდება საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპი — კოლეგიალობა სკითხის მომზადებასა და განხილვაში. თუ დაინტერესებული პირი მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მას შეუძლია იგი გაასაჩივროს.

შრომა-გასწორების დაწესებულებების საქმიანობაში საბჭოთა დემოკრატიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფობა — შრომა-გასწორების დაწესებულებებზე.

მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის მიზნით შრომა-გასწორების დაწესებულებებს შეფობენ სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სასწავლებლების კოლექტივები, აგრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც შეფობენ შრომა-გასწორების დაწესებულებებს, ეხმარებიან მათ საწარმოო ბაზის შექმნასა და წარმოების განვითარებაში, პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობაში, პროფესიულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების ორგანიზაციაში, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების, ბიბლიოთეკების დაკომპლექტებაში და სხვა.

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 126-ე მუხლი მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის სხვა ფორმებსაც ითვალისწინებს.

ამის შესაბამისად შრომა-გასწორების დაწესებულებები მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდისათვის ფართოდ იყენებენ მსჯავრდებულთა მშობლებს და ახლო ნათესავებს, რომლებიც მსჯავრდებულებთან პირადი შეხვედრებით, მათ წინაშე საჯარო გამოსვლით და მშობელთა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობით ზემოქმედებას ახდენენ მსჯავრდებულებზე.

იმ პირობებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად, რომელთაც მისჯილი აქვთ გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, საწარმო-დაწესებულებებში შექმნილია საზოგადოებრივ ინსპექტორთა ინსტიტუტი, ხოლო მთელ რიგ კოლონიებში მოქმედებს კოლონიის მეთოდური საბჭო, რაზმელებში კი — რაზმის აღმზრდელთა საბჭო.

კოლონიის მეთოდური საბჭო მუდმივმოქმედი ორგანიზაციაა, რომელიც განაზოგადებს კოლონიის მუშაობის პრაქტიკას და ხელს უწყობს იმ მეთოდების და ფორმების სრულყოფას, რომლებიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ხელახალ აღზრდას.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის შემდგომი პრინციპია სოციალისტური კანონიერების პრინციპი, რაც გამოიხატება საბჭოთა კანონიერების და ნორმატიული აქტების განუხრელი შესრულებით.

სისხლის სამართლის სასჯელის მოხდისა და მსჯავრდებულის მიმართ შრომა-გასწორების ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების საფუძველია მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. ამასთან, საფუძველების და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-5 მუხლით ზუსტად არის განსაზღვრული ის დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოების განაჩენებს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ. ეს ორგანოებია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებები და ორგანოები. მათ გარდა არც ერთ ორგანოს უფლება არა აქვს გამოიყენოს მსჯავრდებულთა მიმართ შრომა-გასწორების ზემოქმედების ღონისძიებანი.

საფუძველების მე-11 და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-13 მუხლების შესაბამისად მსჯავრდებულმა სასჯელი მხოლოდ იმ სახის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოიხადოს, რომელიც მას სასამართლომ განუსაზღვრა.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის სოციალისტური კანონიერების პრინციპის გამომხატველია ისიც, რომ საქართველოს შრომა-გასწორების კოდექსის 66 და 68 მუხლებით მსჯავრდებულის ვადამდე პირობით განთავისუფლება ან მოუხდელი სასჯელის უფრო მსუბუქით შეცვლა ხდება მხოლოდ სასამართლოს მიერ. მხოლოდ სასამართლო კომპენენტური შეფასება მისცეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს თვით მსჯავრდებულის თანდასწრებით.

კანონიერების დაცვის მყარ გარანტიას იმ ორგანოების საქმიანობაში, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენებს წარმოადგენს საფუძველების მე-10 და კოდექსის მე-11 მუხლები, რომლებითაც გათვალისწინებულია საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება სასჯელის აღსრულებაზე. ეს ზედამხედველობა ხორციელდება სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულების შესაბამისად. პროკურორი მოვალეა დროზე მიიღოს ზომები

კანონის ყოველგვარი დარღვევის აღსაკვეთად, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

ორგანოები, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს მოვალენი არიან შეასრულონ პროკურორის დადგენილებანი და წინადადებანი სასჯელის მოხდის იმ წესების დაცვის შესახებ, რომლებიც დაწესებულია შრომა-გასწორების კანონმდებლობით.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკისათვის დამახასიათებელია სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპი. ეს პრინციპი მკაფიოდ არის მოცემული საფუძვლების და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის პირველ მუხლებში, სადაც ხაზგასმულია, რომ სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების დამცირებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსჯავრდებულს სასჯელის აღსრულებისას სახელმწიფო სამაგიეროს კი არ უზღავს, შურს კი არ იძიებს დამნაშავეს მიმართ, არამედ პატივს სცემს მის ადამიანურ ღირსებას, შესაბამისი რეჟიმის და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პირობების დაწესებით, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობით ზოგად-საგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლების გზით, ასწორებს მას და ხელახლა ზრდის ახალი შემოქმედებითი შრომისათვის.

სასჯელის აღსრულების ჰუმანიზმი სრულიადაც არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ დამნაშავეს აპატიოს ყველაფერი. სახელმწიფო ზღუდავს მის წებისყოფას, თავისუფლებას, მოქალაქეობრივ უფლებებს, უწესებს გარკვეულ რეჟიმს.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო სჯის დამნაშავეს, მას მიზნად აქვს დასახული დაუბრუნოს ეს პირი საზოგადოებრიობას, ოჯახს, გამოსწორებული და აღზრდილი. სასჯელის ამ საბოლოო მიზანს ემსახურება საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ყველა პრინციპი.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ჰუმანიზმი თავის გამოხატულებას პოულობს მსჯავრდებულთა მიმართ მთელი რიგი საშეღავათო პირობების განხორციელებაში. იმის შესაბამისად თუ რამდენად იცავს მსჯავრდებული რეჟიმის მოთხოვნებს, როგორ დამოკიდებულებას იჩენს შრომისადმი, ზოგად-საგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაში, თუ რამდენად გამოსწორდა მსჯავრდებული, მას შეიძლება შეუმსუბუქდეს სასჯელის მოხდის პირობები ერთი და იგივე შრომა-გასწორების დაწესებულებების ფარგლებში, ასევე სხვა შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის გზით. შეიძლება გამოყენებულ იქნას სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, იმ პირთა მიმართ, ვისზედაც სისხლის სამართლის ეს ინსტიტუტი ვრცელდება. შრომა-გასწორების კოლონიიდან, სასჯელის გარკვეული ნაწილის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებული შეიძლება გადაყვანილი იქნას შრომა-გასწორების კოლონიადსახლებაში, სადაც შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები მიახლოებულია ჩვეულებრივ მუშა-მოსამსახურეების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებთან (66-ე, 27-ე მუხლები). თავისუფლება აღკვეთილ პირებს, რომლებიც მტკიცედ დაადგინეს გამოსწორების გზას, შეიძლება ნება დაერთოთ კოლონიის გარეთ უბადრაგოდ ანუ უგამყოლოდ მიმოსვლისა (77-ე მუხლით მსჯავრდებულ ქალებს, თუ ისინი კეთილსინდისიერად ეკიდებიან შრომას და იცავენ რეჟიმის

მოთხოვნებს, შეიძლება ნება დაერთოთ კოლონიის გარეთ ცხოვრებისა ორსულობისა და მშობიარობასთან დაკავშირებით სამუშაოდან განთავისუფლების დროის განმავლობაში, აგრეთვე ბავშვის ორი წლის ასაკის მიღწევამდე (მე-80 მუხლი). ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვანთ, აგრეთვე ავადმყოფებს ექმნებათ გაუმჯობესებელი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და უწესდებათ კვების გაძლიერებული ნორმები (74-ე მუხლი).

მსჯავრდებულზე აღმზრდელობითი ზემოქმედება ხდება ძირითადად სასჯელის აღსრულების პროცესში. მაგრამ იმისათვის, რომ მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის შედეგები განმტკიცებულ იქნას სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შემდეგაც საბჭოთა ჰუმანიურობის პრინციპიდან საფუძვლების 47-ე მუხლი, საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 112-ე, 113-ე მუხლები ითვალისწინებენ სასჯელისაგან განთავისუფლებული პირებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენას და შრომით და საყოფაცხოვრებო მოწყობას.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლებული პირნი უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილამდე უფასო მგზავრობით, კვების პროდუქტებით ან სამგზავრო ფულით, აგრეთვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ერთდროული ფულადი დახმარებით.

სასჯელისაგან განთავისუფლებული პირების აქტიურ შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მათი სამუშაოზე მოწყობა, შეძლებისდაგვარად, სპეციალობის მიხედვით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიწერილობა, სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის.

ინვალიდები და მოხუცები, მათი თხოვნით, მოთავსებულ უნდა იქნან ინვალიდთა და ღრმა მოხუცებულთა სახლებში, ხოლო არასრულწლოვანები, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები ან მათი შემცველი პირები, იგზავნებიან ინტერნატში ან გადაეცემათ სამეურვეოდ.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ჰუმანიურობა არ შეიძლება გეგმულ იქნას ცალმხრივად, ისე, თითქოს ეს იყოს მხოლოდ ზრუნვა მსჯავრდებულის ინტერესებისათვის. ჰუმანიურობა იმით გამოვლინდება, რომ შრომა-გასწორების კანონმდებლობა მსჯავრდებულებს იზოლაციას უკეთებს რა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ამით იცავს საზოგადოებას დამნაშავეობისაგან და თავიდან იცილებს ახალი დანაშაულის ჩადენას. ჰუმანიზმი მსჯავრდებულის ადამიანური მანკიერების და დანაშაულებრივი ქვენაგრძობისადმი თანაგრძობით კი არ გამოიხატება, არამედ გულისხმობს რომ აღზარდოს იგი სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.³

სოციალისტური ჰუმანიზმი მოითხოვს, რომ საზოგადოებრიობას თავიდან მოვაცილოთ ბოროტი დამნაშავენი, რომლებიც სჩადიან მძიმე დანაშაულს, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები. აქ პოულობს გამოვლინებას დებულება დარწმუნებისა და იძულების ურთიერთშეხამების შესახებ.

მსჯავრდებულ პირთა შრომა-გასწორების დაწესებულებებში განცალკე-

³ Н. М. Белякин. Основы исправительно-трудового законодательства и их роль в борьбе с преступностью. М., 1971 г., стр. 14.

ვებულად მოთავსება მათი კლასიფიკაცია სქესის, ასაკის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, პირველად ნასამართლობის და სხვა პირობების გათვალისწინებით, რაც საფუძვლად უდევს თავისუფლების აღკვეთის აღსრულების და შრომა-გასწორების პროცესის ინდივიდუალიზაციას, საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი პრინციპია.

კაცები, ქალები და არასრულწლოვანები, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და სიმძიმის, დანაშაულის პიროვნებისა და ნასამართლობათა რაოდენობის გათვალისწინებით, სასჯელს იხდიან სხვადასხვა ადგილებში. ეს კი გამორიცხავს საშიშ დამნაშავეთა, მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა და რამდენჯერმე გასამართლებულ პირთა უარყოფით ზეგავლენას ნაკლებად საშიშ დამნაშავეთა ან პირველად თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა მიმართ, აადვილებს დამნაშავეთა ჯგუფების იზოლაციას, დაცვას და ზედამხედველობას, აძლიერებს სასჯელის დასჯით ზემოქმედებას საშიშ დამნაშავეთა მიმართ.

საფუძვლების მე-11 და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-12 მუხლების შესაბამისად დამნაშავენი სასჯელს იხდიან საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, საპყრობილეებში, საერთო და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდებლობით კოლონიებში, სადაც კაცებს და ქალებს, არასრულწლოვანთ და სრულწლოვანთ განცალკევებულად ათავსებენ.

კაცები, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, თავსდებიან იმ მსჯავრდებულთაგან განცალკევებით, ვინც წინათ მოიხადა თავისუფლების აღკვეთა, მსუბუქი დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულნი — იმათგან განცალკევებით, ვინც პირველად არის მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის. განცალკევებული არიან აგრეთვე განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები და მსჯავრდებულნი, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

მსჯავრდებული ქალები, კაცებისაგან განცალკევებით თავსდებიან და ორ ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფში შედიან ის ქალები, რომლებიც ცნობილია არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, და ქალები, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით. მეორე ჯგუფში შედიან სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებული ქალები.

მსჯავრდებული არასრულწლოვანები სრულწლოვანებისაგან განცალკევებით თავსდებიან და იყოფიან ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან არასრულწლოვანები, რომელთაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით; მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი და არასრულწლოვანები, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმს შრომა-აღმზრდებლობით კოლონიებში. მეორე ჯგუფში შედიან არასრულწლოვანები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ მსუბუქი დანაშაულისათვის. ასევე განცალკევებით თავსდებიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანები მღედრობითი სქესის არასრულწლოვანებისაგან.

მსჯავრდებულები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას საპყრობილეში იხდიან ორ ჯგუფად იყოფიან; პირველ ჯგუფში შედიან მსჯავრდებულები,

რომლებიც ადრე იხდიდენ სასჯელს საპყრობილეში; პირები რომელთაც მიესაჯათ პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილი დანაშაულისათვის; პირები, რომლებიც სასჯელის მოსახდელად საპყრობილეში გადმოყვანილი არიან კოლონიებიდან; პირები, რომელთაც საპყრობილეში სასჯელის მოხდისას რეჟიმის დარღვევისათვის დაედოთ სასჯელი. მეორე ჯგუფში შედიან პირები, რომლებსაც პირველად მიესაჯათ საპყრობილეში მოთავსება და პირები, რომლებიც საპყრობილეში მოთავსებულთა პირველი ჯგუფიდან გადმოყვანილი იქნებიან მეორე ჯგუფში.

მსჯავრდებული უცხოელები ან მოქალაქეობის არმქონე პირები შრომა-გასწორების დაწესებულებებში განცალკევებით თავსდებიან.

საფუძვლების მე-17 მუხლისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, პირმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მთელი ვადა, როგორც წესი, უნდა მოიხადოს ერთ შრომა-გასწორების კოლონიაში, საპყრობილეში ან შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე. ეს გარემოება ხელს უწყობს იმას, რომ მსჯავრდებულმა კავშირი იქონიოს ახლო ნათესავებთან, მეგობრებთან, აგრეთვე იმ კოლექტივის წარმომადგენლებთან, სადაც იგი მუშაობდა ვასამართლებამდე, რაც კარგად მოქმედებს მსჯავრდებულის გამოსწორებასა და ხელხლა აღზრდაზე. გარდა ამისა, იქმნება შესაძლებლობა, რომ შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციამ ზედმიწევნით შეისწავლოს მსჯავრდებული და უფრო მიზანდასახულად გამოიყენოს მის მიმართ გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საშუალებანი.

საფუძვლების მე-17 და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-19 მუხლები ერთი კოლონიიდან იმავე სახეობის რეჟიმის მეორე კოლონიაში ან ერთი საპყრობილედან მეორეში სასჯელის შემდგომი მოხდისათვის მსჯავრდებულის გადაყვანას უშვებენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ისიც მაშინ, თუ ამას მოითხოვს მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი ან მოცულობა, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომლებიც ხელს უშლის ამ კოლონიაში თუ საპყრობილეში მსჯავრდებულის შემდგომ ყოფნას.

მსჯავრდებულთა მიმართ შრომა-აღმზრდელობითი ზემოქმედების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა პედაგოგიური კრიტერიუმი. ამასთან მხედველობაში იქნება მიღებული: ასაკი, შრომისადმი დამოკიდებულება, სწავლისადმი დაძოკიდებულება და სხვა.

მსჯავრდებულთა პედაგოგიური კლასიფიკაცია არ შეიცავს დასჯის რაიმე დამატებით ელემენტებს. იგი შრომა-გასწორების დაწესებულების მიერ გამოიყენება იმისათვის, რომ უფრო სწორად წარიმართოს მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის პროცესი.



სსვისსვილოზისა და მისი სამაკრძობიკივი შინააკისისათვის

დ. ფურცელაძე

სსვისსვილოზობა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა ეა მისი ამსახველი სამართლებრივი დანაწესები, საგანებოდ არ შესწავლილა. წინამდებარე გამოკვლევა პირველი ნაბიჯია ამ ხარვეზის შესახებ.

არ ითქმის, რომ ტერმინ „სსვისსვილი“-ს ამოსახსენლად და შესატყვისი ცნების კვალიფიკაციისათვის სამყოფი წყარო არ მოგვეპოვებოდეს. სსვისსვილოზობას მეტ-ნაკლები სოხრულით სამართლის წიგნები აწესრიგებს. მას, თუმცა თითო-ორთლა და უფრო გავრით, მაგრამ იურიდიული საბუთებიც იხსენიებს. იგი ხალხურ პოეზიასა და მსატერულ მწერლობაშიც ასახულა, აღნუსხულია ლექსიკოგრაფიაშიც. მაგრამ ფოლკლორულ-ლიტერატურულ სახეებს მოვლენის სამართლებრივ ბუნებაში ნაკლებად შეყავართ, ხოლო მისი ლექსიკოლოგიური გაზრება სამართლებრივი მასალით ნაკარნახევ დასკვნებს მთლიანად ვერ იტევს.

ჩვენი მთავარი მიზანია სსვისსვილოზობას ისეთი მისან-თვისება მოვუნახოთ, რომელიც მას მართლურთიერთობად დავეჩხასათებს. ამიტომ უმჯობესი იქნება იგი პირველად ნორმატიული ძველების მიხედვით განვიხილოთ, მიღებული სურათი იურიდიული საბუთების ცნობებით შევაკოთ, დასასრულ კი შევეცადოთ ხიდი გავდოთ სამართლებრივ კონს-

ტრუქციასა და ყოფაცხოვრებით წარმოდგენებს შორის¹.

სსვისსვილოზობაზე სავანებო მუხლს შევიცავს ჩვენი ერთ-ერთი უძველესი სამართლის წიგნის—ბექასა და აღბუღას სამართლის აღბუღასული ნაწილი (XIV საუკუნის 80-იანი წლები). მისი შინაარსით ნათელი ხდება, რომ კანონმდებელს ახალი დანაწესები კი არ შემოუღია, არამედ უცდია დიდი ხნის გაჩენილისა და ჩამოყალიბებული ურთიერთობის იმხანად საჭირობოროტოდ გამხდარი კანუსი მოგვარებინა. სამზე მეტი საუკუნის შემდეგ ცვლილება-დამჩნეულ სსვისსვილოზობას ვახტანგ VI სამართალშიაც ვხვდებით, მაშალაია, უკვე ზოგი სხვა დანაწესების გვერდით და მხოლოდ ერთი საკითხის გამო, რომელიც ყველა მათთვის საერთო გამხდარა.

ბექასა და აღბუღას სამართლის სათანადო, 70-ე მუხლში უკეთ რომ გავერკვეთ და მისგან უფრო სრული აზრი გამოვიტანოთ, დავჭირდება ქართული ტექსტის გარდა მოვიტანოთ რუსული თარგმანიც, თანაც ორ-ორი რედაქციით: ქართულად უძველესი, 1672 წლის ხელნაწერის (კ. კვეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი; Q — 206) და ვახტანგისეული ნუსხის (იქვე, S—3683) მიხედვით, თარგმანი კი ა. ფრენკელ-დ. ბაქრაძისა და ვ. დონდუა-ი. დოლიძის გამოცემებით.

Q—206²

„70. გლესსა თუ სსვისსვილი წაუევიდეს, რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, — ორივე გაჰყვეს, ამაღ რომე სწორსა სწორისად უმსახურებია, თუ რამე არა მოსტაცოს რა. თუ რამე სამიწო ნასყიდი ექმნას, ნუ გაიტანს“.

S—3683²

„70. თუ გლესსა სსვისსვილი წაუევიდეს, რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, იგიცა, ორივე გაყვეს, სწორის სწორამდინ უმსახურებია, — და თუ ძალი დიდი რა არა მოსტაცოს. თუ რა სამიწო ნასყიდი შეექმნას, ნუცა მას გაატანს“.³


¹ მდლობას მოვასწენებთ ი. დოლიძესა და ალ. ლლონტს, რომლებმაც ზოგ წყაროს მიგვაგნებინეს, სადაც სსვისსვილი იხსენიება.

დიდად გამოვავადვა აგრეთვე ცნობები, რომლებიც ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო ფონდიდან მივიღეთ.

² ქართული სამართლის ძეგლები... I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული... გამოსცა... ი. დოლიძემ... 1963. ვახტანგის კრებული შემდეგაც, თუ სხვა რამ არ იქნა აღნიშნული, ამ გამოცემითაა მითითებული.

გამომცემელს მუხლ. 68-78 „ბატონთა და ყმათათვის“ კარად გამოუყვია, თუმცა თავდებობა (მუხლ. 68, 69) და სსვისსვილოზობაც (მუხლ. 70) მას ვერ მიეკუთვნება. კრებულის ზანდუქში (სინოპტიკურ საგნობრივ საძიებელში) სსვისსვილოზობა წარმოდგენილია ცალკე რუბრიკად: „815. გლესს თუ სსვისსვილი წაუევიდეს“.

³ ციტატებში დაშლა და ხაზგასმა, თუ სხვა რამ არ აღინიშნა, ყველგან ჩვენია.



ა. ფრენკელ — დ. ბაქრაძის გამოცემა⁴

ვ. დონდუა — ი. დოლიძის გამოცემა⁵

71. Когда от крестьянина отделится товарищ, то следует разделить им пополам и принесенное им и приобретенное во время товарищества. Но если он самовольно похитит что либо, то лишается участия и в покупной земле.

70. Если от крестьянина уйдет с хвиствиლი⁴⁴, то он *вправе* унести за собой и то, что он принес с собой, и то, что он приобрел, потому что равный с равным работал в супряге, — если он у него ничего не похитил.

Если он *до ухода* сделал какую-либо покупку земли, то он лишается права на нее.

[Примечания к русскому тексту...]

⁴⁴ С х в и с-ш в и л и — (букв. «чужой сын») крестьянин-супряжник.]

ჩვენს წინაშე ხელშეკრულებითი ურთიერთობა საზოგადოებრივად თანასწორ და იურიდიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პირებს შორის. ერთი მხარე წელმაგარ, გამართული მეურნეობის პატრონ „გლეხად“ გვევლინება, მეორე, „სხვს-შვილიც“ გლეხია; იგი თავისი კონტრაქტის არც სახლისა და არც გვარის კაცი არ უნდა იყოს, სულ უცხოთაგანი ჩანს. სხვისშვილი „გლეხის“ მეურნეობაში მუშაობს, მაგრამ მასთან ხელცარიელი არ მისულა, მამულისა რა ვთქვათ, და შრომის იარაღი და მუშა თუ სხვა პირუტყვი კი უთუოდ მიჰყოლია. ალბათ სხვისშვილს ძირითადი საწარმოო საშუალება, მიწა, ჰკლებია, რომ შეძლებულ მეურნესთან საქმის დაუჭერლად თავი ვერ გაუტანია. „გლეხს“ კი, ეტყობა, მუშახელი სჭირვებია.

ხურებისა, ეს არც ყმობით ჰკისრებია და არც ქი-რით უქნია; და თღონდაც მხარეთა „სწორობითა“ და საამხანაგო ურთიერთობით არის, რომ გამორე-ბის შემდეგ სხვისშვილს, „რაცა მოუგია“, თქმით მაინც, მთლიანადვე ეკუთვნის⁷. მართლაც, თუ სხვი-სშვილის „წასვლას“ აღბუდას სამართალშივე ფუ-დალისაგან „სისხლმცირე კაცისა“ და ნამსახური, აწ კი „უკმრად“ გამხდარი ყმის გასვლას შევადარებთ, ვნახავთ, რომ პირველს „მონაგების“ მხოლოდ „ნა-სკვარი“ (მუხ. 98), ხოლო მეორეს სულაც „მესა-მედი“ (მუხ. 72¹) მიჰყვება. „გლეხს“-სხვისშვილის ამხანაგობას ნორმატიულ მასალაში ერთი არაუშუა-ლო საბუთიც უნდა ემოწმებოდეს. აღბუდასავე 78-ე მუხლი იმის თაობაზეა, თუ მეპატრონეს ყმა წაუვი-დოდა და სხვის რასქე თან გაიყოლებდა, — „თუ... ვისაცა მომართებული (ს ხ ვ ა გ ე ბ უ რ ი, მისული. — დ. ფ.) ყმა ყვეს და კიდე (ისევ. — დ. ფ.) წა-უვიდეს, თუ რა ვის მან წაუღოს, ანუ მისსა პატ-რონსა, ანუ ა მ ხ ა ა გ ს ა, ანუ მეზობელსა...“, — უნდა უზღოსო: ამხანაგად ის „გლეხი“ ხომ არ იგუ-ლისხმება, რომელსაც სხვისშვილი წაუვიდა და „რამ[ე] ...მოსტაცა...“-ა?

ვახტანგისეულ ნუსხას (S—3683) განსხვავება

Q—206 ნუსხაცა და ორივე რუსული თარგმანიც „გლეხს“-სხვისშვილს, განსხვავებული შეძლებულობის მიუხედავად, თანატოლად, ხოლო მათ ურთიერთობას ამხანაგობად წარმოგვიდგენს („სწორსა სწორისად უმსახურებისა“; во время товарищества; равный с равным работал в супряге)⁶. Q — 206-ის თანახმად, თუმცა სხვისშვილს თავისი შრომა საგარეოდ გასდომია და გარეშე პირისათვის „უმსა-

⁴ Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, Издание А. С. Френкеля... Под редакцією Д. З. Бакрадзе... 1887.

⁵ ბექასა და აღბუდას სამართლის წიგნი... თარგმნეს ვ. დონდუამ და ი. დოლიძემ... 1960, გვ. 63, 80-81. დამლა და კურსივი მთარგმნელებისაა, ხაზგასმა — ჩვენი.

⁶ გერმანელი მეკლევარი რ. კლუტმანი, რომელიც თავის გამოკვლევაში ძირითადად ძველ რუსულ თარგმანს ეყარება, ფიქრობს, რომ აღბუდას „§ 71“-ის მიხედვით „უთუოდ შეიძ-ლებია... ამხანაგობის მსგავსი ურთიერთობა ... დასიკვანს“ — Rudolf Klutmann. Analyse des national-grusinischen Obligationenrechts im Kodex König Wachtangs VI, „Zeitschrift für vergleichende Rechtswissenschaft, XXI Band, გვ. 467.

⁷ ვახტანგის კორპუსში „მოგება“ და „მონაგები“ თვითონ ხელფასს არსად აღნიშნავს (5. აღბუდასთან მუხ. 72¹, 98, 153, 154, 156, ვახტანგთან — 128, 164, 199, 224, სომხურ სამარ-თალში — 4, 373, აგრეთვე ლექსიკონში — „მონაგები“).

რაოდენ ეკვივალენტურად შეიცავდა სხვისშვილის შრომას მისი „მონაგები“, ამას კანონი არ გვემუდონებს. მაგრამ, რაზან „გლეხის“ საწარმოო საშუალებები ჭარბობდა და სხვისშვილი მასთან მუშაობდა, უქვევლია რაიმე სახით რენტის გაუნაღებლად და ზედმეტი შრომის თუნ-დაც ნაწილობრივი მითვისების გარეშე საქმე არ გადაჩნებოდა.

შემაჯკეს. მასში მხარეთა „სწორ“-ობის ნაცვლად მათი ურთიერთობის ვადიანობაზეა ლაპარაკი, „სწორის სწორამდინ უმსახურებია“, ე. ი. ყავლი შეუსრულებიო, ვადის განსაზღვრულობა კი მომსახურების ქირავნობის დამახასიათებელია. საიდან წარმოდგა ასეთი რედაქცია, ამხანად დაბეჯითებით ვერ ვიტყვი. Q—206 ნუსხა ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიის ხელთ რომ ჰქონია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი ხუცურად ნაწერი და მუხლებად დაუნაწევრებელი ტექსტის გაყოლებასზე შემდგომი მხედრულით მიწერილია მოკლე შინაარსი შესაბამისი ადგილებსა. ერთი ჩათვალერებით ამგვარი მინაწერები სიტყვასიტყვით, ანდა თითქმის სიტყვასიტყვით, იგივეა, რაც კრებულის ზანდუკის სათანადო რუბრიკების სახელწოდებები; სწორედ ასეთია 70-ე მუხლის მინაწერიც — „თუ სხვის შვილი წაუვიდეს (შდრ. ზემოთ, სქ. 2)⁸. Q—206-ის ტექსტი ამ ნაწილში სარტი და გამართულია და, თუ S—3683-ის 70-ე მუხლის ნაწილებად რედაქციას თვითონ კოდიფიკატორებს არ დაეწამებთ, მაშინ იგი რომელიდაც სხვა, ჩვენამდე მოუღწეველი ხელნაწერისად უნდა ვივლოთ და ვიფიქროთ, რომ მისი, უთუოდ გვიანდელი, გადამწესხავის ნახელავი კომისიის თავისი დროის მართლშეცნების კვალობაზე კუთაში უფრო დასჯდომია. ასეა თუ ისე, ეს კონიექტურა მიგვითითებს, რომ ამ ხანისათვის სხვისშვილობაში ევონომიური იძულების მნიშვნელობა და, მამასადამე, ექსპლუატაციის ცლემენტი გაზრდილია, რასაც თვითონ ვახტანგ VI სამართალი და იურიდიული საბუთებიც დაგვიდასტურებს⁹. ამასთანავე ისიც ყურადსაღებია და, როგორც შემდგომში ვნახავთ, ნიშანდობლივაც, რომ კანონმდებელი ძველ დანაწესებს საამხანაგო ხასიათს მაინც არ უკარგავს — „რაც შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, იგიცა, ორივე გაყვეს“-ო.

ბექასა და აღბუღას სამართლის ი. დოლიძისეულ პირველ პუბლიკაციაში სხვისშვილი განმარტებულია „მოჯამაგირე“-დ (1953, ლექსიკონი). ვახტანგის კორპუსის გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში კი ეს ტერმინი უპირატესად ამ ხანაგად არის გაგე-

ბული: „ბ. 70. შეამხანაგებული გლეხი; სხვის კარად მყოფი გლეხი, სხვის-შვილი და მოჯამაგირე ვ. 229“ (დაშლა გამოცემისაა. სხვისშვილის მოჯამაგირეობაზე ქვემოა, თავის ადგილას გვექნება საუბარი). ვ. დონდუა-ი. დოლიძის თარგმანში „გლეს“-სხვისშვილის ამხანაგობა სახეობრივადაც კი განისაზღვრა და суряга-დ არის დასახული, რაც ქართულ მოდგამს გადმოსცემს. მთარგმნელებმა „სხვის-შვილი“ схвис-швил-ადვე დატოვეს და წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში იგი крестьянин-суряжник-ად განმარტეს, ამასაც არ დასჯედნენ და ძველი რუსული თარგმანის ზოგადად тсвариц-ის საპირისპიროდ უფრო მიახლოებული ახსნა თვითონ ტექსტშიც ჩაურთეს. ამით მათ პირვანდელი, „მოჯამაგირე“-დ გაგებაც უარყვეს. ქართული „მოდგამი“ ძველისძველია და მხოლოდ გუთნეულს, ე. ი. კოლექტიურ, საარტელო სასოფლოსამეურნეო შრომას როდი ნიშნავდა, არამედ ერთობ ამხანაგს, მოზარესა თუ თანამდგომს და ნათესავსაც კი ეწოდებოდა. საგვკვა მთარგმნელებს „სუპრიაგა“ და „სუპრიაჟნიკ“-ი ამ ფართო აზრით ეხმაროთ და თვით გამოხატვამაც работа в суряге-ო კაცს უფრო სწორედ გუთნეულში მონაწილეობას აფიქრებინებს. ამგვარი შეამხანაგება ხანმოკლე იყო ხოლმე და აღბუღასთან კი იგი იმ სიგრძისად და ისეთნაირად იგულისხმება, რომ მის განმავლობასა და ვითარებაში „სამიწო ნასყიდი“-ც მოუსწერებოდა¹⁰. ვიწროდ „სუპრიაჟნიკ“-ობის მინიშნება სხვისშვილობის თავისებურებად და ამრიგად მისი, ვვინებთ, ზედმეტად შეზღუდული გაგება კონტრაპუნტების ქონებრივი ურთიერთობის ხასიათს არ უნდა ეთანხმებოდეს.

70-ე მუხლის საგანი ურთიერთობის მოშლაა და ამჯერად ეს სხვისშვილის ნებით ხდება („...თუ ...წაუვიდეს“-ო). Q—206-ით, ხელშეკრულება, როგორც ჩანს, განუსაზღვრელი ვადით ყოფილა დადებული და ამიტომ არის, რომ თავისთავად „წასვლისათვის“ მის მოშლელს სანქცია არც მოეღოს.

ხელშეკრულების მოქმედების მთავარი სარბიელი „გლესის“ მეურნეობაა. სხვისშვილს, რაც საწარმო

⁸ სამწუხაროდ, ეს მხედრული მინაწერები არცერთ პუბლიკაციაში არ წარმოჩენილა. ადვილი შესაძლებელია, მათი გულდასმით შესწავლა (ვისეულობის დადგენა და ზანდუკთან შეჯერება) ბექასა და აღბუღას სამართალზე გაწეულ საკოდიფიკაციო მუშაობაში უფრო ღრმად ჩაგვახედებს.

⁹ ვახტანგის კორპუსის შემდგენლები Q—206-ის გარდა სხვა ნუსხით, თუ ნუსხებითაც, რომ სარგებლობდნენ, ამაზე ნ. და შდრ. ი. დოლიძესთან (1953), გვ. 77—78, 53 და 42, 47, 73, აგრეთვე — ზ. რატანი, რომელიც ამ სხვა ნუსხებს Q—206-ზე აღრიდელადაც აცხადებს — ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისა და მისი დანართი მუხლების საკითხისათვის, „სამკოთა სამართალი“, 1969: 1, გვ. 40 და შდ.; 2, გვ. 63—68.

¹⁰ მოდგამის გამო ნ.: ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი... 1973; სერგო ჯიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის ფურტულ ენაში — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, ... 1946; აღ. რობაქიძე, მოდგამი, როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში — „მიომხილველი“, II ... 1951.



შედგება გააჩნდა, ანდა მისი ძირითადი ნაწილი მაინც, კონტრაქტთან „შეუტანია“ და ცხოვრებითაც ალბათ მასთან უცხოვრია.

გაშორებისას მხარეებს საამხანაგოდ დადებული ქონება თავ-თავისადვე ეკუთვნით: „გლეხი“ თავისაზე რჩება, სხვისზეილს, „რაცა შეუტანია“, უკანვე გააქვს; ზიარი სამეურნეო საქმიანობის შემოსავალს (მონაგებს — „რაცა მოუგია“) კი ისინი თავიანთი წილი, ასე ვთქვათ, კაპიტალის შესაბამისად და გაწეული შრომის კვალობაზე ინაწილებენ.

ამ ადგილის ძველი რუსული თარგმანი სხვაობას იძლევა და ეს სხვაობა მით უფრო უცნაურია, რომ ვახტანგის კორპუსის პირველი მთარგმნელ-რედაქტორები წინადროინდელ ქართულ სინამდვილეში, მეტადრე XVIII საუკუნისაში, მთლად ჩაუხედავი არ უნდა ყოფილაყვნენ: მათი ნამუშევარი XIX საუკუნის პირველ ხანებსვე ეკუთვნის და 1828 წელს რუსეთის სენატმა იგი სამოქმედოდაც გამოაქვეყნა¹¹. ა. ფრენკელის 1887 წლის გამოცემა ამავე თარგმანს იმეორებს და, ეტყობა, მისი რედაქტორი დ. ბაქრაძე სხვისზეილობის მუხლს („71“) იმდენად არ ჩააკვირვებია, თორემ ბევრი სხვა ადგილის მხგავსად აქაც შენიშნა-კომენტარს დაურთავდა. აბა, რაღა „ტოვარიშჩესტო“¹²-ა, თუკი ერთერთის მონაგები და, რაც მთავარია, შენატანაც ორივე მხარის სანახევროდ ცხადდება. მეკიდრი ქონების გამო ამგვარ რასმე თვითონ კანონიც არ იზიარებდა, არათუ თანაბარუფლებიანების ურთიერთობისათვის, არამედ პიროვნულად დამოკიდებულთა მიმართაც. ზემორე „უკმ...“-არსა და „სისხლმციერზე“ ითქვა, რომ, პატრონისაგან გამოსვლელებს, მათ მონაგებს მხოლოდ ნაწილი ერგებოდათ. მაგრამ აღბუღათივე მათა და ყმებსაც კი (თავდაუწერელს; სხვისას, გინდა თავდაწერილსაც) თანმიყოლილი ქონება უცილობლად და მთლიანადვე ეკუთვნოდათ (მუხ. 72-73, 77, 89). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ ძველ თარგმანსა და სენატის გამოცემაში, ხოლო აქედან ა. ფრენკელ-დ. ბაქრაძესთანაც, მეორე იმ (მის მიერ) ხელის ან სტამბის შეცდომა

და იმი (მათ მიერ) ხომ არ უნდა ყოფილიყო (разделить им пополам и принесенное ими и приобретенное, ე. ი. ორისავე მხარისა), მაგრამ ეს „გლეხის“ მეტი შეძლებულობის შთაბეჭდილებას არ ეთანხმება და ქართულ ტექსტსაც უწინააღმდეგება, სადაც მხოლოდ სხვისზეილის შენატან-მონაგებსუა ნათქვამი.

შენატანისა და მონაგების დაქვრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სხვისზეილი „გლეხს“ „მოსტაცებს“ რსმე, ე. ი. მის კუთვნილს მიითვისებს და გაიყოლებს¹².

კანონის ტექსტს სიტყვასიტყვით თუ გაივიწყლო, „გლეხის“ ქონების მიმტაცებელი სხვისზეილი სულ უშენატან-უმონაგებოდ უნდა გასულიყო და ამირად უწყალოდ ისჯებოდა. მაგრამ ასეთი დასკვნა უმეტესი როდია. ჯერ ერთი, ჩვენ ვნახეთ, ყმა რომ ბატონს წაუვიდოდა და „ამხანაგსა, ანუ მეზობელსა“ რასმე „წაუღებდა“, „უზლოს და უკლებლად“¹³, ე. ი. მხოლოდ აუნაზღაუროსო (აღბ. სამართ., მუხ. 78). უფრო მეტერი წესი რაღა სხვისზეილისათვის უნდა ვიფიქროთ? ახლა, თუკი საკითხს სანქციის თვალსაზრისით მივიხედოთ (S—3683-ის „ძალი დიდი“-ც თითქოს აქეთვენი მიგანინშნებს), უმთავრესად გამარავალეცებელი გადასდევინება უნდა ვივარაუდოთ. მართლაც, თუმცაში იმას, ვინც სხვას მწყემსად უღდა (და როგორც ქვემოთ გამოჩნდება, სწორედ სხვისზეილად იწოდებოდა), ნაქურდალი თავისი წილი შემოსავლიდან, ზოგადი ქართული წესისამებრ, შეიდუღლად გადასდებოდა¹³. მაშასადამე, სხვისზეილი ცარიელ-ტარიელი მაშინ თუ დარჩებოდა, როცა მისი მონაგები, და, რაკი გაჭირდებოდა, შენატანიც, საზღაურს ვერ აუვიდოდა: ან თვითონ ნატაცებდა იქნებოდა ცგოდენი, ანდა, გინდაც ისეთი არა ყოფილიყო რა, მისი გამრავალეცებით მაინც „ძალი დიდი“ (S—3683) შედგებოდა. ჩვეულებრივ კი უბრალოდ გაბრა უნდა მომხდარიყო.

Q—206-ში „სამიწო ნასყიდი“ მუხლის ცალკე ნაწილივით არის, რომელსაც მოტაცებასთან თითქოს

¹¹ ნ. ავრეთვე თუნდაც სამართალი ბატონისზეილის დავითისა... გამოცემა... დავით ფურცელაძემ, გვ. 0212—0222. და მაინც გაკვირვებულსა და მრავალ ხელში გამოვიღო თარგმანს უხეში შეცდომები გამოჰყოლია. ერთი მათგანია, რომ S—3683-ისეული რედაქციის ორივე გაყვეს, სწორის სწორამდინ...“ ქართულის უწიგნურობით „...разделить... пополам...“-ად ქცეულა.

¹² S—3683-ით, მიტაცებული „ძალი დიდი“ უნდა იყოს, ეტყობა, წვირილმანი იმდენად გამოსაკიდებელი არ არის.

სხვისზეილის, რასაკვირველია, ისედაც საკულისხმებელ ბრალს ძველი რუსული თარგმანი საგანგებოდ განზრახვად განმარტავს (самовольно-ю).

¹³ Русудან Харაძე, Грузинская семейная община, I, ... 1960, გვ. 119, 5. და შდრ: სომხ. სამართ., მუხ. 9 (მტყუანი ამხანაგი წანართმევს აბრუნებს) და 387 (ამხანაგი ნაქურდალს ერთიორად იხდის); სამართ. ბატონისზე. დავითისა, მუხ. 6 (პირმავე ამხანაგი დანაშაულისდა მიხედვით ქურდივით ან ჯარივით ისჯება) და 225 (უპირო ამხანაგი ერთიორად იხდის და ჯარივად გადახდება).

კავშირი არა აქვს. „ექმნას... ნუ გაიტანს“ მიუთითებს, რომ „სამიწო ნასყიდი“ თავად სხვისშვილს უქნია და უფლება კი მასზე არა მოუპოვებია რა. მამ კანონი იწყნარებს სხვისშვილის უფლებას „სამიწო ნასყიდი“ ქნას და შენაძენს თვითონვე და იქვე კი ართმევს. ამგვარი ცხადი წინააღმდეგობა რა დასაჯერებელია? ან რომელი სხვისშვილი იქნებოდა, რომ ასეთი კანონის შემხედვარეს, „სამიწო ნასყიდი“-სათვის თავი გავცხვლებინა. ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ: 70-ე მუხლის ვითარებაში სხვისშვილს, თუ არ მონაცემით, ადგილ-მამული რიით უნდა ეყიდა?¹⁴ და რახან მონაცემით შეიძენდა, მასში ნატაცების გაბრასაც ხომ წინ ვერაფერი დაუდგებოდა. „გლუხიც“ გასაბრუნად, რასაკვირველია, უფრო სწორედ უძრავს წაეტანებოდა.

S—3683-ითა და ორივე რუსული თარგმანითაც „სამიწო ნასყიდი“-ს დაუნებებლობა სხვისშვილის პირშობას უკავშირდება: S—3683 — „ნუცა მას გაატანს“; ა. ფრენკელ-დ. ბაქრაძესთან ნასყიდის დატერა „მოტაცების“ უშუალო შედეგად ერთ წინადადებაშიც არის მოქცეული და, ესეც არ იყოს, — лишается участия и в покупной земле-то; ვ. დონდუა — ი. დოლიძესთან, თუმცა მათ „სამიწო ნასყიდი“-ს ამბავი მუხლის ცალკე ნაწილად გამოუყვიათ, მაგრამ лишается права иже „მოტაცებასთან“ კავშირის ამჟღავნებს. ამასთანავე ძველ თარგმანს ერთ რასმეში თითქმის მეტი ზედმიწევნითაა შემოქაქს. მის თანახმად, ადგილ-მამული სა-

ამხანაგოდ შეძენილა და შემცოდე სხვისშვილს შენაძენში წილი ეკარგება (лишается участия). ასეთ, განვრცობით ახსნა-განმარტებას S—3683-იც იწყნარებს: „თუ რა სამიწო ნასყიდი შეექმნას („გლუხს“ საერთო მონაცემით. — დ. ფ.), ნუცა მას გაატანს“ (უწილებს „გლუხს“ სხვისშვილს). „სამიწო ნასყიდი“-ს ზიარობა არც ნატაცების გაბრას უარყოფს¹⁵.

აპრიგად, აღბუდასული სხვისშვილობა შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად დავახსაიათოთ.

სხვისშვილობისთანა ურთიერთობა, როგორც სამეურნეო თანამშრომლობის სახეობა, დიდი ხნის წარმოშობილი უნდა ყოფილიყო და ადრე უთუოდ თავისუფალ მეთემეთა შეთანხმებით მყარდებოდა. ამის მანიშნებელია, რომ XIV საუკუნის, ე. ი. განვითარებული ფეოდალური საზოგადოების, სამართლის წიგნში, რომელშიც მის საკანონდებლო მოწყობას ჯერჯერობით პირველად ვპოულობთ, გარიგების მხარეებად სოფლის მეურნეობის უშუალო მწარმოებლებია დასახული; ქონებრივი დიფერენციაცა ფაქტობრივად თვითონ ამ წრეშიც და მის შიგნით ერთგვარად უკვე შრომის მოთხოვნა და შეთავაზება გამოსჭვავის.


მაგრამ ურთიერთობას ჯერ კიდევ საამხანაგო თვისება არ დაუკარგავს. სხვისშვილი, რა მცირეც არ უნდა იყოს მისი შენატანი, საერთო კაპიტალის შექმნაში მონაწილეობს; წარმოებაში ჩართული კონტრაქტებში თავ-თავისი ქონების შესაკუთრენი რჩე-

¹⁴ ამ გზით შეძენილი უძრავი ქონება არც აგრე ადგილი გამოსაწირავი იყო. მონაცემის მოხსენიებულ განახევება-გამესამედებას ის ასაბუთებდა, რომ იგი პატრონის საწარმოო საშუალებების საფუძველზე იყო ნაშოვარი. გვიანდელი ხანის კოდიფიკაცია ამის საკანონდებლო აღიარებასაც აპირებდა (ნ. სამართ. ბატონისშვ. დავითისა, მუხ. 8: სენიორისაგან გამსვლელ აზნაურს ვასალობით ნასყიდი მამულის მართო ნახევარი ერგება, „კინათგან მოიღვწა ზედადგომითა მამულისა მის პატრონისათა“-ო). ამით კიდევ უფრო ცხადი ხდება სხვისშვილის იურიდიული ტოლფასიანობა „გლუხთან“ ურთიერთობაში და სისრულე მისი უფლებისა თავის მონაცეზეზე, ხოლო ასევე ამ მონაცემით შემატებულ „სამიწო ნასყიდი“-ზედაც.

¹⁵ ი. დოლიძეს მიაჩნია, რომ „უძრავი ქონება, ანუ „სამამული“, არ შეიძლება გლუხის „მონაცეები“ და „კირანხული“ ყოფილიყო, რომ „ეს ნათლად ჩანს აღბუდას სამართლის 70-ე მუხლიდან „სამიწო ნასყიდის“ შესახებ...“, რომელიც „მოჯამაგირეს ანუ „სხვის შვილს“ სამსახურის დამთავრებისა და წასვლის შემთხვევაში“ მონაცეებში არ მიჰყვება (ძვ. ქართ. სამართ., გვ. 150—151).

უეჭველი ჰგონია ეს ი. ფუტყარაძესაც და იგი არ ცდილობს რაიმე დამატებითი ახსნა მოუხახოს „სამიწო ნასყიდის“ დაუნებებლობას სხვისშვილისათვის. ავტორი იხილავს წოდებრიობის გავლენას სანიეთო უფლებათუარაიანობაზე და, კერძოდ, ეხება ყმა გლუხის საკუთრების უფლებას მოძრავ ქონებაზე. ამ საკითხის გამო ერთ წყებაში, განსხვავების აღწინაშენად, წარმოდგენილია აღბუდას 72-ე მუხლის „უქმრად გასართლი“, რომელიც ი. დოლიძესთან ერთად, გლუხადგვა ჩათვლილი, 77-ე მუხლის მართლაც „ყმა“ და 70-ე მუხლის „სხვს-შვილი“ (სანიეთო სამართლის სუბიექტების შესახებ — „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, I... 1973, გვ. 37—38).

„უქმრად გასართლი“, ჩვენი შთაბეჭდილებით, ჯერ თავისუფალ, მაგრამ დაყმევების ზღურბლზე მიმდგარ მსახურს უფრო ჰგავს. მის საკითხს აქ ველარ გამოვეყიდებით, სხვისშვილზე კი ვიტყვი, რომ მისი და „გლუხის“ ურთიერთობა წოდებრიობის გავლენის არც დასადასტურებლად და არც უარსაყოფად არ გამოდგება (ნ. ზემოთ).



ბიან. შემოსავალი ამის შესაბამისად და გაწეული შრომის, ყოველ შემთხვევაში სხვისშვილის შრომის (ნ. ზუგოთ, სქ. 7), კვალობაზე ნაწილდება. ხელშეკრულება ხანგრძლივად მოქმედებს: იგი განუსაზღვრელი ვადით იდება და შეამხანაგებულთა თახხმით ან ერთ-ერთის თათსობით იშლება.

სამცხე, სადაც და რომლისთვისაც აღბუღას სამართალი დაიღო, საქართველოს დაწინაურებული სამიწათმოქმედო მხარე იყო. „გლეხ“-სხვისშვილის შეამხანაგებაც მიწათმოქმედების საწარმოებლად ხდებოდა. ეს გასაკუთრებით „სამიწო ნასყიდ“-ს საკითხის წამოჭრითაც მტკიცდება.

მეორე მხრივ, ნათლად ჩანს, რომ კანონი უმთავრესად შეძლებული „გლეხის“ ინტერესების კარნახით დადებულა. ამის მაჩვენებელია, რომ მოსაწყსრიგებლად აუღიათ შემთხვევა „გლეხსა თუ სხვისშვილი წაუვადეს“-თ; „გლეხთან“ მისული, მაცხოვრებელი და მშრომელი ის არის, კონტრაქტის ქონების ხელმყოფელადაც მხოლოდ იგი ივარაუდება.

ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ სხვისშვილობის სათავეშივე ექსპლუატაციის მომენტი უნდა ვეძიოთ და იურიდიულად ეს მართლურთიერთობა ერთბუნებოვანი არ იყო.

დაბოლოს აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მხარის დასახლება სხვისშვილად მხარეების გარ-სახლობითსა და, შესაძლოა, ტომობრივს გარეშეობასაც გვაფიქრებინებს.

ვახტანგთან სხვისშვილობას მხოლოდ ერთი საკითხის მოწესრიგებაში ვხედავთ, მაგრამ თვითონ რაობა ამ საკითხისა და მისი გავრცობა სხვისშვილზედაც, აგრეთვე ის, თუ როგორ გადაჭრა იგი კანონმდებელმა, ყველა ეს ჩვენს დანაწესებს მთლიანადაც გვიხსნისათებს.

ამ, 229-ე მუხლის სავანია პირის პასუხისმგებლობა, თუ მისგან საქმეზე „გაზავნილ კაცს“, „მოჯამაგირე იყოს თუ სხვა“, ე. ი. აგენტს, ვნება შეუმთხვა. საკითხი გადაჭრილია სამართლებრივი ბუნებით მკვეთრად განსხვავებული ყმობის, უსასყიდლო მინდობილობის (mandatum), მომსახურების

ქირავნობისა („გასამრჯელოს“ მომლოდინე პირი და მოჯამაგირე) და სხვისშვილობის შემთხვევებისათვის. გარჩეულია ორი ვითარება.

პირველია, როცა აგენტი, ვინც უნდა ყოვლიყო იგი, დავალების შესრულების ადგილას ცხადად და რაიმე ჩვეულებრივი ავადმყოფობით გარდაიცვალა („...თუ იქ იავადმყოფებს და დღით მოკუდების...“), ალბათ უფრო ისეთით, რომელიც ადრევე სჭირდა და თან მიჰყოლია. ვნება დავალების შესრულებასთან დაკავშირებული არ არის და ამიტომ დამავლებელი სამართლით პასუხს არ აგებს, ოღონდ ზნეობრივი ვალის მოსაძღვლად გარდაცვლილის „სულზე... გაისარჯოს“, ე. ი. აწირვისისო.

მეორე ვითარებაში დავალების შემსრულებელი ან მორაულ სენს გადაჰყავა, ან იქაურმა ჰავამ დასცადა, ან კიდევ „ყაზახმან“ (ყაჩაღმა) იმსჯურებლა. თუმცა დამვალეგელს, კანონის სიტყვით, არც ახლა „უნდოდა სიკუდილი“, მაგრამ, რაკი ვნება მისი გაუფრთხილებლობით მოხდა, პასუხისმგებლობა, მართალია შემცირებული, მაინც ეკისრება, ოღონდ არა ყმისა და არა იმის წინაშე, ვინც საგანგებოდ ამ დავალებას „გასამრჯელოთი“ ასრულებდა; დანარჩენებს მან სისხლი უნდა გადაუხადოს, მანდატარიუსს ნახევარი, ხოლო მოჯამაგირესა თუ სხვისშვილს მეთთხედი: თუ „...თავის სხვისს-შვილი და მოჯამაგირე არის... მეთთხედი სისხლი მისცეს, ამისთვის რომ მოჯამაგირედ დაუჭირავს, მაგრამ ამისთვის არ დასდგომია, რომ სასიკუდილოს ადგილს გაგზავნოს“¹⁶.

მაშ, კანონმდებელი სხვისშვილსა და მოჯამაგირეს ერთმანეთის გვერდით აყენებს. ორივეს „გამგზავნელთან“ პირობა აკავშირებს (ნებით „დასდგომია“-თ) და ერთიც და მეორეც „თავისი“ კია ამ „გამგზავნელისათვის“, ოღონდ მარტო იმდენად, რამდენადაც იგი უფლებამოსილია მათი შრომა გამოიყენოს; სავაფრივ კონტრაქტები უცხოეზი არიან. ერთი მხრივ, მკვეთრებული „და“ „სხვის-შვილ“-სა და „მოჯამაგირე“-ს შორის იმის მაჩვენებელია, რომ ეს ორი ცნება მთლად იგივე როდია და მც-

¹⁶ ზანდუკის 343-ე და 344-ე რუბრიკები („343. ვინ ვინც ძალად გაგზავნოს სადმე და მოკდეს მისი იქ სიკუდილი“, „344. ვინ ვინც ვზასა სადაც გაგზავნოს, მოჯამაგირე იყოს თუ სხვა, და მოკდეს მისი იქ სიკუდილი“) ვახტანგის 229-ე მუხლის გარდა აღბუღას სამართლის 79-ესა და სომხურის 372-ე, 376-ე, 377-ე და 386-ე მუხლებს მიუთითებს; ამავე საგანს ეხება სომხური სამართლის 395-ე მუხლიც.

აღბუღას 79-ე მუხლი კაცისა და პირუტყვის ქირავნობას ეხება. მასში დაქირავებული კაცის აღმნიშვნელი რაიმე ტერმინი, და არც სხვისს-შვილი, არ იხსენიება. ამ მუხლით, მოქირავნე პასუხს არ აგებს დაქირავებულის სიკვდილისათვის, „ქირისავან მეტსა“, რადგან „მისითა გულითა“, ანუ თავისი ნებით, დაქირავებია.

სხვისშვილს არც სომხური სამართლის დადგენილებები იხსენიებს, რომლებიც (კერძოდ მუხ. 386) კოდიფიკატორებს რამდენადმე გუნებაში უნდა ჰქონოდათ, როცა 229-ე მუხლი მუშავდებოდა (ნ. სქ. 17).

ზანდუკის 343-ე რუბრიკაში „ძალად“, რაც არც აღბუღასთან და არც ვახტანგთან არ არის, სომხური სამართლის 377-ესა და 386-ე მუხლებიდან მოხვედრილა.

რედი რამით მაინც უნდა განსხვავდებოდეს. მეორე მხრივ, ზემოთ მოტანილი ნორმა ორივესათვის ერთსა და იმავე შედეგს ადგენს და მის დასასაბუთებლად მხოლოდ მოჯამაგირებობას იყენებს.

შეძლება თუ არა ამის კვალობაზე სხვისშვილობა და მოჯამაგირებობა გავივიყოთ? საქმე ის არის, რომ სხვისშვილობის, ვითარცა დანაწევების, გამო ვახტანგის სამართალი აღბუღავს 70-ე მუხლს დასჯერდა; თავისით მას მხოლოდ სხვისშვილის ვნებისათვის პასუხისმგებლობა დასძინა, რომელიც სხვისშვილობის სამხანაგო ბუნებას ნაკლებად ეკუთვნის: ამხანაგების ურთიერთპასუხისმგებლობა არ ითვალისწინებს ვნებას, რომელიც ერთ-ერთ მათგანს საერთო საქმეზე შეემთხვევა. ისიც სათქმელია, რომ 229-ე მუხლი, თუმცა იმავდროინდელია, მაგრამ სამართლის წიგნს მაინც 204-ე მუხლის მომდევნო ბოლოსიტყვაობის შემდეგ დაერთო.

ამრიგად, უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ ვახტანგის კოდიფიკაციამ სხვისშვილობა ჯერ აღბუღავს სახით დატოვა, ხოლო მერმე, საკუთარი თაოსნობითა თუ რაიმე პრეცედენტის გამო, საჭიროდ დაინახა მასში მოჯამაგირებობის ელემენტი გაეძლიერებინა¹⁷.

„სხვისშვილ“-ს ჩვენს ლექსიკონებში, დიალექტურის გარდა (ამაზე ქვემოთ ნ.), ვერ ვპოულობთ. ქირსა და ქირით მომუშავისათვის კი ვვაქვს: „მიზღ-ი“, „სასყიდელ-ი“, შემდეგში „გასამრჯელო“ და „ქირა“-ც, „მორეწი“, „მუშაკ-ი“ და „მუშა“, „სასყიდლით დადგინებულ-ი“¹⁸. ქართულში სპარსული წარმოშობის ჯამაგარი თითქოს XVII საუკუნეზე ადრე არ უნდა შემოსულიყოს. იგიცა და მისგან გაჩენილი „მოჯამაგირე“-ც „რუსუდანიანში“ გვხვდება¹⁹. საბათი ჯამაგარი „წლითი-წლად გაჩენილი“ „სარჩო“ ანუ გასამრჯელოა, ხოლო მოჯამაგირეს იგი არსებითად ძველი ქართულის, ჯერ საღვთო წერილის თარგმნის დროინდელი ტერმინით განსაზ-

ღერავს — „ვეცხლით დადგინებული მოსამსახურე რას(ა)ც ხანს“-აო. ეს განსაზღვრებები სწორედ მომსახურების ქირავნობას გულისხმობს. დავიჯეროთ, საბას, საკულმდებელი მეფის, ვახტანგ VI საქმეთა თანაზიარს, აღბუღასთან ნახმარი და მის დროსაც ჯერ ცოცხალი სიტყვა „სხვისშვილი“ გამოეპარებოდა? და თუ მან თავის ლექსიკონში იგი არც ცალკე ერთეულად წარმოადგინა და არც „მოჯამაგირ“-ის განსამარტავად გამოიყენა, ეს იქნებ იმიტომ მომხდარა, რომ ამ სიტყვის ტერმინოლოგიური შინაარსი, და, მაშ, მნიშვნელობაც, მაშინაც უეჭველი არ ყოფილა. ასეა თუ ისე, „მოჯამაგირ“-ის სინონიმად საბას იგი, ეტყობა, არ ჰგულებია.


სხვისშვილობის ერთმნიშვნელოვან სურათს არც იურიდიული საბუთები გვიხატავს. თანაც ისინი ბევრი როდია და XVIII საუკუნეზე ადრინდელი ჯერჯერობით არა ჩანს.

ნაწილი ამ საბუთებისა მოწმობს, რომ აღმოსავლეთი საქართველოს ბარად, სამიწათმოქმედო მხარეში, XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის სხვისშვილობის მოჯამაგირებითი ყლორტი იმდენად განვითარებულა, რომ ამ ორ გარიგებას თითქოს აღარც კი განასხვავებდნენ. ერთი ასეთი საბუთი „...ნონოწმინდლის მსახურს... ოსმალობას (1723—1735 წწ. — დ. ფ.) ...ტყვიაველი (შიდა ქართლშია. — დ. ფ.) კაცო ...სხვისშვილათ დაუჭერია ჯამაგირითა“; მას მოქირავნის მოახლე „გაუწბილება“ და, რაკი სასამართლოთი მისვლი სხსხლის გადასდა ვერ შესძლება, „ყმათ მისვლია“ და ის მოახლე შეურთავს (ქართ. სამართლ. ძეგლ., IV, საბ. 435—1768 წ.). მეორე საბუთი „სხვისშვილ“-სა და „მოჯამაგირე“-ს კიდევ უფრო გადაჭრით ათანაბრებს: დავითიშვილის ყმები ვინმე „გორელს შინაშვილს (დაშლა გამოცემისაა. შიხინა-შვილი თვითონაც ვისიმე ყმა იქნებოდა. — დ. ფ.) ...მოჯამაგირეთ ვედა“; მათი და, ცხინვალს

¹⁷ მაგრამ არსებობს 229-ე მუხლის სხვა რედაქცია (ქუთაისის ისტორ.-ეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწ. № 201). იგი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში განხილულთან შედარებით (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწ. H—1659 და Q—575) ნაკლებ ავთენტიკურად ითვლება (ნ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი... (გამოსცა) თინა ენუქიძე... 1955, გვ. 18—32, კერძოდ, — 18, 24, 26, 28; ქართ. სამართლ. ძეგლ. ...I, გვ. 564—565), მაინც აღსანიშნავია, რადგან სხვისშვილობაზე არას ამბობს. ამასთანავე კახულის მოხაზვით ეს რედაქცია სომხური სამართლის 386-ე მუხლს ემსგავსება, ხოლო დადგენილებით კი უფრო აღბუღავს 79-ე მუხლის დებულებას ადგას (ნ. სქ. 16). ირკვევა, რომ სასამართლო პრაქტიკა ძირითადად მას მისდევდა (ნ. ქართული სამართლის ძეგლები... IV. სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს.)... გამოსცა ... ი. დოლიძე... 1972, საბ. 228). დაბოლოს რუსული თარგმანიც მასვე ემყარება (ნ. ა. ფრენკელ-დ. ბაქრაძესთან, მუხ. 229).

¹⁸ ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი... 1973. ძველქართულ-რუსული ლექსიკონი... შეადგინა ს. ბ. სერებრიაკოვმა... 1962. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით ... 1948—1949. სულხან-საბა ორბელიანი, ოზუნლებანი... IV₁ და 2. ლექსიკონი ქართული... (გამოსცა) ილია აბულაძე... 1965—1966.

¹⁹ რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით... 1957, გვ. 400 და ლექსიკონი.



გათხოვილი, დატყვევებულა; იგი „გორს ჩამოეყვანათ და იმ შიხინაშვილისათვის მიეზარებინათ. იმას იმ თავისის სხვისშვილებისათვის მიეზარებინა, თქვენნი და [არისო“ (იქვე, საბ. 447-1768 წ.).

მაგრამ საბუთები სხვისშვილობაზე მოჯამაგირების უსხენებლადაც მოგვითხრობს. ჯ ა ვ ა ს ე ლ ი კ ა ც ი „სათარხნოს“ გადმოსწავილა, ხოლო მერმე „საჯავახიანოს“ გადასულა და ორიოდე წელიწადში იქ მომკვდარა; მისი შვილი ივანე წერს, რომ „მე იმ ჟამად მეტეხს (დაშლა გამოცემისაა. იმავე მხარეშია. — დ. ფ.) ს ხ ვ ი ს შ ვ ი ლ ა თ გახლდი“-ო; ჯავახიშვილები, როგორც მათთან მოსულსა და ნადგომს, ყმობაზე წასდავებინან; ივანე გაქცეულა, დატყვევებულა, კარგა ხნის შემდეგ დაბრუნებულა და ჩალაუბანს მდგარა; ჯავახიშვილები აქაც მისწვდომიან და სასამართლოსაც მათთვის საყმოდ მოსჯია (იქვე, საბ. 453-1768 წ.). აქ შესაძლოა წმინდა სხვისშვილობაც გვქონდეს. და ვარაუდი ჩნდება, ამის წინარე მოტიანილი 435-ე საბუთის სიტყვები, „სხვისშვილათ დაუჭერია ჯამაგირით ...“-ო, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უჯამაგირო სხვისშვილობა XVIII საუკუნეშიც იყო ხოლმე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამავე ხანაში „ჯამაგირი“ და „მოჯამაგირი“ ხშირად სხვისშვილობასთან კავშირის გარეშეც იხმარება.

სხვისშვილობის ორი საბუთი დასავლეთ საქართველოდან (ბარიდანვე), რაც ახლა ხელთა გვაქვს, არა კმარა იმის სათქმელად, კანონზომიერია ეს ამ მხარისათვის თუ შემთხვევითი, მაგრამ იმისი მოჯამაგირებისაგან განსხვავებულ ურთიერთობას გვიხატავენ.

კათალიკოსი იოსების 1774 წლის შეწირულების წიგნიდან ვიგებთ, რომ ბიჭვინტის „ყმა და მოსამსახურე“ სანაგარდოელი „ხელოსნის სახლისკაცი“ დიაკონი გიორგი მჭკლიძე უ შ ვ ი ლ ო ყოფილა, წინამორბედ კათალიკოს გრიგოლს შევედრებია და მასაც „ოთხი სული მოსამსახურე“, ძმები გვარამიები, უწყალობებია; დიაკონმა, თვი-

თონაც „ყმა და მოსამსახურე“-მ, იოსებ კათალიკოსის „დასტურით და ბრძანებით ეს ს ხ ვ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი თავის შვილებათ მიიჩინა“, ი შ ვ ი ლ ო კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ა დ გ ე ნ ს : „...სანამდის (მამობილი. — დ. ფ.) ცოცხალი იქნება, საკუთრად ყმად და შვილად ემსახურონ... თავის პატრონს. და ამის სიკვდილის უკან შენ, ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისადა შემოგვიწირავს...“ ისევე²⁰. აქ ურთიერთობის მონაწილენი, უზრალთ გლეხები და მათზე შეძლებული და ცოტათი მაინც წარჩინებული დიაკონი, ერთისა და იმავე ბატონის, ეკლესიის, ყმები არიან; კავშირი მათ შორის წყალობის წიგნით მყარდება და არა შეთანხმებით; ამჯერად სხვისშვილობა და ყმობა ერთმანეთს ემთხვევა და ექსპლუატაციაც ყმობის კალაპოტით ხორციელდება. მაგრამ ამასთანავე სოციალური სიძალადე და ერთისა და იმავე ბატონის ყმობა შესაძლებელსა ხდის ნაშვილეობას, რომლითაც სხვისშვილებს თავიანთი პატრონის მემკვიდრეობისა და ქონებრივი წარმატების გზას ეხსენებათ.

მეორე საბუთი კიდევ სხვას გვატყობინებს. მაქსიმე კათალიკოსი 1776-1795 წლებში წერს, ზაღლიკა ავალიანისაგან აბრჩელა თედორადის ქალი „ამოვიყვანე“, ე. ი. დაეიხსენი, და მამას დაუბრუნე „გასათხოვარათ“-ო; მამას ორი კაცი თავდებად დასდგომია: „აწ ამისი თავმდებელი მომცა, რომ სასხვისშვილოთ არ გახდეს და კიდევ გათხოვდეს. არის ამის თავმდებელი... (80-80 „მარჩილის მიმცემი“ ვიყვნეთ. — დ. ფ.), თუ სასხვისშვილოთ გახდეს ან გააციოდოს“-ო²¹. ავალიანები თავად-აზნაურობას ეკუთვნოდნენ. თედორადის ტიტულუს აგრევე ცხადი როდია; მისი შვილის ბედ-იღბალი კათალიკოსს თავის საზრუნავად გაუხდია და ამიტომ შეიძლება იგი კვლავის ხელდებულად, სასულიერო პირად ან უზრალთ ყმადაც, ვიგულისხმით. საბუთი მამის ოჯახიდან ქალის გასვლის სამ გზას გვისახელებს, გათხოვებას, სხვისშვილობასა და გაყიდვას²². რასან თუ-

²⁰ ქართული სამართლის ძეგლები... III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.)... გამოსცა... ი. დოლიძემ... 1970, საბ. 351.

²¹ საქართველოს სსრ ცენტრ. არქ., ძველი საბუთების საცავი, ფ. 1448, საბ. 2404.

²² დატყვევება და, ამასაღამე, ძალადობა, აქ სათქმელი არ არის. თედორადის ქალის ტყვეობა ავალიანთან მიიტოვებულა საეჭვოა, რომ ტყვის სყიდვა იდევნებოდა და კათალიკოსს მისი დახსნა არ უნდა დასჭირებოდა, საქმეს სხვათაგანაც ეფუძლებოდა.

გათხოვების, სხვისშვილობისა და გაყიდვის გარდა ქალი შეიძლებოდა მშობლიური ოჯახის გარეთ სხვა შემთხვევაშიც ყოფილიყო. მაგალითად, გერმანოზიშვილების ყმის „გოგო“ „ფიტარეთს (მონასტერს. — დ. ფ.) შეხვეწილა“ და დასახსნელი გამხდარა. უნდა ვიფიქროთ, გადასახლელი მისი შენახვის ხარჯი იქნებოდა (ქართ. სამართლ. ძეგლ., IV, საბ. 135—1688—1703 წწ.). აგრეთვე იკორთული „გოგო“ გორელ შიხინაშვილს „პირობით ჰყოლია, რომ დროზე უნდა გაეთხოვებინა“-ო (იქვე, საბ. 447—1768 წ.), — გათხოვების პირობით სხვისსა ყოფნაც სხვისშვილობავე ხომ არ იყო?

ამ მხრივ, სხვასთან მუშახელად ყოფნის გამო, და არა მარტო ქალისა, დამაფიქრებელია ვახტანგთან: „... სხვის კაცის შვილი... იქნების შვილად კი არა, ისრე, სასამსახუროდ... იყიდონ

დორაძის ქალი გაუთხოვარი ყოფილა, იგი ავალიანთან ან ნასყიდად და ან სხვისშვილად იქნებოდა. საბუთში დატყუებით, ორჯერვე და პირველად, სხვისშვილობაზეა ნათქვამი, ასე რომ უფრო სწორედ იგია საგულგებელი. მაგრამ საკითხავია, ეს სხვისშვილობა რა იურიდიულ საფუძველს ემყარებოდა. ქირავნობა (ფასიანი მოახლოება) საფიქრებელი არ არის, რადგან „ამოყვანა“ მას არ ეთანხმება. ამრიგად, მხოლოდ ვალში მუშაობა ან გირავნობა და გვრჩება. ცნობილი ამბავია, რომ მაშინ გაჭირვებულნი მშობელი შვილს დასაგირავებლად და გასასყიდადაც იმეტებდა, მით უფრო ეადვილებოდა იგი ვალის გასასტუმრებლად, დროებით კრედიტორისათვის მუშახელად გადაეცა. გაჭიანურებს რომ არ ვერიდებოდეთ, ამის შესახებ სხვადასხვაგვარ ნორმატიულ მასალასა და ბლომად მაგალითსაც მოვიტანდით. უშუალოდ ჩვენს საგანთან დაკავშირებით კი უთუოდ მართო შემდეგაც იმარებს. გაყარაში გადასახდელია საერთო ვალი; ერთ-ერთი მოწილე განუხე დეგება, „ჩემი და ქიოტი შვილს (დაშალა) გამოცემისა. — დ. ფ.) ყავსო და ჩემი კერძი ვალი იმამი დგამი იბარებია“—ო; სხვები არა ყაბულობენ, „ეს გოგო სწორეთ გამოვიყვანოთ და ვალიც სწორეთ გადავიხადოთ“; მაგრამ ის თავისას არ იშლის, „ჩემ კერძს ვალშიდ ჩემი და მიმიცემია“—ო (ქართ. სამართლ. ძეგლ., IV, საბ. 86 — 1675-1685 წწ.). წინ არა უდგას რა, წარმოვიდგინოთ, რომ ეს „გოგო“ ადრევე გირაოდ ან ვალში სამუშაოდ, სხვისშვილად, იყო მიცემული, რასაც მისი „გამოყვანიო“ ემყარებოდა²³.

განხილული საბუთები მოწმობს, რომ სამიწათმოქმედო მხარეებში სხვისშვილობას XVIII საუკუნის ბოლოსათვის რთული განვითარება გამოუვლია. შედარებით უცვლელი მხარეთა უცხოობა (შშირად სხვისშვილის სხვაგნებურობაც გვხვდება — საბ. 435, 447, 453) და დაახლოებით თანაბარი საზოგადოებრივი მდგომარეობა დარჩენილა. მაგრამ არის უკვე შემთხვევები, რომ ისინი სხვადასხვა წოდებას ეკუთვნიან (საბ. 2404 — თედორაძე-ავალიანი). ზოგ-

ჯერ სხვისშვილი იგივე ყმა (საბ. 351 — დიაკონი და ბიჭვინტის ყმები). ვისიმე ყმა შეიძლება მესამე პირთან სხვისშვილად იყოს, თავისი ბატონისაგან გადახვეწილი ან მისივე უწყებულობით (საბ. 435, 447, 453). უხელმეკრულებო, წყალობით სხვისშვილობაც გაჩენილა (საბ. 351). ზოგჯერ უცხო არ ყოფილა ერთგვარი პატრიარქალურობაც (იგივე, — დიაკონისაგან თავისი სხვისშვილების შვილება). ოდესღაც ერთგვარს საამხანაგო ურთიერთობაში ექსპლუატაციის ელემენტს მთავარი ადგილი დაუჭირა და თავისი ძველი ფორმის გარდა იგი ახლა სხვადასხვა იურიდიული საფუძველით სორცილდება (ყმობა — საბ. 351; მოჯამაგირეობა — საბ. 435, 447; გირავნობა თუ წალში მუშაობა — საბ. 2404). ზოგადად რომ ვთქვათ, სხვისშვილობის სახე ბატონყმობის ვითარების შესაბამისად შეიცვალა, მან გადრმაგებული ქონებრივი დაპირისპირებულობისა და მძაფრი კლასობრივი წინააღმდეგობის გავლენა განიცადა.

ახლა ვნახოთ, სხვისშვილი მწერლობასა და ფოლკლორში როგორდა გვეხატება.

სხვისშვილი ლიტერატურულ გმირად გვხვდება ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“. კვირია „ჩამოვლავილი ჩამოწვილი“ „ყარბ“—ად მივა ფშავლების სალოცავში. აქ სანათასათვის მონათხრობი მისი თავგადასავლიდან ვიგებთ, რომ „ფშავს უბინადროდ რჩენილი“, იგი „ობლობის, ბეჩაბობის“ მიზეზით წასულა „საძებრად ბედისა“ და, აგერ „ოც წელს სრულ სხვისშვილადა ვარ, სამშობლო გამიწირია“, „მწყემსად ვარ თუშეთს, უცხო სამხარესა“—ო. არც უიმისობაა, რომ თვისტომების თვალში ასეთი გადახვეწილობა კაცს ნიშნს არა სდებდა. როცა კვირია უჩუმრად წავა, რომ ლელასთან ერთად ბახტრიონის ციხის კარი თუმ-ფშავნევსურებს შიგრიდან გაუღოს, ხოლო ლაშარის გორიდან აძაბულ ლაშქარს მისი დაკლება შეაფიქრინებს, უმეტესად დაეჭვებული სოშარული ამბობს: „ვინ იცის, ნათრევე კაცია, არ იყო დალატანი“—ო. და მაინც სხვისშვილობა სათაკილო არ ყოფილა. სი-

სამსახურისა და მადლისათვის...“ (მუხ. 261, 261¹) და აგრეთვე უსახელო კანონპროექტის შე-

გოხება, „... ღთის გულისათვის... (საწყალი ობლები. — დ. ფ.) შვილად აიყვანეთ, და თუ... (შვილად არ.—დ. ფ.) შონიდომოთ, [ქმათ შინც გზარდოთ და თქვენთვის ჩრადი ვახდოთ... ისეთვე ქალნი დაუგდებელნი იყვენენ... შემძლეთაგან შევლებისა“ („ჩრად-ი ქარგალი, შეგირდი; სამადლოდ აყვანილი და ხელობაში გზარდილი ობოლი“) — დავით ფურცელაძე, სამოქალაქოს ჩვეულებება... 1960, გვ. 97—98; სამოქალაქოს ჩვეულებება, II... გამოსცა დავით ფურცელაძემ... 1966, გვ. 50—51, 94.

²³ ნ.: ბერძნული სამართალი, მუხ. 11, სომხური, 205, ვახტანგისა, 136 და 142; აგრეთვე— დავით ბატონისშვ. სამართ., მუხ. 219, მეტადრე C29. საყურადღებოა, რომ დავითიცი კი ვალში მუშაობაზე მოჯამაგირეობას ამბობს.

ერთი ამასაც დავძენთ. ქიზიყში სკოლნიათ, როცა ქალი უმზითო იქნებოდა და ან სიძეს ალთქმულ მზითევს ვერ შეუსრულებდნენ, პატარაბლს თან მძას გაყოლებდნენ, რომ მას შესაფერისი ხანი სიძის ოჯახში ემუშავა. ამას „მზითვის ყმა“—დ გატანება ეწოდებოდა — სტეფანე მენთეაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი... 1943, დამატება, გვ. 287.



საწყევლ-სიღარიბის მიუხედავად, სხვისშვილს პატივით კვიდებოდნენ და მასთან ცუდად მოპყრობა სამარცხვინოდ ითვლებოდა. ვაჟაც კვირიას მისი საზიგადოებრივი წრის თანასწორუფლებიან, სრულდირსებიან წვერად, დიდსულოვან, ქედმოუხრულ ვაჟკაცადა და თავდადებულ მამულიშვილად გვიხატავს. საბედისწერო ჟამს ხალხის საპატიო დავალების სარწმუნო შემსრულებლად თუმეხს ეს უცხო, თანაც უბრალო ჩაგრული „მწყემსი“ უმჯობინებით; ფშავლებიც ოცი წლის გადავარდნილი ღარიბ-ღატაკის „მზირობას“ უყოყმანოდ დანდობიან და სამკედრო-სასიცოცხლო ომისათვის თავი გაუწირავთ.

ვაჟას თხზულებათა კრებულის სათანადო ტომისათვის დართულ ლექსიკონში, რომელიც აკ. შანიძემ შეადგინა, სხვისშვილობა განმარტებულია მოჯამაგირებოდად. ასევეა, „ბახტრიონის“ მითითებით, ალ. ჭინჭარაულის განმარტებითაჲ²⁴. ამავე შინაარსით შესულა ეს სიტყვა ს. მენთეშვილის „ქიზიყურ ლექსიკონში: „სხვათაშვილობა მოჯამაგირებოა... სხვათაშვილობაში გავატარე დღე და წუთისოფელი, სხვათაშვილობით დაგზარდე-ყე“, და დამოწმებულია: „(ნ. ვაჟა III სხვისშვილი)“ (ხაზგასმა და დაშლა ლექსიკონისა).

ასეთ გაგებას, ერთი მხრივ მაინც, ფოლკლორული მასალაც კვერს უკრავს. თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსების „მოჯამაგირე, მწყემსი, მეცხვარე, ღარიბი“—სა და „მოჯამაგირ“—ის განყოფილებებში „სხვის შვილი“ სქოლიოებში ახსნილია „მოჯამაგირედ“²⁵. იქვე შემდეგ მრავალმეტყველ ნათქვამსაც ვპოულობთ.

„ძაღლია ტუშურის შვილი, არ დაიყენებს სხვისშვილსა,

თუ დაიყენებს სხვისშვილსა, მაკლიენებს შიმშილსა“ (გვ. 94).

და ხნიერი თუში-მეცხვარე, თვითონაც სხვისშვილობაგამოვლილი, გვწერს (20.1.1973): „...მე გავიზარდე ძალიან საწყლათ, მამა პაპეული არაფერი არ დამრჩა. გავიზარდე სულ სხვის კარზედ, სულ მოჯამაგირედ და სხვის შვილად.

მოჯამაგირე და სხვისი შვილი ვართო და იგივე სიტყვაა. მე რვა წლისა გავედი მოჯამაგირედ, არა ფერი არა მებადა რა. 32 წლის დავდექი ჩემ ბინაზედ (დამოუკიდებელ მუხრენდ. — დ. ფ.). 24 წელი ვიყავი მოჯამაგირედ. სახლში რომ მივდიოდი, დედაჩემი მეტყოდა, შენ ხომ სხვისა შვილად გაიზარდეო, ჩვენ დედმამობა ვერ გავიწიეთო. ვისაც კიდევ ბავშვობასვე დაეხოცა დედმამა, დარჩნენ უბატონოთ, ობლათ, არც არაფერი ცხოვრების წყარო გააჩნდა, გაიზარდნენ სხვისა მოჯამაგირეთ, სხვისა კარზე, რათქმა უნდა, იმათ უფრო ეთქმოდა სხვისა შვილობა. ასეთები ბევრი შემხვედრია... <უ>თქვია, ჩქვენათ სხვის შვილობაში, მოჯამაგირობაში ავიზარდნითო, დედმამა არ გვცასხოსო. მე შემომივლია მთელი ფშავხევესურეთი, მთათუშეთი, ლაპარაკი მქონია ძველ ხალხსთან მოჯამაგირობაზედ და სხვის შვილობაზედ. ყველა ასე ხსენის — უბარო (უბრალო? თუ ბარად ქონების უქონელი?! — დ. ფ.) მოჯამაგირე არის სხვისი შვილი... უფრო ობლათ ვახდის ეწოდება სხვის შვილი... (ვინც. — დ. ფ.) გაიზარდა სხვისა კარზე...“²⁶.

ამ დახასიათებაში, სხვისშვილის უსახსრობის გარდა, ყურადღებას იპყრობს, რომ იგი მომეტებულად ობოლი იყო ხოლმე და პატარაობიდანვე სხვის კარზე შრომობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე დიდი დრო, ოციოდე წელიწადი, რაც საჭირო ყოფილა, რომ „ნახვისშვილარს“²⁷ კაცს ფეხზე დაეყენებინა და იგი საკუთარ მეურნეობას მოჰკიდებოდა.

მთელი ეს მასალა ჩვენს აღმოსავლეთ მთიანეთსა და ქიზიყს ეკუთვნის, — ისეთ მხარეებს, სადაც მეურნეობის მთავარი დარგი მესაქონლეობა, კერძოდ მეცხვარეობა, იყო და მისახეობაც ბატონყმური უღლის სიმძიმეს უშუალოდ არ განიცდიდა²⁸. მაშ, სხვისშვილობა ამ ვითარებაშიც წმინდა წყლის მოჯამაგირებოდად ქცეულა?


²⁴ ვაჟა-ფშაველა, ტომი მესამე, პოემები... 1930. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა... 1969.

²⁵ ხალხური სიტყვიერება, III. პირველი სერია, II. ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი... 1953, გვ. 92, 94. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არის ლექსები, რომლებშიც გამომთქმელი თავის თავს სწორედ და მხოლოდ მოჯამაგირეს უწოდებს (გვ. 93).

²⁶ გულისათად მადლობას ვწირავთ კონსტანტინე სოფროძის ძე ხახანაიძეს (73 წ.; თელავი, ორჯონიკიძის ქ. 27), — ჩვენს დაუზარელ კორესპონდენტს.

²⁷ „ნახვისშვილარი მოჯამაგირეობით ნაშოვნო ქონება. შვიდის წლის ნახვისშვილარი ერთს დილას დამათვლიენის (ჩაწერ. სოფ. ახალში)“ — ენათმეცნ. ინსტ. როგორც შემდეგში ვნახავთ, ნახვისშვილარი ვასამარჯელის, ჯამაგირის გარდა სხვისშვილის საკუთარი საწარმოო საშუალებების შემოსავლისაგანაც შედგებოდა.

²⁸ P. Харадзе, Груз сем. общ., I, გვ. 89 — Глава вторая. Семейные общины с преимущественно скотоводческим хозяйством. Семейная община у кизикцев, გვ. 116 — ...у тушин, გვ. 128 — ...у мохевцев, გვ. 144 — ...у пшавов.



პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ დაქირავებულ შრომას ჩვენი მითვლებიცა და ქი-
ზიყვლებიც თითქმის მხოლოდ მეცხვარეობაში იყე-
ნებდნენ (P. Харадзе, I, გვ. 105). და კავშირი
სხვისშვილობასა და მწყემსობას შორის იმდენად
მჭიდრო ყოფილა, რომ ვაჟს „ბატრიონის“ უკა-
ნასკნელ გამოცემაში ალ. ჭინჭარაული სხვისშვილს
უკვე სწორედ ამ კავშირის ჩვენებით განმარტავს:
„მწყემსი, მოჯამაგირე“²⁹.

ამიტომ, თუ გვიანდა ზემორე კითხვას სწორად
კუბასუხთ, მეცხვარულ მწყემსობას უფრო ახლო
უნდა დავაკვირდეთ.

სხვისშვილობა-მწყემსობა ძირითადად საოჯახო
თემის, მეტადრე მისი დაქვეითების, თანამდევ მოვ-
ლუნად გვესახება. თუ ასეთი თენი თავისი წვერების
შრომით ცხვრის მოვლას ვერ აუდიოდა, იგი მწყემ-
სებს ქირაობდა, რომლებიც მცირე, ნაკლებად შეძ-
ლებული ოჯახებიდან გამოდიოდნენ. ისინი ხშირად
სხვა ტომისანიც იყვნენ ხოლმე (კვირია; ხევსურები
მწყემსებად მუშობელი ტომის შვილებს, ქისტებს ან
ფშავლებს, მოხვევებსა თუ მთიულ-გუდამაყრელებს
იჭერდნენ). მწყემსი გასამრჯელოს ცხვრით იღებდა;
ჭანსაცმელ-ფეხსამოსი და ჭამა-სმა ფარის პატ-
რონისა იყო. რაც მწყემსს წლითიწლობამდე ცხვა-
რი უგროვდებოდა, პატრონის ფარაშივე ერია და
მთელი ხარჯიც ფარის პატრონისავე იყო. ნაწველი
ერთიანდებოდა და პროდუქციის წილი მწყემსს მისი
მეწველი ცხვრის კვალობაზე ერგებოდა. ამრიგად,
რ. ხარაძის თქმით, „საოჯახო თემის მეურნეობაში,
ოჯახის წევრებთან ერთად, გაერთიანებულნი იყვნენ
დაქირავებული მწყემსებიც“. ასეთი მწყემსი, რაკი
150-200 სულის მესაკუთრე გახდებოდა, მწყემსო-
ბას თავს ანებებდა და თავისთან ნამწყემსარს უამ-
ხანავდებოდა. შრომის ასეთ კოლექტიურ ორგანი-
ზაციას (მაგრამ ინდივიდუალური მოხმარების პირო-
ბით) თუშებში „ნარეობა“, „მენარეეობა“ ერქვა.
მენარევე, რომელიც 400-ამდე სულ ცხვარს თავს
მოუყრიდა, უკვე ცალკე, დამოუკიდებელ მეურნე-
ობას მოეციდებოდა ხოლმე. იმ გასამრჯელოს შე-

საბამისად, რასაც მწყემსი იღებდა (ასაკისა და
დახელოვნების მიხედვით და ასევე ადგილ-მხარის-
და მიხედვითაც — წლიურად 10-40 სული), 20-
ოდე წელიწადი ნდომებია, რომ იგი მენარეეობას
ღირსებოდა (მართლაც, შდრ. კვირია და კ. ხახანო-
იძე). აღსანიშნავია, რომ თუ დიდი ოჯახის გაყრი-
სას ცხვარს გაუყოფლად დატოვებდნენ (ზოგჯერ
ასეც ხდებოდა), რომელი მოწილისაც ფარაში მეტი.
მუშახელი იქნებოდა, იმას ამ ნამეტზე სათითაოდ
სათანადო „ჯამაგირი“ ეკუთვნოდა. ყველა ამის მი-
ხედვით მართალია რ. ხარაძე, როდესაც დასკვნის,
რომ „მეცხვარეობის სპეციფიკურმა პირობებმა... და-
ქირავებული შრომის განსაკუთრებული, სარტელო-
საამხანაგო ურთიერთობის შემცველი, ფორმა წარ-
მოშვა...“³⁰

აი კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ სხვისშვი-
ლობა მხოლოდ და სახელდობრ მოჯამაგირეობა არა
ყოფილა. გათხოვილსა და ამრიგად სხვის, ქმრის
სახლში შესულ ქალზე ფშავლები „სხვისშვილს“ ამ-
ბობდნენ. სიძე-ცოლისძმა დუქნის კარზე ერთმანეთს
შეპყრიან და შესუმრება-გამკილაობით „გაბაასეუ-
ლან“. ცოლისძმა სიძეს შეძლებას უწუნებს და თა-
ვისი დის ცუდად შენახვას სწამებს:

„...რა კარგა ქალა მოვეცი, თუ არ მოჰკალით
შომიშლისა...“

ჭრელა (ძალღი. — დ. ფ.) შომიშლით გიკვდებათ,
ჩემს დას რას ატყვით — სხვის შვილსა...³¹

რძლისათვის „სხვის შვილი“ შერქმევა ეგზო-
გამიური ქორწინების გადმონაშთად და იმის მოწ-
მობად უნდა ჩაითვალოს, რომ ოდესღაც ქალი უმ-
თავრესად მუშახელად განიხილებოდა³².

ახლა, როცა თავში დასახული ძირითადი გეგმა
შეძლებისდაგვარად შესრულდა, ვიდრე ჩვენი წე-
რილის დასკვნით ნაწილს შევუდგებოდეთ, შემ-
დგეს დაქვით.

არსებობს „სხვისშვილის“ მოპირისპირე ტერმი-
ნიც — „სახლიშვილი“, რომელიც სრულიად აგე-
ვარადვე ნაწარმოები რუსული домашадеи-ივით


²⁹ ვაჟა-ფშაველას „ბატრიონი“... 1972 („...შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ...
ლექსიკონი ალ. ჭინჭარაულისა...“), გვ. 277.

³⁰ რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში — „მასალები საქართველოს ეთ-
ნოგრაფიისათვის“, X... 1959, გვ. 206, 209—210. P. Харадзе, Груз. сем. общ.: I, 1960,
გვ. 95, 101, 105, 116, 123—126, 128, 138, 139, 148, 153; II, 1961, გვ. 31, 73. ალ. ჭინჭარაუ-
ლი, ხევსურულის თავისებურებანი... 1960, გვ. 228—229). სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური
ლექსიკონი... 1943, გვ. 268 — „ჯოხის მწყემსი“.

მაგრამ კერძოდ ქიზიყში, ჩანს, ფულად ნაქირავები მწყემსებიც სცოდნიათ — ნ. ქართ.
სამართლ. ძეგლ., IV, საბ. 393.

³¹ ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. იჩიაურის მიერ... 1970, გვ. 266. ასევეა
ალ. ჭინჭარაულის ცნობებითაც (ენათმეცნ. ინსტ.).

³² საოჯახო თემის წევრების აღმნიშვნელ ორ წყება ტერმინზე, რომელთაგან ერთი ნათე-
საურ კავშირს გამოხატავს, ხოლო მეორე საწარმოო კოლექტივის მონაწილე რძლებს ეწო-
დება ნ. P. Харадзе, Груз. сем. общ.: I, 1960, გვ. 113, 145, 175; II, 1961, გვ. 11, 65.



სახლის ნამდვილი წვერის გარდა ერთბაშად სახლეულს, ე. ი. ყველა შინაურს, კერძოდ სახლის მკვიდრ მოსამსახურესა და ზოგან (ქართველ მთიელებში) თავისებურ „მოჯამაგირესაც“ კი აღნიშნავს³³. რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან სხვისშვილობისა და სახლისშვილობის (ვითარცა მოსამსახურეობა-მოჯამაგირეობის) ცნებები, ეს ჯერ კიდევ გამოწვლილვას საჭიროებს და ამჯერად მასზე სიტყვას აღარ გვაგვრძელებთ.

მაგრამ ორსავე ამ მოვლენას სათავე უხსოვარ დროს ხალხის ზნე-ჩვეულებაში უნდა დასდებოდა და ისინი მართო ქართველთა ცხოვრების კუთვნილება არ ყოფილა. ამიტომ გვიჩნდა სულ ორი სიტყვით გაიხსენათ, რომ ბიბლიური დიდი პატრიარქალური ოჯახის საზოგადოებრივი მდგომარეობით განსხვავებულ სამ ჯგუფს აერთიანება. ესენი იყვნენ: მისი სისხლითი წვევრები („ნათესავი“, „ძმ თუხი“), თავისი-ანებივე, ოღონდ დაბადების ადგილისდა მიხედვით და არა სისხლით („სახლის ნაშობი“ თუ „სახლის წული“, — იგივე „მონა“) და სხვაგნებურნი და სხვა ტომისანი („...ნაშობი უცხო თესლისაა“ თუ „...უცხო თესლთაგან ნათესავთა“, კერძოდ „მეცხლით სყიდული“, „...ფრილი“).³⁴ მეტ-ნაკლებად ამდაგვარივე ვითარება ბევრი სხვა ხალხის შორეულ წარსულშიც დასტურდება. ორსავე ბოლო ჯგუფს შესაბამის გვაროვნულ კოლექტივთან დაკავშირებული, თუმცა სხვადასხვანაირად, მაგრამ ერთბაშად დამოკიდებული პირები შეადგენდნენ. ამ ჯგუფების გაჩენისა და შევსების წყარო შეიძლება ყოფილიყო, და უთუოდ იყო კიდევ, ჯერ ერთი, სხვა, ძლეული სისხლნათესაობითი კოლექტივები, რომლების წევრებიც, ერთიანად თუ ნაწილობრივ, უფრო დიდიერი სახლის ხელდებულ-ხელქვეითებად იქცეოდნენ, ხოლო მეორე — სამხედრო ტყვეები.³⁵ საფიქრებელია, ჩვენნი „სახლისვილი“ და „სხვისშვილი“-ც იმავე შორეული ხანის

გამოძახილ, ე. წ. პატრიარქალური, შინაური მიხობის ანარქულ ტერმინებს წარმოადგენდეს.

დასასრულ, „პატრიარქალური ექსპლუატაციის“ კიდევ ერთი „არქაული ფორმა“ უნდა მოვიხსენიოთ, ოღონდ მასალის ნაკლებობის გამო ძნელი სათქმელია, სხვისშვილობას უფრო უდგება იგი თუ სახლისშვილობას. ხეთურ კანონებში (XIV-XV სს. ძვ. წ.) გვხვდება „სამემკვიდრეო წილის კაცი“ („შესამლო... პატრიარქალურად დამოკიდებული... დარბი გვარის კაცი, უთვისტომო, იქნებ მოვალეც...“), რომელიც სრულუფლებიანი, თავისუფალი პირის, „მხედრის“, „მფარველობაში“ იმყოფება და მის მიწაზე მუშაობს. თუ მფარველ-ხელდებული „წაინსუბებოდნენ“, ერთმანეთში ვედარ მორიგდებოდნენ, „თავიანთი სახლი“ უნდა გაეყვით და „სამემკვიდრეო წილის კაცს“ 0,3 (1/3) ერგებოდა³⁶.

*

აქამდე, მსჯელობის კვალდაკვალ, გამოტანილ მთავარ დასკვნებს თუ თავს მოვუყრიტ, თითქმის შეიძლება საბოლოოდ შემდეგ აზრს დავადგეთ.

სხვისშვილისათვის დამასასიათებელია, რომ იგი თავისი კონტრაპუნქტისათვის თუ ერთბაშად სხვაგნებური ანდა სულაც სხვა ტომისა არ არის ოჯახისშვილობით მინც უცხოა. სხვისშვილი სხვისი იმით არის, რომ სხვა სათემო-საოჯახო კოლექტივის შვილი და, ამრიგად, წვერი-მუშახელია, ხოლო შრომით კი სხვა სათემო-საოჯახო კოლექტივის მკურნეობაში შრომობს.

სხვისშვილობა, ვითარცა ჩავვრისა და ექსპლუატაციის საშუალება, გვაროვნული წყობილების რღვევის მსვლელობაში უნდა გაჩენილიყო, როცა ნატურალური მეურნეობისათვის დამასასიათებელ საოჯახო წარმოებას მუშახელი ზოგს შემოაკლდა და ზოგს კი მოსჭარბდა.

³³ ნ.: ქართული და რუსული განმარტებითი ლექსიკონები, უფრო ძველი; ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ლეგენდათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი — „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, X... 1959, გვ. 159—160 — ავტორის ვარაუდით, ასეთი „სახლისვილი“-ობა „თავის დროზე წარმოადგენდა პარალელს ძველდამოსავლური „შვილობილობის“ ინსტიტუტისა, რომელიც მონური შრომის შეცვლის ერთერთი სახეობა იყო“; P. Харадзе, Груз. сем. общ., II, გვ. 14; საქართველოს სიძველენი... II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით... 1909, საბ. 28; განსხვავება „გუარის კაცი“-სა და „სახლის შვილი“-სა. შდრ. ბექასა და აღბუღას სამართალი, მუხ. 78; მკვიდრი ყმის განსაზღვრება ბატონის ხელში დაბადებულობით.

³⁴ წიგნი ძუელისა აღთქმისანი. 978 წლის ხელნაწერების მიხედვით, ტ. I, ნაკვეთი 1, დაბადებისა, გამოსლვათა, გამოსცა აკაკი შანიძემ... 1947, გვ. 3, 6.

³⁵ А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепнин, Пути развития феодализма (Закавказье, Средняя Азия, Русь, Прибалтика)... 1972, გვ. 83—106.

³⁶ Законы Вавилонии, Ассирии и Хетского царства. Перевод и комментарий под редакцией И. М. Дьяконова, «Вестник древней истории», 1952, 4(42). Приложения», გვ. 265—266, 279, 287. ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი... 1960: გვ. 108—109. მუხ. 50—53; გვ. 124, მუხ. 192.

სხვისშვილობა ფართო, უპირატესად სოციალური განმრევების მანიშნებელი ცნებაა. მის შინაარსს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ-სამეურნეო ურთიერთობა შეადგენს, რომელიც აუცილებელ პირობად სხვის კარად ყოფნასა და შრომას გულისხმობს. ეს ურთიერთობა სამართლებრივად ერთიანი და ნიადაგ მარტივი ბუნებისა როდია. იგი მომეტებულად სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებს ემყარება, მაგრამ შეიძლება ბატონყმობასაც შეუთავსდეს. ჩვენ ვნახეთ, ასე ვთქვათ, საწარმო-კოოპერაციული სხვისშვილობა; მართალია უკვე დაკნინებული ფორმით, სხვისშვილობა მოჯამაგირეობისა და „სა-არტელ-სამანაგო“ ურთიერთობათა გადასლართვით. აგრეთვე წმინდა მოჯამაგირეობისა და სავალო კაბალის სახით, დაბოლოს, — უბრალო ყმაც, სხვისშვილად წოდებული. და სხვისშვილობის პრაქტიკა ალბათ სხვა ფორმებსაც პოულობდა (ნ. ზემით სქ. 22). გვიანობამდე შემორჩენილ ყველა ამ ფორმას შორის უძველესი, რა თქმა უნდა, ისინია, რომლებშიც შრომითი შეამხანაგება ჯერ ძირფესვიანად არ ამოკვეთილა.

მასასადამე, სხვისშვილობისათვის იმდენად იურიდიული ფორმა კი არ ყოფილა ნიშანდობლივი, რამდენადაც ზოგადად შრომითი მონაწილეობა სხვის მეურნეობაში.

მაგრამ ასეთ მონაწილეობას, როგორი მამაშვილური დამოკიდებულების სამოსელითაც არ უნდა წარმომდგარიყო იგი, ნაიძულოებისა და ჩაგვრის თანდაყოლილი დაღი წარუსოცელოდ და სულ მეტადაც აჩნდა. ამიტომ მოხდა, რომ ხალხი, რაკი მას იურიდიული კონსტრუქციების გარჩევა კიდევ უჭირდა და ნუგეზადაც არაფრად უჩნდა, ვეღარ ატყობდა ანდა არად ავლებდა განსხვავებას სხვისშვილობასა და სახელდობრ მოჯამაგირეობას შორის, რომელიც სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში შრომის ექსპლოატაციის უფრო გვიანდელს, საყოველთაო და მძაფრ ფორმად მოქმედებდა.

მხარეთა ინტერესების მკვეთრი წინააღმდეგობიყო, ხალხს რომ ათქმევინა (ალ. ჭინჭარაული, სკესურულის თავისებ., გვ. 439):

„სხვათა შვილი არ შვილობდა,
ვით ნაცარი არ ფქვილობდა“.

ქართული თეატრის მოაზრება

ძველი რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქებისაკენ, ნამეტანავად პეტერბურგში, დიდძალი ქართველი ახალგაზრდობა მიისწრაფოდა უმაღლესი განათლების მისაღებად. ცხადია, ეს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჩვენი ახალგაზრდობის მეტი ნაწილი იქ, რუსეთის ქალაქებში გაჯირვებით ცხოვრობდა, მაგრამ ეს მათ ვერ აშინებდათ, მაინც თამამად მიემგზავრებოდნენ.

უკეთეს წვრთნას კი (სწავლას) იმ დროში ვეროპაშიც ძნელად მიიღებდა სადმე ადამიანი.

მაშ მაინც რისა და ვისი იმედით იყვნენ ქართველი სტუდენტები?

პეტერბურგში რამდენიმე ქართული სათვისტომო იყო. ჩვენს სტუდენტობას ისინი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ.

გარდა სათვისტომოებისა, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეებიც ბლომად იყვნენ სატახტო ქალაქში. სხვაზე ნაკლებ ამაგს არც ისინი სდებდნენ სტუდენტობას.

სათვისტომოების და ცალკეული პირების დახმარების იმედით (თუ კი ეს საჭირო გახდებოდა), მეც ვესტუმრე პეტერბურგს 1911 წლის სექტემბრის დამდეგს.

უნივერსიტეტის ტალანში პირველად სტუდენტებისაგან ვაგივე, რომ პეტერბურგის გამოჩენილი ადვოკატი სოფულ ოქიოს (თელავის რაიონი) მკვიდრი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ქართველი სტუდენტების პირველ დამხმარედ იყო მიჩნეული.

ანდრონიკაშვილი თურმე არავისათვის არავითარ შველას არ იშურებდა. ამიტომაც, სჭირდებოდათ თუ არა დახმარება, ყველა ცდილობდა გასცნობოდა მას, თუნდაც მისი სახელისა და მომხიბლაობისათვის. ყველა ცდილობდა ერთხელვე ამ მოღვაწესთან დამყარებულ ურთიერთობა არასოდეს არ შეეწყვიტა.

მეც ვეძებდი შემთხვევას ამ ქართველ პატრიოტს, დიდ სწავლულს, სახელგანთქმულ ადვოკატს რაც შეიძლება მაღე და ახლოს დაგვაკვირებოდა.

ეს შემთხვევა მომეცა. და აი როგორ:

პეტერბურგში მესტუმრა ბიძა — რაჟდენ ჩხეიძე. ის აპირებდა სენატში ადვოკატი დიდი საჩივარი. საჭირო იყო ადვოკატის აყვანა და ჩვენს პეტერბურგში ცნობილ ადვოკატს — მუხინ-პუშკინს მივმართეთ.

— ჩემთან რა გინდათ! — გაიოცა მან. — თქვენს თანამემამულეს, ლუარსაბ ანდრონიკოვს რად არ მიმართავთ?

— ასე ვარჩიეთ მეთქი! — მივუვეთ.

— ლუარსაბ ანდრონიკოვს პეტერბურგში კი არა, სხვაგანაც, ვეროპაშიც იშვიათად მოეპოვება ტლო. — ჩაილაპარაკა მან თავისთვის და ჩვენ გვითხრა, — თუ გინდათ საქმე თქვენს სასარგებლოდ დამთავრდეს, მას' მიაკითხეთო.

ჩვენც ავდექით და უმაღვე ვინახულეთ ეს დიდი ქართველი, თუმცა შემდეგ, იმისი დახმარებით სენატში აღძრულ საჩივრით აღარ გვისარგებლია.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მაშინვე მოაზრინა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება. გადავწყვიტე დაგხლოვებოდი ამ დიდ მეცნიერს და არც გამეწყვიტა მასთან კავშირი. ასეც მოხდა, მაგრამ მაშინდელი ჩვენი ურთიერთობა მაინც არ იყო ახლო ნაცნობობა.

ახლო ნაცნობობა ამ დიდ ინტელიგენტთან 1917 წლიდან დავამყარე. ამ წელიწადს ლუარსაბი მისმა მკვიდრმა დეიდაშვილმა, მწერალმა და პუბლიცისტმა ილია ზურაბიშვილმა შემეხვედრა.

ილიას დახმარებით ლუარსაბი, დემერო ნუ მიწყენ, თითქმის გადავიწყებულ ქართულ ენას კვლავ უეფლებოდა. მანვე, ილია ზურაბიშვილმა, ლუარსაბი დააკავშირა ქართულ თეატრსა და მსახიობებს. ქართულ თეატრთან კონტაქტის დამყარებაში მე მცირე როლს როდი ვასრულებდი.

ლუარსაბის თეატრში მისვლას, თუნდაც როგორც მაყურებლისა, დიდ რასმე ნიშნავდა.

ქართველმა ინტელიგენციამ კარგად იცოდა ხელოვნების რა დიდი მცოდნეც იყო ეს გამოჩენილი იურისტი.

ასე გადიოდა დრო.

მაღე რუსეთში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო. ამას რევოლუციური ტალღების აზვირთება მოჰყვა.


ლუარსაბ ანდრონიკაშვილი პეტერბურგიდან თბილისში გადმოსასლდა, ახლანდელ ძნელაძის ქუჩაზე დაბინავდა.

ასეთი შესაძლებლობების ინტელიგენტის თბილისში გამოჩენა მაშინვე შეიტყვეს ქართველმა მოღვაწეებმა.

ერთ დღეს თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულმა პირებმა, ისევე ილია ზურაბიშვილის მეტაურობით, კვლავ ვინახულეთ ლუარსაბი. მას ჩვენი მისვლა გაუხარდა. მოკითხვის შემდეგ, უმაღვე, საუბარი გაიმართა ქართულ მწერლობაზე, უნივერსიტეტის დაარსებასა და თეატრზე.

ჩვენ დაწვრილებით ვუამბეთ, თუ რას წარმოადგენდა ზაქარია ფალაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ისიც ვუთხარით, თუ რა წარმატება ექნებოდა ამ ოპერას ქალაქში.

ილია ზურაბიშვილმა, რომელსაც კარგი ხმა და



სმენა ჰქონდა, კიდევ უმღერა მასპინძელს ამ ოპერის რამდენიმე არია.

ლუარსაბის აღტაცებას კაცი ადვილად ვერ აღწერს. მან რამდენჯერმე გაამეორებინა ილიას ერთი და იგივე არია, თან მოსურვა შირიდან მაინც დამანახეთ ოპერის ავტორიო. იღბლად, ამას დიდი ხანი არ დასჭირვებია.

სწორედ იმ ხანებში, ლუარსაბი თბილისში დასახლდა. საქართველოში რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა კოტე მარჯანიშვილიც. ჩვენ არ გაგვეცუბია, როცა ვავიგეთ, რომ თეატრის ამ დიდი, სახელგანთქმულ მოღვაწეს ლუარსაბი დიდხანია იცნობდა რუსეთიდან, ბევრჯერ დასწრებია იმის დადგმებს პეტერბურგში, მოსკოვში და სხვაგანაც.

ლუარსაბი გამოვიტყდა, რომ დიდად აფასებდა მარჯანიშვილის მხატვრულ გემოვნებას, გამომოგონებლობას, ფანტაზიას და შრომის უნარიანობას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, მრავალ შემთხვევაში კიდევ შედავებოდა გამოცდილ რეჟისორს. ბევრი ჩვენგანი შესწრებია მათს ცხარე კამათს პიესის შერჩევაზე, პიესის წაკითხვაზე, მსახიობის მიერ განსახიერებულ როლზე.

მარჯანიშვილსა და ლუარსაბს დიდი შეღაპარაკება მოუვიდათ საქვეტალ „მალშტრემის“ ირგვლივ.

ლუარსაბს არ მოსწონდა პიესის ზოგიერთი სიტყვიერი მასალა. განსაკუთრებით არ მოსდიოდა თვალში ქალების კოსტუმები.

მარჯანიშვილი თავიდან ადვილად არ ნებდებოდა ლუარსაბს, შემდეგ კი დაეთანხმა. მათმა ასეთმა ურთიერთობამ კარგი შედეგიც გამოიღო.

მარჯანიშვილს სულითა და გულით შეუყვარდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. დიდად ენდობოდა მის ცოდნას, გემოვნებას, გამოცდილებას, რაც მთავარია, მოკრძალებით ეპყრობოდა მის პატრიოტულ გრძნობას და თეატრისადმი ჭეშმარიტ, უანგარო სიყვარულს.

რეჟისორმა ის მეტისმეტად დაიახლოვა. მსახიობები სიამის გრძნობით ივსებოდნენ, როცა ასეთ მაყურებელს, შემფასებელს და მოღვაწეს სცენიდან სადმე ლოუაში ან პარტერში მოჰკრავდნენ თვალს.

იმ ხანებში (ვკვლისხმობ თბილისში დაბრუნებიდან გაზაფხულების დღემდე) ლუარსაბს უნასავად არ გაუშვია არცერთი წარმოდგენა.

მისმა მახვილმა თვალმა პირველმა შენიშნა უშანგი ჩხეიძის ვაჟკაციური შესახედაობა და ჭეშმარიტი ტალანტი და შრომისმოყვარეობა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი სიამოვნებით ეხმარებოდა თეატრს უცხოური პიესების შერჩევაში. მან უცხოური ენებიც კარგად იცოდა და დედნებში კითხულობდა კლასიკურ პიესებს.

1924 წელს რუსთაველის თეატრის კოლექტივმა „ჰამლეტის“ დადგმა გადაწყვიტა.

ახალგაზრდა მსახიობებს და დამდგმელს ჩანაფიქრის ხორცშესხმა დიდად აღელვებდათ.

ამ კლასიკური პიესის გათამაშება რაღაც გამოცდას ემსგავსებოდა.

ჰამლეტის დადგმით უნდა გამოჩენილიყო რეჟისორისა და მსახიობთა მთელი კოლექტივის შესაძლებლობები.

თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ძალები მოეზიდა და ჩაება „ჰამლეტის“ დადგმის სამზადისში.

საჭირო გახდა მსახიობები ჯერ პიესას გასცნობოდნენ, რომლის უბრალოდ წაკითხვა არ კმაროდა, მერე კი შექსპირსა და მის ეპოქაზე ჰქონოდათ შესაფერისი წარმოდგენა.

ამ ამოცანის მცოდნედ თბილისში ყველას ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მიაჩნდა. არჩევანიც მას ხვდა წილად.

რადგანაც ამ შესანიშნავი სწავლულის და საზოგადო მოღვაწის პირად მეგობრად მთვლიდნენ, თეატრმა მოხსენების მოწყობა და უკვე შერჩეული მცოდნე ადამიანის მოწვევაც მე დამავალა.

სიამოვნებით შევედექი ამ დავალების შესრულებას.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ამ დროს ხანში შესული იყო. ის ლექციებს კითხულობდა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, თანაც ზრდიდა ორ შეილს ახლა სახელგანთქმულ ხელოვანს — ირაკლის და ფიზიკოსს — ავადემიკოს ელევთერ ანდრონიკაშვილებს. მე მას შინ ვესტუმრე და მისვლის უმაღლე გავუმხილე რისთვისაც ვეახლი.

— არა მგონია დიდად წავაღვეთ მაგ საქმეში. მე თეატრს თქვენს გამოცდილებასა და ცოდნაზე მეტრას მივუმატებ — იუარა მან, რადგან გულწრფელად სწამდა, რომ ბევრი მოძიებნობდა ჩვენში შექსპირის მცოდნეები.

— თქვენ მობრძანდით და... — შევნიშნე.

— მაშ თუ აგრეა, თუ რამ შემძლია, — გაიღიმა ლუარსაბმა და ნიკაპზე პატარა ვჭერზე მოისვა ხელი — თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

თეატრალებს და ბევრ სხვასაც კარგად ახსოვთ რადიდი და მშვენიერი ნაყოფი გამოიღო „ჰამლეტის“ მაშინდელმა დადგამამ.

ერთხელ ლუარსაბი თეატრში მოვიწვიეთ. მარჯანიშვილმა მოკლედ უთხრა, თუ რატომ შევაწუსეთ და მერე სთხოვა ესაუბრა „ჰამლეტში“ მონაწილეთათვის შექსპირის ეპოქაზე, კერძოდ კი ჰამლეტის გარშემო. ლუარსაბმა ღრმა ანალიზი გაუკეთა, როგორც შექსპირის ეპოქას, ისე გენიალური დრამატურგის ტრაგედიას „ჰამლეტს“.

დიდად შინაარსიანმა მოხსენებამ და ჰამლეტის გარჩევამ მეტად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, დიდად დაგვეხმარა შემდგომ მუშაობაში. ლუარსაბი თითქმის ყოველთვის ესწრებოდა რეპეტიციებს და დღესაც დიდ მადლდღერების გრძნობით ვიფიქნებ მის დგაწვლს და დიდ დამსახურებას განსაკუთრებით ისინი, ვინც ვიღამაწილებოდით პიესაში, რომელთაგან დღეს მხოლოდ ოთხი-ხუთი მონაწილეა დავრჩით.

ჩვენ, რასაკვირველია, ჰამლეტის პრემიერაზე მოვიწვიეთ ლუარსაბი. მან პასუხად ასეთი წერილი გამომიგზავნა:

პატივცემულო ძვირფასო დავით!

არ ვიცი როგორ გადავიხადო თქვენი ესოდენ ყურადღება ჩემდამი. ეს თქვენ დიდ ბუნებას უნდა მიეწეროს, რისთვისაც დიდ მადლობას მოგასხენებთ. მე დიდად მოხარული ვარ თქვენი გამარჯვებით. ჩემი მეგობრის კოტეს¹ დიდი ნიჭი და მისი შემოქმედება, მისდამი თქვენი და თქვენი ამხანაგების დახმარება, ყველასათვის გასახარელია, მით უფრო ჩემთვის. მიგულეთ ყოველთვის თქვენს მეგობრად.

გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს, თქვენი მუდამ პატივისცემი ბები — ლ. ანდრონიკაშვილი. 25 ნოემბერი. 1925 წ.

პრემიერის შემდეგ მე ბევრი რამ ისეთი მოვაგონე ლუარსაბს, რასაც ის არ ელოდა. ისიც კუთ-

ხარი, როგორ გამოგვადგა მისი რჩევა და რეკომენდაციები.

ამაზე მსცოვანი სწავლული უხერხულად იშუმუნებოდა. მერე დავკვირდა, თუ კი რამ შემიძლია, კვლავაც დაგეხმარებითო.

ამ დღიდან ის შინაურივით შემოადებდა ხოლმე თეატრის კარს და ჩვენაც დანახვის უმაღლეს წამოვიძახებდით ხოლმე:

— ჩვენი ლუარსაბი!

ეს მშვენიერი ინტელიგენტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ქართული თეატრის მოამაგედ დარჩა და დღემდეც ასეთად ახსოვს ყველას.

დავით ჩხეიძე,

რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საპარტოვო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საპარტოვო სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლში
ღამაბების შეთანხმების შესახებ

სავეტერინარო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

შეტანილ იქნეს დამატება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:
„**მუხლი 183.** სავეტერინარო წესების დარღვევა“

სავეტერინარო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვება ან წინასწარი შეცნობით შეიძლება მოხდეს ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვავაძე**

თბილისი, 1974 წლის 29 აპრილი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საპარტოვო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საპარტოვო სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში
ცვლილებისა და ღამაბების შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 108.** ჩამორთმევა ქონებისა, რომელიც იყენებენ არაშრომითი შემოსავლის მისაღებად

თუ მოქალაქე პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლს, აგარაკს (სახლის, აგარაკის ნაწილს) ან სხვა ქონებას სისტემატურად იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, ეს სახლი, აგარაკი (სახლის, აგარაკის ნაწილი) ან სხვა ქონება უსასყიდლოდ უნდა იქნეს ჩამორთმეული სსრ-სამართლო წესით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელით.

სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეული სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში, სასამართლოს შეუძლია მესაკუთრეს და მასთან ერთად მცხოვრებ პირთ ჩამოართვას ამ სახლში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, მაგრამ თუ მათ არა აქვთ მუდმივ საცხოვრებლად ვარგისი სხვა ბინა, საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს საბინაო ფონდიდან, არსებული ნორმების შესაბამისად.

ამ მუხლის პირველი ნაწილის წესები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სახლი, აგარაკი (სახლის, აგარაკის ნაწილი) გაქირავებულია ამ კოდექსის 299-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვავაძე**

თბილისი, 1974 წლის 29 აპრილი.



პირველი ლიგერაგურული „საქმე“ რუსეთში

I

იმპერატორი ეკატერინე II 1790 წლის 26 ივნისს მთელი დღის განმავლობაში თვალს ვერ აშორებდა წიგნს. თავადებელიც კითხულობდა. მის ნამძინარეც, ჯერ კიდევ ფერუმარილიშუკარებულ სახეს ლაქები ემჩნეოდა, ბაცი ცისფერი თვალები სიბრავისაგან უშუქდებოდა.

დაახლოებულმა ფრეილინებმა პერეკუსისინამ და პროტასოვამ უკვე მერამდენედ შეიჭურტეს კაბინეტში. შეიხედა დარბაისელმა კამერდინერმაც ზასარ კონსტანტინეს ძემ. ყავის დაღვევის დრო იყო, მაგრამ ეკატერინე ყველას ხელის ქნევით იშორებდა.

გვერდით დარბაზში დაბალი ხმით ზუზუნებდნენ დილის მიღებაზე გამოძახებული მინისტრები, სენატორები, გენერლები. უკან გამობრუნებულ ზასარ კონსტანტინეს-ძეს თვალებით ეკითხებოდნენ. მაგრამ იგი ყოველთვის ერთ პასუხს იძლეოდა — არავითარი ბრძანება არ არის. მისი უდიდებულესობა კითხვით არც გართული. მთელი გულისყურით წიგნს ჩასჩერებია.

მიწყარებული ზუზუნი კვლავ იწყებოდა. ძველი სენატორები ნაჩუქარი ძვირფასი სათუთუნეებიდან ერთმანეთს ბურნუთით უმასპინძლებოდნენ და უზარმაზარ ფერად ცხვირსახოცებში ცხვირს რომ აცემინებდნენ, ნიღბები ერხეოდათ.

წიგნს ეწოდებოდა „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“. ეს იყო ნაწარმოები ყმა გლეხების ტანჯვის, მათი არაადამიანური შრომის, სიღატაკის, შიმშილის შესახებ. ბატონყმობას ავტორი პოეტ ტრედიაკოვის სიტყვებით ასახაითება: „Чудище оно, огромно, озорно, стозевно и лаям“. წიგნი ამბობს ცეცხლით და იმ ბრბოთა გრგვინით სუნთქავდა, რომელთაც ბასტილია შეეძლოთ დეინერგიათ.

ეკატერინე შეძრწუნდა. „წიგნი საფრანგეთის ახლანდელ გამაჩრწუნელ მაგალითს უმიზნებს“, გაიფიქრა მან და სწრაფად იწყო წერა წიგნის კიდევ — „ამ წიგნის ზრახვა ყოველი ფურცლიდან ჩანს: მისი შემთხვევლი დაავადებულია ფრანგული ცდუნებით, ყოველნაირად ეძებს და ცდლობს რაიმე იღონოს, რათა დაამცროს ხელისუფლების და ხელისუფალთა ღირსება და ადამფთოს ხალხი უფროსებისა და უფროსობის წინააღმდეგ“.

ეკატერინე თავისი მეფობის დასაწყისში ლიბერალობდა, ელაქუცებოდა ფრანგ ენციკლოპედისტებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ყოველივე ამან გაიარა. მას შემდეგ კი, რაც მოვიდა პირველი ცნობები

საფრანგეთის რევოლუციის შესახებ, უბრძანა ვოლტერის ბიუსტი სხვენზე აეტანათ და სასწრაფოდ ყველაფერი ეღონათ იმისათვის, რათა „ფრანგულ სენს“ არ შემოედწია რუსეთში.

კაბინეტში მოუსხენებლად შევიდა ეკატერინეს პირადი მდივანი — ხრაპოვიცი.

წიგნის ნერგული ქნევით დედოფალი ისე დაეტაკა მდივანს, თითქოს სწორედ ის ყოფილიყო დამნაშავე. მან მაშინვე ბრძანა მოენახათ შემთხვევლი და დაეპატიმრებინათ. ასე დაიწყო თვითმპყრობლობის ბრძოლა პირველ რუს რევოლუციონერ მწერალთან.

II

წიგნის ავტორი პეტერბურგის საბაჟოს მმართველი კოლეჯის მრჩეველი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რადიშჩევი აღმოჩნდა.

როცა მან ხელნაწერი ცენზორ ანდრეი ბრიანცევის წარუდგინა, ამ უკანასკნელმა, მწერლის უმცროსი ვაჟის — პ. ა. რადიშჩევის მოწოდებით „ამოშალა მრავალი ფურცელი, წიგნის თითქმის ნახევარი“. რადიშჩევმა მას ანგარიში არ გაუწია და თავისი წიგნი შეუსწორებლად დაბეჭდა. წიგნს იგი შინ, საკუთარ სტამბაში ბეჭდავდა და სულ დაახლოებით 650 გეზემპლარი გამოსცა. როგორც კი გაიგო, მამაპატიმრებენო, რადიშჩევმა წიგნის ერთი ნაწილის მოსპობა მოასწრო; დიდ ნაწილს კი მალე პოლიციამ კონფისკაცია უყო და გაანადგურა.

დაბეჭდილი სახით რადიშჩევმა წიგნი ობერპოლიციეისტერს ნიკიტა რილევეს წარუდგინა. მან ისე დართო ნება, რომ თავი არ შეუწუხებია კითხვით, რისთვისაც დასაჯა ეკატერინემ. ეკატერინე ფეხებს ურტყამდა იატაკს, ყვიროდა, ის კი მუზღებზე დაწოლიყო და ბუტბუტებდა:

— ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია.

ეკატერინეს მოახსენეს, ავტორი მონახული და დაპატიმრებულიაო.


— ამ წიგნის შემთხვევლი მართლა მეტად უმეცარი კაცია? — იკითხა მან.

მაგრამ მას უპასუხეს, რადიშჩევი ევროპულად განათლებულია, თქვენივე ბრძანებით ახალგაზრდობაში საზღვარგარეთ სწავლობდა, თავისი მოღვაწეობით ბევრი სარგებლობა მოუტანა საბაჟო საქმეს და ხელი შეუწყო ინგლისთან სავაჭრო დაახლოებასო.

— ჰმ, მით უარესი! — წამოიძახა ეკატერინემ.

III

რადიშჩევი დაპატიმრეს 1790 წლის 30 ივნისს, დაადეს ბორკილები, თითქოს მკვლეელი ყოფილიყო



და ჩასვეს პეტრე-პავლეს ციხეში ჯალათ შეშვოსკის განაგრეულებაში, რომელიც საიდუმლო გამოძიებას განაგებდა და განთქმული იყო თავისი სისასტიკით. რა წამება და აბოზად ავლება განიცადა რადიშჩევმა, არ ვიცი, მაგრამ გასაკვირველი არ არის, რომ მან „მონანია“ თავისი „ცოდვები“.

შეშვოსკიდან საქმე პეტრებურგის სისხლის საქმეთა სასამართლო პალატას გადაეცა. ეკატერინე არ ენდობოდა პალატას, ემინოდა, იგი ლმობიერ განაჩენს გამოიტანსო. ეკატერინეს ნებას რომ გადასცემდა გრაფი ბეზობროდკო გენერალ-გუბერნატორ ბრიუსს სწერდა: „რაც შეეხება რადიშჩევის მონანიებას, ის სასამართლოს არ ენება და იმპერატორის ნებაზეა დამოკიდებული“.

უფრო მეტიც, ეკატერინემ საქმის გარჩევის დროს ბრძანა, რომ „მოგზაურობა“ ხმამაღლა არ წაეკითხათ, მაგრამ თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, დაბალ მოხელეთა დაუსწრებლად წაეკითხათ და, საქმის არსში ჩაუწვდომლად მხოლოდ ოთხი კითხვით შეზღუდულიყვნენ: ის არის თუ არა ნამდვილად წოგნის შემთხვეული, რა განზრახვით შეთხზა იგი, ვინ არიან მისი თანამზრახველნი, გრძნობს თუ არა დანაშაულის მნიშვნელობას.

საქმის მიღებისთანავე პალატა მიძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: კანონში არ იყო ამ სახის დანაშაულის დამსჯელი მუხლი. პალატა ჩაფიქრდა, მაგრამ არც თუ დიდი ხნით. თუმცა ფიქრი რაღა საჭირო იყო, როცა იმპერატორის ნება ისევ ნათელი გახლდათ. და, სწრაფად გადაქეპა რა ძველი კანონები, პალატამ მონახა მუხლი, რომელიც მას ხელსაყრელად მოეჩვენა: „ქურდების შესახებ, რომლებიც ქურდობის განზრახვით ასტყენ უფოსს, იმათ შეესახებ, ვინც ხელმწიფის ჯანმრთელობის მიმართ ბოროტს რასმე ჩაიფიქრებენ და მოსკოვის სახელმწიფოს დაპყრობა და ხელმწიფედ გახდომა სურთ“. თუმცა პალატა ამაზე არ შეჩერდა და დაუმატა მუხლი პეტრე პირველის სამხედრო წესდებისა, რომელიც სჯიდა საბრძოლო მამაცობის უქონლობისათვის „...როცა ციხეს ან სანგრებს შეუტყვენ, უფროსები და ჯარისკაცები კი უმაღ დაზებდებიან, ვიდრე უკიდურეს ღონეს იხმარდნენ...“ პალატას არ დაუზოგავს მონდომება: რადიშჩევს სიკვდილი მიუსაჯა.

IV

სიკვდილით დასჯა დაბეჭდილი ნაწარმოებისათვის — ეს იმ დროისთვისაც კი ველურია იყო. ამასობაში რადიშჩევის წიგნმა, ხელნაწერის სახით რომ გადადიოდა ხელიდან ხელში, სწრაფად მოიპოვა პოპულარობა საზოგადოებაში. რამდენადაც ეკატერინეს ყურამდე აღწევდა ხმები, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ავტორს სიმპათიურად ეკიდებოდა, იგი იძულებული გახდა გადაედო განაჩენის აღსრულება და საქმე სენატს გადაეზავნა.

სენატმა ისევ, როგორც პალატამ, არ დააყოვნა

და რადიშჩევის საქმეს საზღვაო წესდების მუხლი მიუყენა პასკვილანტების შესახებ.

ეს იმდენად უაზრობა იყო, რომ ეკატერინემაც კი თავაზიანი გამოთქმით მიატყვევინა სენატს ყურადღება იმაზე, რომ მან უმძიმესი ბრალი დანახა რადიშჩევისა: ფიცის დარღვევა და მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა.

პირადად შეურაცხყოფილი იმპერატორი რომ დაემშვიდებინა, სენატი ნაკლებად ზრუნავდა წესჩვეულებების დაცვაზე და, დამატებდა რა პალატის განაჩენი, ხელმოკრედ გამოუტანა რადიშჩევს სიკვდილით დასჯა.

მაგრამ ცხადზე ცხადი იყო პალატის პირმოთნობა და კანონებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ეკატერინე არ დაკმაყოფილდა პალატის გადაწყვეტილებებით და საქმე მისი უდიდებულესობის საბჭოში გადაგზავნა, თანაც ბეზობროდკოს მეოხებით განაცხადა: „მძაგს ყველაფერი, რაც რადიშჩევის მაგნე წიგნში შეურაცხყოფილია ჩემი უდიდებულესობის პიროვნებისათვის“. მას სურდა დაერწმუნებინა საზოგადოება, აი რა მიუკერძოებელი ვარ და რადიშჩევის წიგნი რუსეთის იმპერიისათვის რა საშიშროებას შეიცავსო.


მისი უდიდებულესობის საბჭო პერსონალურად არჩეული პირებისაგან შედგებოდა. იგი იმ მიზნით იყო შექმნილი, რომ ეკატერინესთან ერთად განეხილა საომარი ვითარება თურქეთის ომის დროს და სხვა არაფერი. ასეთივე წარმატებით სომ საქმე შეიძლებოდა. საჯინბო უწყებასაც გადასცემოდა!

საბჭომ მოიწონა განაჩენი. რადიშჩევს მესამედ მიუსაჯეს სიკვდილი. ეკატერინე ზემოთბა, თუმცა დამშვიდებული მაინც არ იყო.

V

ეკატერინეს არც შეეძლო დამშვიდებულყო. რადიშჩევე მის იოლ გამარჯვებას აკლდა ყველაზე მთავარი: შეგნება იმისა, რომ საზოგადოების სიმპათიები მის მხარეზეა და არა რადიშჩევის მხარეზე. და მაშინ მან რადიშჩევის საქმის გამო გამოსცა ბრძანებულება სენატისადმი.

ბრძანებულებაში წიგნი დახასიათებული იყო როგორც სავე „ყველაზე უფრო მეგნე ნააზრევით, რომელიც არღვეს სიმშვიდეს საზოგადოებისას, ამცირებს სათანადო ღირსებას ხელისუფლებისა და მისიწრაფვის იმისაკენ, რათა აღაშფოთოს ხალხი უფროსებისა და უფროსობის წინააღმდეგ...“ ამიტომაც რადიშჩევი, თითქოს სასჯებით იმსახურებდა „ამ სასჯელს“, მაგრამ „გოქცევით რა ჩვენი წესების შესაბამისად, იმისათვის, რათა შეგვეერთოთ მართლმსაჯულება მოწყალეობასთან, ... ვათავისუფლებთ მას გვამის მოსპობისაგან და ვბრძანებთ, რომ ამის სანაცვლოდ ჩამოერთვას მას ჩინები, წმინდა ვლადიმერის ორდენის ნიშნები და სათავადაზნაურო ღირსება, მიესაჯოს ციმბირში გადასახლება და ილინხვის ციხეში ყოფნა ათი წლის ვადით; მისი მამული კი, — თუ



აქვს მამული — დარჩეთ მის შვილებს, რომლებსაც მზრუნველად დაენიშნოთ ბაბუა“.

„მეფური მოწყალეობა“ კიდევ უფრო შორს მიდიოდა: არ მისცეს მომზადებისა და ახლობლებთან გამომშვიდობების უფლება და 1790 წლის 18 სექტემბერს რადიშჩევი საძაგელი, გაფხეკილი ტყაპუჯის ამარა გამოიყვანეს პეტრე-პავლეს ციხიდან, ჩააგდეს ფორანში და გაუსყენეს ციმბირის გზას.

დედაქალაქს რადიშჩევი შესრულებული მოვალეობის გრძნობით ტოვებდა. გზაში მან დაწერა ლექსები, საიდანაც მის მეგობრებს უნდა შეეჩყოთ, შეიცვალოს თუ არა ის უმძიმესი გამოცდის შემდეგ:

«Ты хочешь знать: кто я? что я?
куда я еду? —
Я тот же, что и был и буду
вес мой век:
Не скот, не дерево, не раб,
но человек!
Дорогу проложить, где
не бывало следу,
Для борзых смельчаков и в
в прозе, и в стихах,
Чувствительным сердцем
и истине я в страх
В острог Илимский еду».

იმპერატორის უახლოეს დიდებულებსაც კი განუზომლად მკაცრად მიაჩნდათ რადიშჩევის მიმართ გამოტანილი განაჩენი. გრაფი ს. რ. ვორონცოვი 1790 წლის 12 სექტემბერს ლონდონიდან თავის ძმას ალექსანდრეს სწერდა: „რადიშჩევის დასჯა უდიდეს მწუხარებას მგერის. ათი წელი ციმბირში ყოფნა სიკვდილზე უარესია ადამიანისათვის, როცა მას ჰყავს შვილები, რომლებსაც უნდა გამოეთხოვოს ანდა, თუ თან წაიყვანს, — მოაკლოს მოვლა-პატრონობა. ყოველივე ეს ჟრუანტელის მომგვრელია“.

1796 წლის დამდგეს ილიმსკში მიიღეს ეკატერინეს გარდაცვალების ამბავი, 18 დეკემბერს კი რადიშჩევა მიიღო პავლე პირველის განკარგულება სანახევრო ამნისტიის შესახებ. მწერალს უფლება მიეცა დასახლებულიყო თავის მამულში, სოფელ ნემცოვოში, კალუგის გუბერნიის ქალაქ პატარა იაროსლავცის მახლობლად.

მაგრამ პეტერბურგში დაბრუნება მან მხოლოდ ალექსანდრე I გამეფების შემდეგ შესძლო. მეფე დაუბრუნა რადიშჩევის ჩინები, ორდენები და დანიშნა სამუშაოდ კანონთა შემუშავებელ კომისიაში.

რადიშჩევი იმ დროს 53 წლისა იყო, მაგრამ მწერლის გულში კვლავ იფეთქა ახალგაზრდულ ოცნებებმა და მის სიტყვებში, მსჯელობებში და ნაწერებში კვლავ გაისმა ხმა რევოლუციონერისა.

კომისიის თავმჯდომარემ გრაფმა ზავადოვსკიმ შეხვედრის დროს ჩაუკრა რადიშჩევის, ასეთი აზრებისათვის ცოტა ხანში თავს ციმბირში ამოჰყოფო.

და რადიშჩევის გაასხენდა ილიმსკის მიყრუებული კუთხის სიმკაცრე, ციხე, დილეგი... ეკატერინეს აზრილი კვლავ აღიმართა მის წინაშე და ნათელი გახდა, რომ აზრი არა აქვს კომისიაში სიარულს პროექტების წერას. 1802 წლის 11 სექტემბერს რადიშჩევა დალია საწამლაგი და 12 სექტემბერს დამის პირველ საათზე მტანჯველი სიკვდილით განუტევა სული.

გ. ი. ლენინი თავის სტატიაში — „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ — წერდა:

„ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ჩვე დავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბურად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმიო, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას სვდებოდა ჩვენს წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერ რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსს მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამსობა“ (თბ. ტ. 21, გვ. 111-112).

დროის „ბურუსის გარდევას“ რომ ცდილობდა, რადიშჩევი ჭერებდა თავისუფალი ხალხის ბედნიერ მომავალს და წინასწარმეტყველურად წერდა: „ეს არის ოცნება — მე მთელი ასი წლით წინ ვიყურებ“.

**3. ზბრიკარი,
თარგმანა დოდო ნანობაშვილია.**

ჟურნ. „Советская юстиция“, 1959 წ. № 3

ბესარიონ ჯღენცი 70 წლისაა

ბესარიონ ჯღენცი დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამის გამო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ წარმომადგენელი შეხვდა მას საქართველოს მწერალთა კავშირში.

— ბატონო ბესო, ნება მომვცით ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის, თანაფორმალეზისა და მკითხველების სახელით მოგილოცოთ დაბადების 70 წელი და გისურვოთ ხანგრძლივი, ზღვნიერი სიცოცხლე, ახალი წარმატებები მუშაობაში.

— გმადლობთ.

— თვალსაჩინოა თქვენი ღამისუკმაბა ქართულ ლიტერატურასა და ხალხმეზობაში, ერის კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ, ჩვენ, როგორც „განაწყენებულთ“, გვინებამეზობას იურიისკრუღენციისადმი თქვენი „ღალატის“ მიზეზი.



სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, სადაც ესწავლობდი იურიდიული განხრით.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაეიწყე ადვოკატად. ჩემს პირველ ნაბიჯებს ამ დარგში მაშინ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ცნობილი და გამოჩენილი ადვოკატები შალვა მესხიშვილი და იოსებ მაჭავარიანი. დიდი ხალისით და ინტერესით დაეიწყე მუშაობა, მაგრამ როგორც გამოირკვა, ჩემს მოღვაწეობას ამ სფეროში რაიმე განსაკუთრებული წარმატება არ ეწერა. მართლმსაჯულების ახალი სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ამ დროისათვის მკვიდრდებოდა — საბჭოთა საპროცესო სამართალი, საბჭოთა ადვოკატურის ახლებური ტრადიციები დიდად განსხვავდებოდა იმ წარმოდგენებისაგან, რომელიც მე მქონდა ადვოკატის პროფესიის შესახებ. ჩემს ოცნებებში ადვოკატურა, უპირველეს ყოვლისა, მჭევრმეტყველების კატეგორია იყო და, ამასთანავე, მოღვაწეობის ისეთი სფერო, რომელიც იცავდა სახელმწიფოსა და მისი

ჩემს ახალგაზრდობაში ძლიერ მსიბღავდა იურიდიული მეცნიერება, კერძოდ, საადვოკატო პრაქტიკა. ვკითხულობდი გამოჩენილი ვექილების — პლევაკოს, კარაბჩევსკის და სხვათა სიტყვებს, დიდი გატაცებით ვოცნებობდი გავყოლოდი მათ გზას. სწორედ ამ მიზნით შევედი 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის